რედაქტორი თომას დე ვაალი
მარია ლიპმანი
ლევ გუდკოვი
ლაშა ბაძრაძე

სტალინის მპვსპტესი

პოსტსაბჭოთა საზოგადოებრივი აზრის ანალიზი

CARNEGIE ENDOWMENT
FOR INTERNATIONAL PEACE

HEINRICH BÖLL STIFTUNG
SOUTH CAUCASUS

© 2013 Heinrich Boell Foundation South Caucasus Regional Office

© 2013 Carnegie Endowment for International Peace

ყველა უფლება დაცულია

კარნეგის ფონდს არ გააჩნია უწყებრივი პოზიცია საზოგადოებრივი პოლიტიკის საკითხებზე; აქ გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და არ არის აუცილებელი, ემთხვეოდეს ფონდის, მისი თანამშრომლებისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების თვალსაზრისს.

პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელნი არიან თავად ავტორები და ის არ გამოხატავს ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის შეხედულებებს.

ფოტო გარეკანზე: გურამ წიბახაშვილი

გ. წიბახაშვილის ფოტოები პირველად გამოქვეყნდა ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის მიერ 2012 წელს გამოცემულ კრებულში „ძეგლებით თამაში: სტალინი აქ და ამჟამად“. დაწვრილებითი ინფორმაცია გამოფენის და კატალოგის შესახებ იხილეთ http://georgien.boell-net.de/web/52-1388.html.

ISBN: 978-9941-0-5391-7

სარჩევი

წინასიტყვაობა ქართული გამოცემისთვის 5
ნინო ლეჟავა

რედაქტორისგან 9

რეზიუმე 11

შესავალი 13
თომას დე ვაალი

ციფრებში ასახული მონაცემები 19

სტალინი არ მომკვდარა:
მემკვიდრეობა, რომელიც რუსეთს უკან ექაჩება 27
მარია ლიპმანი

„ბელადის“ მითოლოგემა:
ტოტალიტარული სიმბოლოს სოციოლოგიისთვის 43
ლევ გუდკოვი

საქართველო და სტალინი: „ქართველი ხალხის
საამაყო შვილი“ ჯერ კიდევ ჩვენთანაა 69
ლაშა ბაქრაძე

დანართი 77

ავტორების შესახებ 89

კარნეგის საერთაშორისო მშვიდობის ფონდი 91

ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი 92

იური ლევადას ანალიტიკური ცენტრი 93

კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი 94

ინფორმაცია გამოკითხვების შესახებ 95

წინასიტყვაობა ქართული გამოცემისათვის

Vergangenheit hört nicht auf; sie überprüft uns in der Gegenwart.
Siegfried Lenz

წარსული არ სრულდება: ის ჩვენ აწმყოში გვამოწმებს.
ზიგფრიდ ლენცი

„ბოროტების ბანალურობის“ ცნება პირველად ფილოსოფოსმა ჰანა არენდტმა ჩამოაყალიბა[1]. აქ სახელმწიფოს ან პარტიის მეთაურის მიერ ფორმულირებული კანონებისადმი დაუფიქრებელი მორჩილება იგულისხმება; მორჩილება მაშინაც კი, როცა კანონი მკაფიოდ არაადამიანურია და ყოფიერების საფუძვლებს ანგრევს.

არენდტმა ბოროტების ბანალურობა გერმანული ნაციონალ-სოციალიზმის სისტემის აღსაწერად გამოიყენა, თუმცა კანონად ქცეული ბელადის მორჩილება საბჭოთა კომუნისტური სისტემის დასახასიათებლადაც გამოდგება. მეტიც, სსრკ-ის დაშლიდან 20 წლის შემდეგაც ადამიანები, რომლებმაც მოასწრეს ყოფილიყვნენ საბჭოთა მოქალაქეები და ისინიც, ვინც აღარ მოსწრებია საბჭოთა რეჟიმს, დღემდე ბელადის ხსოვნის ერთგულნი რჩებიან.

ეს მოვლენა სხვა ქვეყნებშიც გვხვდება, სადაც იდეოლოგიის საფუძველზე შექმნილი დიქტატურების დასრულების შემდეგ საზოგადოებას მიაჩნია, რომ ყოფილ სისტემას „კარგი იდეა“ ედო საფუძვლად, რომელიც არასწორად განხორციელდა. ასეთი ვითარება 1945 წლის შემდგომ გერმანიაშიც აღიწერა[2] და დღემდე გვხვდება პოსტკომუნისტურ აღმოსავლეთ ევროპაშიც[3].

2012 წლის ოქტომბერში კარნეგის ფონდმა კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრსა და ლევადას ცენტრს დაუკვეთა კვლევა რუსეთის ფედერაციასა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში სტალინის მიმართ დამოკიდებულების დასადგენად. გამოკითხვის შედეგებმა შემაშინებელი სიცხადით აჩვენა, რომ საბჭოთა დიქტატორი ჯერ კიდევ აქტუალურია. ოთხი პოსტკომუნისტური ქვეყნიდან, სადაც გამოკითხვა ჩატარდა, მხოლოდ აზერბაიჯანის საზოგადოებაში იხატება სურათი, რომ სტალინი დავიწყების გზას გაუყენეს: გამოკითხულთა 22%-ს წარმოდგენა არა აქვს, თუ ვინ იყო სტალინი. შედარებით უფრო ახალგაზრდებს შორის კი ეს წილი 40%-ს აღწევს.

საქართველოში გამოკითხვის მომენტისათვის გამოკითხულთა 45% სტალინს დადებითი კუთხით აღიქვამს – სავარაუდოდ, იმ მიზეზით, რომ გორში დაბადებული იოსებ ჯუღაშვილი დღემდე რჩება ყველაზე ცნობილ ქართველად, რაც ბევრისთვის ნაციონალისტური სიამაყის საფუძველიც არის. სომხეთში ეს მონაცემი 25%-ს შეადგენს, აზერბაიჯანში – 21%-ს.

2012 წლის პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით ჩნდება კითხვა, ხომ არ არის სტალინის მიმართ პოზიტიური განწყობა ერთგვარი გაუკუღმართებული პოლიტიკური პროტესტი სააკაშვილის პერიოდის მოუხეშავი დესტალინიზაციის მცდელობის მიმართ?

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომი საქართველოს ოცწლიან ისტორიაში არც დესოვეტიზაცია მომხდარა და არც დესტალინიზაცია ყოფილა მაინცდამაინც ღრმა. ანტისაბჭოური და ანტისტალინური ტენდენციები მიხეილ სააკაშვილის (2004-2012 წლები) მთავრობის მმართველობის დროს გაჩნდა, განსაკუთრებით 2008 წლიდან, ისიც – ზედაპირული და მხოლოდ გარეგნული ფორმით.

როცა სტალინის სიკვდილის შემდეგ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის (სკკპ) ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნიკიტა ხრუშჩოვმა სკკპ XX ყრილობაზე გასაიდუმლოებული მოხსენებით – „ი. ბ. სტალინის პიროვნების კულტის და მასობრივი რეპრესიების შესახებ“ – დაიწყო ბელადის კულტის ნგრევა, როცა მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით თხუთმეტივე რესპუბლიკაში ბელადის ძეგლები გაანადგურეს, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის გარდა ეს მოვლენა საჯაროდ არსად გაუპროტესტებიათ.

1956 წლის 4-9 მარტს საქართველოში ადამიანები გამოვიდნენ „ქართველი“ გენერალისიმუსის ხსოვნის პატივსაცემად და მისი ძეგლის დასაცავად. მათ შორის იყო ბიძაჩემიც, რომელიც მაშინ 22 წლის იყო. დედამისის მამა, დეკანოზი ივანე მარგიანი კი 1931 წელს დააპატიმრეს; პატიმრობამ დაასნეულა და მეტეხის ციხიდან გათავისუფლების შემდეგ (1933 წელს) მალევე გარდაიცვალა.

ვერ მოვასწარი ბიძაჩემისთვის დროულად მეკითხა, თუ რა ამოძრავებდა მას – რეპრესირებული ოჯახის წევრს, როცა ცდილობდა დაეცვა სტალინის ხსოვნა და ღირსება მაშინდელი ხელისუფლებისაგან. შემდეგ, შეგნებულ ცხოვრებაში ის არ ყოფილა არც სტალინისტი და არც მაინცდამაინც გულმხურვალე კომუნისტი. როგორც ჩანს, ქართველებისთვის სტალინი „ეროვნული ხატი“ უფროა, ვიდრე პოლიტიკური მოდელი.

ექვსი ათწლეული გავიდა მას შემდეგ, რაც სტალინი გარდაიცვალა; მაგრამ იმ ადამიანების რიცხვი, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ დიდი ბელადის როლი მეოცე საუკუნეში შეიძლება პოზიტიურად შეფასდეს, საქართველოში ჯერ კიდევ უცნაურად დიდია.

საქართველოში დესტალინიზაცია დროზე არ მოხდა, მაგრამ ამის გაკეთება არასდროსაა გვიან. შესაძლებელია ისტორიის სასკოლო კურსის შექმნა, საარქივო კვლევითი საქმიანობის წახალისება, თემატური საგანმანათლებლო ფილმების გადაღება, უშუალო მოწმეების მოგონებების ჩაწერა და გამოქვეყნება. ათი წლის შემდეგ, როცა სტალინის გარდაცვალების მორიგი მრგვალი წლისთავი (70) იქნება, თითქმის აღარავის შეეძლება, გაიხსენოს პირადი გამოცდილება.

იმედი მაქვს, ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის მორიგი პუბლიკაცია საბჭოთა წარსულის გასააზრებლად კვლავ იპოვის დაინტერესებულ მკითხველს, ხელს შეუწყობს ქართულ საზოგადოებას ყოფილი საბჭოთა რეჟიმის დანატოვრის გაანალიზებაში და წარსულის დაძლევის საჭიროებაზე გაამახვილებინებს ყურადღებას.

საქართველოს სჭირდება პოლიტიკური კულტურა, რომელიც მოიცავს იმ საქმიანობისა და ცოდნის ერთობლიობას, რითაც ახალი დემოკრატიული სახელმწიფოები წინამორბედი დიქტატორული რეჟიმების მიმართ დამოკიდებულებას განსაზღვრავენ[4].

ნინო ლეჟავა
ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის
რეგიონალური ბიუროს დირექტორი

შენიშვნები

1 Arendt H., Eichmann in Jerusalem: A Report on the Banality of Evil (1968)

2 Judt, T., Geschichte Europas von 1945 bis zur Gegenwart (2011). გვ. 78

3 Plasser, F., Ulram, P. A., & Waldrauch, H. Politischer Kulturwandel in Ost-Mitteleuropa: Theorie und Empirie demokratischer Konsolidierung (1997). გვ. 149-152

4 König, H., Von der Diktatur zu Demokratie oder Was ist Vergangenheitsbewältigung (1998). გვ. 375

რედაქტორისგან

მადლობა მათ, ვინც ამ პროექტის განხორციელებაში დაგვეხმარა: ლევ გუდკოვს მოსკოვის ლევადას ცენტრიდან, რომელმაც მოგვაწოდა რუსეთის მონაცემები და ანალიზი; ჩვენს ქართველ ავტორს, ლაშა ბაქრაძეს, და ფოტოგრაფ გურამ წიბახაშვილს; ირინა ვარდანაშვილს კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრიდან, რომელმაც რვა ცხრილი შეადგინა; ჰაინრიჰ ბიოლის ფონდს, რომელიც დაგვეხმარა პუბლიკაციის დაფინანსებაში; კარნეგის ფონდის კოლეგებს ვაშინგტონიდან ჩარლზ ლიჩფილდს, ილონკა ოსვალდს, ევგენ სოტინს, ჯოსლინ სოლის და რებეკა უაიტს; და ორ ადამიანს, რომელთა გარეშე ეს ყველაფერი ვერ განხორციელდებოდა – თინათინ ზურაბიშვილს კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრიდან, რომელმაც კოლეგების დახმარებით შეადგინა კავკასიის კითხვარები და დაამუშავა შედეგები, და მარია ლიპმანს, რომელიც, იმასთან ერთად, რომ დაწერა, გააანალიზა და თარგმნა მასალები, თავად ამ პროექტის სულის ჩამდგმელია.

თომას დე ვაალი

კარნეგის საერთაშორისო მშვიდობის ფონდის

რუსეთისა და ევრაზიის პროგრამების უფროსი სპეციალისტი

რეზიუმე

როგორც ჩანს, იოსებ სტალინი არ მომკვდარა. საბჭოთა ლიდერი, რომელიც თავისი 30-წლიანი მმართველობის განმავლობაში მილიონობით ადამიანის სიკვდილზეა პასუხისმგებელი, სამწუხაროდ, კვლავაც იწვევს დიდ აღტაცებას. ასეთ დასკვნამდე მივყავართ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში – სომხეთში, აზერბაიჯანში, საქართველოსა და რუსეთში პირველად ჩატარებულ გამოკითხვას, რომელიც დიქტატორს შეეხებოდა. 2012 წელს კარნეგის ფონდის მიერ დაკვეთილი კვლევების მიხედვით, დესტალინიზაციის პროცესმა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში წარუმატებლად ჩაიარა და პოსტსაბჭოთა მოქალაქეებს არ გაუაზრებიათ თავიანთი ისტორია.

დასკვნები

- რუსეთში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სტალინის მხარდაჭერა აშკარად გაზრდილია.

- არსებობს კორელაცია რუსეთში სტალინის რეაბილიტაციასა და ვლადიმერ პუტინის პრეზიდენტობას შორის.

- სტალინის მიმართ იზრდება გულგრილობის დონე, განსაკუთრებით ახალგაზრდებს შორის. ეს განსაკუთრებით იკვეთება აზერბაიჯანში, სადაც ახალგაზრდა გამოკითხულთა 39%-მა არც კი იცის, ვინ არის სტალინი.

- ქართველები გამოხატავენ სტალინის მიმართ აღფრთოვანების განსაკუთრებით მაღალ დონეს – გამოკითხულთა 45% დადებითად არის განწყობილი ყოფილი საბჭოთა ლიდერის მიმართ.

- გამოკითხვა არის სიმპტომური „ორმაგი აზროვნების“ შემთხვევაში. გამოკითხულები აღნიშნავენ, რომ სტალინი იყო ორივე – „სასტიკი ტირანი“ და „ბრძენი ლიდერი“.

შედეგების ანალიზი

პოსტსაბჭოთა მოქალაქეები გაურკვევლობაში არიან. გამოკითხვის შედეგები უფრო დამოკიდებულებისა და გაურკვევლობის შეგრძნებას გამოხატავს, ვიდრე დიქტატორული მთავრობის ჭეშმარიტ მხარდაჭერას.

სტალინის იდენტობას კვლავაც მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებას უკავშირებენ. ნაცისტურ გერმანიაზე გამარჯვება კარგად ახსოვთ ოთხივე გამოკითხულ ქვეყანაში, განსაკუთრებით, ასაკოვან მოსახლეობას. სტალინს დღესაც თაყვანს სცემენ როგორც ომისდროინდელ ლიდერს – თუმცა, იგივე ხალხი უარყოფს მის რეპრესიებს.

დესტალინიზაცია რუსეთში გაუბედავად მიმდინარეობს. სტალინის დანაშაულის შესახებ დისკუსიაში საზოგადოების ჩართვის ორ-ნახევარი მცდელობის შემდეგ, მხოლოდ ერთი, მიხეილ გორბაჩოვის მცდელობა, იყო წარმატებული. პუტინმა სცადა სტალინის პიროვნების გამოყენება საკუთარი ავტორიტეტის გასამყარებლად.

ახალი თაობა განსხვავებულად ფიქრობს. ბევრმა რუსმა მოქალაქემ ჩამოიცილა საბჭოთა მემკვიდრეობა, გახდა დამოუკიდებელი და კრიტიკულად განწყობილი რუსეთის ისტორიისადმი. სტალინი კარგავს თავის ძალას მოიზიდოს თუ მოიგერიოს საზოგადოების ეს ნაწილი.

დესტალინიზაციის პროცესი საქართველოში შორს არ წასულა. პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიერ წამოწყებული ანტისაბჭოთა და ანტისტალინური კამპანიები თვალსაჩინო, მაგრამ ზედაპირული იყო. ლიდერის შესახებ გამოთქმული მოსაზრებები დადებითია. თუმცა, ქართველებისთვის სტალინი უფრო ეროვნული ხატია, ვიდრე პოლიტიკური ლიდერი.

თომას დე ვაალი

შესავალი

გარდაცვალებიდან – 1953 წლის მარტიდან სამოცი წლის, ხოლო საბჭოთა კავშირის დაშლიდან ოცი წლის შემდეგ, იოსებ სტალინი მაინც ვერ ჩაბარდა ისტორიას.

სტალინის საფლავი მოსკოვის ცენტრში, საჩვენებელ ადგილას, წითელ მოედანზეა, მისი ფოტოები რუსეთსა და საქართველოში ბაზრებში იყიდება, პორტრეტებს კი პოლიტიკურ მიტინგებზე დაატარებენ. 2012 წელს ჩატარებული გამოკითხვის შედეგად სტალინი რუსეთის ისტორიის ყველაზე მნიშვნელოვან ფიგურად დასახელდა. 2013 წელს, როდესაც სტალინგრადის ბრძოლის 70-ე წლისთავს აღნიშნავდნენ, მისი ფოტოები ავტობუსებზე გააკრეს ვოლგოგრადში, რომელსაც ერთი დღით ისევ სტალინგრადი დაარქვეს.

ამ ყველაფრის გამო შეშფოთება ბუნებრივია – მით უმეტეს, რომ ბოლო რამდენიმე წელია გაზეთების სათაურები გვაუწყებენ „სტალინის კულტის“ შესახებ ყოფილ საბჭოთა კავშირში[1]. არადა, სტალინის დღეგრძელობა ის თავსატეხია, რომელსაც ჯერ გაშიფვრა სჭირდება. ბოლოს და ბოლოს, არავის უნდა გულაგების აღდგენა და თვით ყველაზე ავტორიტარული პოსტსაბჭოთა ქვეყნებიც კი შორს არიან სტალინიზმისგან[2].

და მაინც, რა იმალება სტალინის მიმართ დადებითი განწყობის მიღმა? ვინ და სად არიან მისი თაყვანისმცემლები და როგორია მათი მოტივაცია?

სტალინის თემა მნიშვნელოვანი მხოლოდ ისტორიული კუთხით კი არ არის, არამედ მისი სახელი პოსტსაბჭოთა ქვეყნების თანამედროვე პოლიტიკის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ურთიერთობების, დემოკრატიზაციისა და განათლების საკითხების შუაგულში ფიგურირებს.

ამ საკითხებში კარგად გასარკვევად კარნეგის საერთაშორისო მშვიდობის ფონდმა კვლევის ჩატარება ორ ორგანიზაციას დაუკვეთა – ლევადა-ცენტრს მოსკოვში და კავკასიის კვლევისა და რესურსების ცენტრს თბილისში. რუსეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის და საქართველოს მოქალაქეებს სტალინის მიმართ თავიანთი დამოკიდებულების შესახებ ერთსა და იმავე რვა შეკითხვაზე უნდა ეპასუხათ. გამოკითხვები 2012 წლის ოქტომბერში ჩატარდა.

ასეთი სრული შედარებითი გამოკითხვა ერთდროულად რამდენიმე ქვეყანაში პირველად ჩატარდა. ლევადა-ცენტრში მიღებული შედეგები რუსეთში მანამდე ჩატარებულ რამდენიმე კვლევის შედეგებს შეადარეს, სამხრეთ კავკასიის სამ ქვეყანაში კი ასეთი კვლევა 1991 წლიდან, ანუ მას შემდეგ რაც ამ ქვეყნებმა დამოუკიდებლობა მოიპოვეს, არ ჩატარებულა.

განსხვავებები გამოკითხვის შედეგად მიღებულ პასუხებში გვეუბნება, რომ სტალინი მის ყოფილ ქვეშევრდომებს შორის მრავალი სახით არსებობს. მაგალითად, რუსეთის სტალინი საქართველოს სტალინისგან ძალიან განსხვავდება. ისტორიკოსი ალფრედ რიბერი ცნობილ ესეში სტალინს „გარდამავალ ადამიანს“ უწოდებს, რომელმაც საკუთარი თავისგან სამმაგი მითიური არსება შექმნა – პროლეტარი ეროვნების გარეშე, ქართველი და რუსი[3]. სტალინის წარმატება ამ სამი სხვადასხვა პიროვნების პროეცირებისას უმალვე ხსნის, თუ რატომ იწვევს ის სხვადასხვა კატეგორიის ადამიანების თაყვანისცემას, რომელთაც ერთმანეთთან ძალიან ცოტა აქვთ საერთო (შუბლმაგარი კომუნისტები, ქართველი ნაციონალისტები და რუსი შოვინისტები).

რამდენიმე შედეგი, რომელიც მივიღეთ, მართლაც შოკისმომგვრელია. ლევ გუდკოვმა ახლანდელი კვლევის შედეგები რუსეთში პერესტროიკის პერიოდის შემდეგდროინდელ გამოკითხვებს შეადარა, რამაც ცალსახად აჩვენა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სტალინის მხარდაჭერა შესუსტების ნაცვლად გაძლიერდა. ამ მაჩვენებელს, რა თქმა უნდა, რამდენიმე ახსნა აქვს და, სულ ცოტა, იმაზე მიგვანიშნებს, რომ რუსეთის ბევრ მოქალაქეს ჯერ კიდევ აქვს მორჩილებაში ყოფნის ძლიერი სურვილი და ერთგულება ავტოკრატული მმართველის მიმართ.

ყველაზე შემაშფოთებელი მონაცემები ალბათ მაინც სტალინის სამშობლოდან, საქართველოდან გვაქვს, რომლებიც გვაჩვენებს, რომ ქართველების 45 პროცენტი, რაც უცნაურია, დადებითად არის განწყობილი დიქტატორის მიმართ, ხოლო 68 პროცენტი მას „ბრძენ ლიდერს“ უწოდებს. ამასობაში, სომხების 38 პროცენტი (ოთხ ქვეყანაში გამოკითხულთა ყველაზე დიდი რაოდენობა) ეთანხმება შემდეგ ფორმულირებას: „ჩვენს ხალხს ყოველთვის დასჭირდება სტალინისნაირი ლიდერი, რომელიც წესრიგს აღადგენს“. უცნაურია ისიც, რომ აზერბაიჯანის მოსახლეობის 22-მა პროცენტმა (და ახალგაზრდების 39 პროცენტმა) არც კი იცის, ვინ იყო სტალინი. ზოგადად, აზერბაიჯანელებმა, მათდა სასახელოდ, ყველაზე დიდი ანტიპათია გამოავლინეს სტალინის მიმართ.

ამ მონაცემებს საგულდაგულო დამუშავება სჭირდება. ამიტომაც, შესაბამის სფეროში მომუშავე სამ მეცნიერს საქართველოსა და რუსეთში ვთხოვეთ, თავიანთი აზრი გამოეთქვათ ამ თემაზე. ბევრი ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრება არსებობს, რომელთა დამუშავებაც მთლიან სურათს საბოლოო სახეს აძლევს. მაგალითად, ისინიც კი, ვინც ამბობენ, რომ სტალინი მოსწონთ, იმავე დროს აღიარებენ, რომ არ მოსწონთ მისი სისასტიკე. იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც თვლიან, რომ სტალინის მიერ ჩადენილ დანაშაულებს „არ აქვს გამართლება“, საკმაოდ დიდია – ოთხივე ქვეყნის მასშტაბით 45-დან 47 პროცენტამდე. ლევ გუდკოვი გვიყვება, რომ სწორედ სტალინშია მოსაძებნი რუსეთში დემოკრატიის მარცხის მიზეზები და რომ ვლადიმერ პუტინი გამიზნულად მანიპულირებს დიქტატორის იმიჯით, რათა მისი პროექტი გააძლიეროს, რაც რუსეთში „ძალაუფლების ვერტიკალის“ შექმნაში მდგომარეობს.

ლაშა ბაქრაძეს ძლიერი არგუმენტები მოჰყავს იმ ფაქტის დასასაბუთებლად, რომ ის ქართველები, რომლებიც სტალინს თაყვანს სცემენ, ამას კვაზირელიგიური მიზეზით აკეთებენ და არ არის აუცილებელი, რომ ეს მათ პოლიტიკურ მრწამსს ემთხვეოდეს. კავკასიის კვლევისა და რესურსების ცენტრის მიერ ჩატარებულ გამოკითხვაში, ქართველების დიდ რაოდენობას ასევე დემოკრატიაც მოსწონს (წინააღმდეგობების ჩამონათვალს ისიც ემატება, რომ გამოკითხვის მიხედვით, საქართველოში ყველაზე პოპულარული ფიგურა პატრიარქია).

არ არის გასაკვირი, რომ ჩვენი გამოკითხვის მიხედვით, სტალინს, როგორც „დიდ სამამულო ომში“ ჰიტლერზე გამარჯვებულს, ყველაზე დიდი მხარდაჭერა განსაკუთრებით პენსიონერებში აქვს. საინტერესოა, რომ ეს მხარდაჭერა კიდევ უფრო ძლიერია კავკასიაში, ვიდრე რუსეთში. ეს აგრეთვე გვაფიქრებს იმაზეც, თუ როგორი რთულია დასავლეთში სტალინის იმიჯის აღქმა, როგორც ომისდროინდელი ლიდერისა, რომელმაც ჰიტლერი დაამარცხა (საკმარისია იხილოთ ფოტოები, რო-

მელზეც აღბეჭდილია სტალინი ჩერჩილის და რუზველტის გვერდით იალტის კონ-ფერენციაზე 1945 წელს).

რაც შეეხება დღევანდელ დღეს, ჩვენი ავტორები სვამენ კითხვას, თუ რატომ არ იმუ-შავა დესტალინიზაციამ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში. მარია ლიპმანი წერს, რომ „ორ-ნახევარი“ დესტალინიზაციის კამპანია რუსეთში არასრულყოფილი იყო და საკმარისად ღრმად ვერ შეაღწია საზოგადოებაში. ლაშა ბაქრაძე აანალიზებს, თუ როგორ ჩამო-იღო სტალინის ძეგლები საქართველოში მიხეილ სააკაშვილის მთავრობამ, რომელიც პროდასავლურობით ამაყობს, თუმცა, ვერ შეძლო საზოგადოებასთან საუბარი, რათა აეხსნა, თუ რატომ აკეთებდა ამას ან რატომ აღმართა სტალინის მსხვერპლთა მემო-რიალი საქართველოში. საქართველოს მთავრობამ სტალინის დიდი ქანდაკება გორში, მის მშობლიურ ქალაქში, ყოველგვარი გაფრთხილებისა თუ კონსულტაციების გარეშე აიღო, ზუსტად ისევე, როგორც ხრუშჩოვმა გამოიტანა სტალინის სხეული ლენინის მავ-ზოლეუმიდან წითელ მოედანზე ღამით, ფარულად. ორივე შემთხვევაში მისი სხეულიც და ძეგლიც მხოლოდ რამდენიმე მეტრის დაშორებით იქნა გადატანილი.

ჩვენი კვლევის მონაცემები ამტკიცებს, რომ სამწუხაროდ, პოსტსაბჭოთა სივრცეში სტალინის ფიგურა ჯერ კიდევ აწმყოს მიეკუთვნება და არა – წარსულს. ვიმედოვნებთ, რომ ეს პუბლიკაცია ხელს შეუწყობს ახალი დისკუსიის წამოწყებას პოსტსაბჭოთა ქვეყ-ნების მოქალაქეთა აზროვნების დესტალინიზაციის წარუმატებლობის შესახებ, რათა სტალინი ბოლოს და ბოლოს მიეცეს დავიწყებას.

შენიშვნები

1 იხ. მაგალითად, ადრიან ბლომფილდი, დეილი ტელეგრაფი, „რატომ სურს რუსეთს სტალინისგან წმინდანის შექმნა“ (24 ივლისი, 2008). http://www.telegraph.co.uk/comment/personal-view/3560932/Why-Russia-wants-to-make-Stalin-a-saint.html; დმიტრი სოლოვიოვი, როიტერი, 5 მარტი, 2010. „ლიბერალები აკრიტიკებენ კრემლს სტალინის კულტის გამო“

2 შეიძლება ითქვას, რომ თურქმენეთი გამონაკლისია, თუმცა, იქაც კი უამრავი პოლიტპატიმარი ციხეში ზის და მათ ფიზიკურად არ ანადგურებენ

3 ალფრედ რიბერი, „სტალინი, გარდამავალი ადამიანი“, ამერიკული ისტორიული მიმოხილვა, ტომი 106, N 5, (დეკემბერი, 2001):1651-91

ციფრებში ასახული მონაცემები

გრაფიკი 1

ამ სიტყვებიდან, რომელი აღწერს ყველაზე კარგად თქვენს დამოკიდებულებას სტალინისადმი? (%)



გრაფიკი 2

გსურთ თუ არა იცხოვროთ და იმუშაოთ ისეთ ქვეყანაში, რომელსაც სტალინის მსგავსი პიროვნება მართავს? (%)



გრაფიკი 3

ეთანხმებით თუ არ ეთანხმებით: „სტალინი ბრძენი ლიდერი იყო, რომელმაც სიმძლავრე და კეთილდღეობა მოუტანა საბჭოთა კავშირს“ (%)



გრაფიკი 4

ეთანხმეგით თუ არ ეთანხმეგით: „სტალინის ყველა შეცდომის მიუხედავად, მთავარი მაინც ის არის, რომ მისი ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა დიდი სამამულო ომი მოიგო“ (%)



გრაფიკი 5

ეთანხმეგით თუ არ ეთანხმეგით: „სტალინი იყო სასტიკი, არაადამიანური ტირანი, რომელიც მილიონობით უდანაშაულო ადამიანის სიკვდილშია დამნაშავე“ (%)



გრაფიკი 6

ეთანხმებით თუ არ ეთანხმებით: „ჩვენს ხალხს ყოველთვის ექნება მოთხოვნილება ჰყავდეს ისეთი ლიდერი, როგორიც სტალინი იყო, რომელიც მოვა და წესრიგს დაამყარებს“ (%)



გრაფიკი 7

სტალინის რეპრესიების შესახებ რომელ მოსაზრებას ეთანხმებით? (%)



გრაფიკი 8

როგორ ფიქრობთ, საბჭოთა ხალხის მიერ სტალინის მმართველობის დროს გაღებული მსხვერპლი გამართლებულია თუ არა ქვეყნის მიერ მოკლე დროში მიღწეული შედეგებით? (%)



სტალინი, დიქტატორი და
მეორე მსოფლიო ომის გამარჯვებული

უინსტონ ჩერჩილთან და ფრანკლინ დელანო
რუზველტთან ერთად იალტის კონფერენციაზე.
თებერვალი, 1945 წ.

მარია ლიპმანი

სტალინი არ მომკვდარა

მემკვიდრეობა, რომელიც რუსეთს უკან ექაჩება

სტალინი 1953 წლის 5 მარტს ტვინში სისხლის ჩაქცევით საკუთარ აგარაკზე, მოსკოვის შემოგარენში გარდაიცვალა. 1959 წელს რუსმა პოეტმა ბორის ჩიჩიბაბინმა დაწერა ლექსი სათაურით „სტალინი არ მომკვდარა“:

„ჯერ ადრეა ზეიმი,
დაე, სხვა ორაკულმა იყვიროს
რომ ძველი ჭრილობები აღარ გვტკივა
რომ მკვდარი მტრის სხეული აღარ არის ბაირაღი
მოდით, მან იყვიროს ამაზე, თუმცა მე კარგად ვიცი – სტალინი არ მომკვდარა“.

ამერიკელი ისტორიკოსი მარტინ მალია სამიოდე ათწლეულის შემდეგ ასე გამოეხმაურა ჩიჩიბაბინის ლექსს:

„თუმცა [სტალინი] ფიზიკურად აღარ არსებობდა, იგი მაინც ცოცხლობდა და განაგრძობდა სიცოცხლეს. საბჭოთა ისტორიის დანარჩენ ოთხ ათწლეულში ერთ-ერთი მთავარი თავსატეხი გახლდათ ის, თუ როგორ დაემარხათ სტალინი. მისი სამივე მემკვიდრე, ანუ გენერალური მდივნები – ხრუშჩოვი, ბრეჟნევი და გორბაჩოვი სტალინის მემკვიდრეობით გამოწვეული პრობლემების გამო წუხდნენ“[1].

მაშინ, როცა მალიას წიგნი დაიბეჭდა, ავტორს სჯეროდა, რომ სტალინი „სისტემის დასასრულამდე, ანუ 1991 წლამდე იცოცხლებდა“. თუმცა, დღესაც კი, სტალინის სიკვდილიდან სამოცი წლის და „სისტემის დასრულებიდან“ ოცი წლის შემდეგ, რუსმა ხალხმა სტალინის მემკვიდრეობა ჯერ კიდევ ვერ გაიაზრა. 2012 წელს კარნეგის საერთაშორისო მშვიდობის ფონდის დაკვეთით „ლევადა-ცენტრის“ მიერ ჩატარებული კვლევა დიქტატორის შესახებ არსებული წინააღმდეგობრივი მოსაზრებების გრაფიკულ ილუსტრაციას ახდენს.

შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ სტალინი ყველაზე მეტად აღიქმება, როგორც სასტიკი და არაადამიანური ტირანი, რომელსაც ბრალი მიუძღვის მილიონობით უდანაშაულო ადამიანის განადგურებაში. თუმცა, კვლევის შედეგები ბევრად უფრო რთულ სურათს იძლევა.

რუსეთში გამოკითხულთა თითქმის ნახევარი მიიჩნევს, რომ „სტალინი იყო ბრძენი ლიდერი, რომელმაც საბჭოთა კავშირი გააძლიერა და ააყვავა. მაგრამ გამოკითხულთა ნახევარზე მეტი ფიქრობს, რომ სტალინის რეპრესიები წარმოადგენდა „პოლიტიკურ დანაშაულს, რომელსაც გამართლება არ აქვს“. დაახლოებით ორი მესამედი თანხმდება, რომ „მიუხედავად სტალინის შეცდომებისა და დანაშაულებისა, უმთავრესი მაინც ისაა, რომ მისი ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა „დიდ სამამულო ომში“ (ასე უწოდებენ რუსები მეორე მსოფლიო ომს) გერმანიაზე გაიმარჯვა“.

სტალინის ბოლშევიკი წინამორბედის, ლენინის ბალზამირებული სხეული დღესაც წითელ მოედანზე, მავზოლეუმშია. ლენინის სახელი და მისი ძეგლები ყველა რუსულ ქალაქს ამშვენებს. ამის მიუხედავად, ლენინი ნელ-ნელა დავიწყებას ეძლევა, სტალინს კი რუსები მოიხსენიებენ როგორც საზოგადო მოღვაწეს, რომელმაც ყველაზე დიდი ზეგავლენა იქონია მსოფლიო ისტორიაზე (იხ. ცხრილი N1, ლევ გუდკოვის სტატია).

თუმცა, ამ აღიარებაში არის რაღაც უცნაურობაც: როდესაც რუსეთში მოგზაურობ, ვერ ხვდები, რომ რუსი ხალხი სტალინს დიდ თანამემამულედ თვლის. სტალინის ძეგლებსა თუ პორტრეტებს ვერსად შეხვდებით და არც ქუჩები და ქალაქები ატარებენ მის სახელს[2].

სტალინი ფარული გმირია და ეს სტატუსი რუსეთის პოსტკომუნისტური სახელმწიფოებრიობის და ეროვნული იდენტობისთვის დამახასიათებელი გაურკვევლობის ნაწილია. სტალინს საზოგადოება ორაზროვნად აღიქვამს, და ოფიციალური დისკურსიც მის შესახებ ასევე ამბივალენტური და გაურკვეველია. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მისი სახე არ ფიგურირებს რუსულ სივრცეში, სტალინის ყოფნა რუსეთის პოლიტიკურ წყობაში თუ სახელმწიფოსა და საზოგადოების ურთიერთდამოკიდებულებაში მაინც ძალიან იგრძნობა.

დესტალინიზაციის ორ-ნახევარი კამპანია

სტალინის სიკვდილს საერთო სახალხო გლოვა მოჰყვა. 1953 წლის 9 მარტს, უკანასკნელ გზაზე მიმავალმა გარდაცვლილმა ტირანმა ასობით ადამიანი მოკლა – უზარმაზარმა ბრბომ, ისტერიულმა მგლოვიარეებმა ერთმანეთი გადათელეს, რათა სტალინისთვის უკანასკნელად შეეხედათ.

იმავე წელს გულაგის პატიმრების გამოშვება და რეაბილიტაცია დაიწყო (ხშირად უკვე გარდაცვლილების), რომლებიც ღალატისა და სხვა პოლიტიკური დანაშაულისთვის იყვნენ დაპატიმრებულები. თუმცა, სტალინის თაყვანისცემა ჩვეულებრივ გრძელდებოდა. ტირანის ბალზამირებული სხეული ლენინის გვერდით, წითელ მოედანზე, მავზოლეუმში სამარადისოდ შესანახად დაასვენეს.

ამ მოვლენათა მიღმა კი გამძვინვარებული ბრძოლა მიდიოდა ძალაუფლებისთვის. ბოლოს ასპარეზზე ნიკიტა ხრუშჩოვი, სტალინის შემდგომი საბჭოთა ლიდერი გამოჩნდა. 1956 წელს მან სტალინის პიროვნების კულტის გამოსააშკარავებლად კამპანია წამოიწყო – ბელადს უდანაშაულო ხალხის მასობრივ რეპრესიებში სდებდა ბრალს.

ხრუშჩოვმა მოსპო და გაანადგურა სტალინთან დაკავშირებული ფიზიკური სიმბოლოები. უამრავ ქალაქს, ქუჩას, ქარხანას და კოლმეურნეობას, რომლებიც სტალინის სახელს ატარებდა, სახელები შეუცვალეს. სტალინის სხეული ყოველგვარი ხმაურის გარეშე, ჩუმად გამოიტანეს მავზოლეუმიდან, თუმცა იქვე, წითელ მოედანზე, ლენინთან ახლოს დატოვეს. ხრუშჩოვისეული დესტალინიზაცია აქ დამთავრდა. სტალინის დისკრედიტაციამ საბჭოთა საზოგადოებაში დიდი წინააღმდეგობა და არეულობა გამოიწვია. ზოგი გაბრაზდა, რადგან მიაჩნდათ, რომ სტალინი სათანადოდ არ იქნა მხილებული დანაშაულში, სხვები კი იმ ლიდერის ტალახში ამოსვრის გამო განრისხდნენ, რომელსაც ღმერთივით ეთაყვანებოდნენ. 1956 წელს საქართველოში ასეთმა განრისხებამ ხალხი სტალინის მხარდამჭერ სახალხო საპროტესტო გამოსვლებამდე მიიყვანა, რაც რამდენიმე დღე გაგრძელდა და საბოლოოდ სასტიკად იქნა ჩახშობილი (იხ. ლაშა ბაქრაძის ესე)[3].

ზოგიერთი საბჭოთა ხელმძღვანელი დესტალინიზაციის პროცესს შეშფოთებით უყურებდა. უმაღლესი ხელმძღვანელის დაგმობამ ბიძგი მისცა საჯარო დებატებს, რაც რეჟიმის ლეგიტიმაციას უთხრიდა ძირს, რეჟიმისა, რომელიც კომუნისტური სახელმწიფოს აბსოლუტური შეუმცდარობის კონცეფციაზე იდგა.

1964 წელს ხრუშჩოვი უსისხლო სახელმწიფო გადატრიალების შედეგად გადააყენეს. ხრუშჩოვის შემდგომმა საბჭოთა ხელმძღვანელობამ სასწრაფოდ შეაჩერა მისი ანტის-

ტალინური კამპანია. შემდგომი „მდორედ მიმდინარე რესტალინიზაციის“ დროს, სტალინის ღიად დაგმობა შეწყდა, მაგრამ მისი უდანაშაულობა საჯაროდ არ გამოუცხადებიათ. უბრალოდ, მისი სახელი გაქრა ოფიციალური დისკურსიდან. ხრუშჩოვისდროინდელი საბჭოთა საზოგადოების ისედაც მცირე საჯარო მონაწილეობა ხელოვნებასა და ლიტერატურაში შეწყდა ან იატაკქვეშეთში გადაინაცვლა. ჩიჩიბაბინის სტროფებიც წინასწარმეტყველური გამოდგა.

დესტალინიზაციის ახალი ტალღა გორბაჩოვის პერესტროიკის ეპოქაში, ორი ათწლეულის შემდეგ დაიწყო, სადაც მთავარი ელემენტი, როგორც მიმომხილველები ამბობდნენ, „ისტორიის შემობრუნება“ იყო. 80-იანი წლების ბოლოს მედიაპუბლიკაციების ტალღა და წიგნები წამოვიდა – საზოგადოებამ კომუნისტური ტყუილები და სიმახინჯეები ამხილა. ხრუშჩოვის მიერ სტალინის დანაშაულებების გამოაშკარავების კამპანიისგან განსხვავებით, დესტალინიზაციის ამ რაუნდში უკვე ფართო საზოგადოება ჩაერთო. ძალისხმევის ინერცია იმდენად დიდი იყო, რომ მოხერხდა კომუნისტური რეჟიმის რადიკალური დელეგიტიმიზაცია, რასაც 1991 წლის ბოლოს საბჭოთა კომუნიზმის კრახი და საბჭოთა კავშირის დაშლა მოჰყვა.

ბორის ელცინი, პოსტსაბჭოთა რუსეთის პირველი პრეზიდენტი, მგზნებარე ანტიკომუნისტად იქცა. ელცინის რუსეთმა უარყო საბჭოთა სისტემა და მიიღო, ყოველ შემთხვევაში, ქაღალდზე მაინც, დემოკრატიული ინსტიტუტებით მართვის დასავლური მოდელი. სტალინიზმი დაიგმო და ტირანული კომუნისტური რეჟიმი თითქოს დასრულდა.

მაგრამ კომუნისტური მემკვიდრეობის და, განსაკუთრებით კი, სტალინიზმის რღვევა, დიდხანს არ გაგრძელებულა. ეს პროცესები ადრეულ პოსტკომუნისტურ რეალობაში აღმოცენებული გაჭირვებით მალე დაიჩრდილა და სახალხო მღელვარებებით დასრულდა, მათ შორის – მძაფრი პოლიტიკური დაპირისპირებით ელცინის მთავრობასა და რუსეთის სამართლებრივ ორგანოებში არსებულ კომუნისტურ ოპოზიციას შორის.

კომუნისტებმა ისევ სტალინის ერას მოუხმეს, როგორც რუსული დიდების ჟამს. სტალინისდროინდელი საბჭოთა კავშირის შედარება – ერისა, რომელმაც დაამარცხა ჰიტლერი, ზესახელმწიფო შექმნა და ნახევარ სამყაროს აკონტროლებდა, საკმაოდ დასუსტებულ თანამედროვე რუსეთთან, რუსი კომუნისტების და მათი მრავალრიცხოვანი მხარდამჭერების თვალში, ეჭვგარეშედ ამტკიცებდა როგორც ელცინის, ისე გორბაჩოვის მოღალატეობას.

აღმოჩნდა რა შესუსტებული მხარდაჭერის, ძლიერი კომუნისტური ოპოზიციისა და სხვა მრავალი გამოწვევის წინაშე, ელცინმა ვეღარ შეძლო სახელმწიფო დონეზე დესტალინიზაციის პროცესის ლოგიკურ დასასრულამდე მიყვანა. სტალინის საფლავი

დარჩა წითელ მოედანზე (ლენინის სხეული კი – მავზოლეუმში) და არავითარი გულაგის მსხვერპლთა ეროვნული მემორიალი არ შექმნილა. საბჭოთა კომუნიზმის სამართლებრივად დაგმობის კიდევ ერთი მცდელობა ეფექტური არ აღმოჩნდა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გასამართლების მცდელობა და საბჭოთა დამნაშავე რეჟიმისთვის ვერდიქტის გამოტანა 1992 წელს ჩაიშალა.

პუტინის პოლიტიკური წყობა და სტალინის, როგორც პოლიტიკური სიმბოლოს აღზევება

2000 წელს, როდესაც ასპარეზზე ელცინის მემკვიდრე ვლადიმერ პუტინი გამოჩნდა, მის მთავარ მიზანს რუსული სახელმწიფოს აღდგენა წარმოადგენდა. პუტინმა კომუნისტებთან კომპრომისზე წასვლით ნაწილობრივ მოუღო ბოლო მასობრივ პოლიტიკურ მღელვარებას. ამ ტაქტიკით მან შეარბილა რუსულ საზოგადოებაში არსებული პოლიტიკური უთანხმოებანი და რუსეთზე სრული პოლიტიკური კონტროლი დაამყარა.

რეჟიმი, რომელიც პუტინმა შექმნა, რუსეთის ტრადიციული სახელმწიფო მოდელის საბჭოთა ვერსიას ეყრდნობა: ცენტრალიზებული და უცილობელი სახელმწიფო ძალაუფლება, რომლის კონტროლის მთავარ ინსტრუმენტს უსაფრთხოების ძალები წარმოადგენს. ეს პოლიტიკური წყობა გულისხმობს პრინციპს, როცა ხალხი ყოვლისშემძლე სახელმწიფოს წინაშე უძლურია.

საბჭოთა პოლიტიკური წყობის დაბრუნებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა ჩიჩიბაბინის წინასწარმეტყველება, რომელიც ახსენებდა რუსებს, რომ სტალინი არ მომკვდარა. სტალინის სიმბოლური დაბრუნება პუტინის არსობრივად საბჭოთა პატერნალისტური რეჟიმიდან დაიწყო. მაგრამ რუსი კომუნისტებისგან განსხვავებით, პუტინის მთავრობა, სტალინს, როგორც სისტემის სულისჩამდგმელს, ღიად არ ადიდებდა. პირიქით, პუტინი და მისი პოლიტიკური მოკავშირეები საგრძნობლად გაურბოდნენ სტალინთან დაკავშირებულ საკითხებზე საუბარს. იშვიათად ახსენებდნენ ბელადს, მაგრამ თუკი ახსენებდნენ, უფრო ნეგატიურ, ვიდრე დადებით კონტექსტში.

2007 წლის ოქტომბერში, მეორე საპრეზიდენტო ვადის დროს, პუტინი ბუტოვოს ესტუმრა. ეს ის ადგილია, სადაც სტალინის ტერორის პიკის დროს – 1937-38 წლებში, მასებს ხვრეტდნენ. პუტინი აშკარად შეძრწუნებული იყო. „სიგიჟეა“, თქვა მან. „წარმოუდგენელია. რატომ [კლავდნენ]? ათასობით და მილიონობით კაცი დახვრიტეს, ბანაკებში გააგზავნეს და აწამეს. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ეს [ტრაგედია] არასოდეს მიეცეს დავიწყებას“[4].

დმიტრი მედვედევს (რომელიც პუტინის შემდეგ, 2008 წელს პრეზიდენტი გახდა) პრეზიდენტობის უკანასკნელ ორ წელს დესტალინიზაციის მესამე ტალღის მცდელობა ჰქონდა. 2009 წლის ბოლოს მედვედევმა კრემლის ვებგვერდზე დადო მგზნებარე ვიდეობლოგი, რომელშიც გმობდა „სტალინის დანაშაულებს“[5]. 2010 წელს საგაზეთო ინტერვიუში კი აღნიშნა, რომ სტალინმა „მისი ხალხის წინააღმდეგ ბევრი დანაშაული ჩაიდინა“[6].

2010 წლის დასაწყისში, პუტინმა, რომელიც მაშინ პრემიერ-მინისტრი იყო, კატინის ტრაგედიის 60 წლისთავი აღნიშნა. 1940 წელს კატინში საბჭოთა სახელმწიფოს უშიშროების ძალებმა პოლონელი ოფიცრები მასობრივად ამოხოცეს. პუტინმა პოლონელ კოლეგასთან, დონალდ ტუსკისთან ერთად დაიჩოქა ტრაგედიის ადგილას და თქვა, რომ „ეს იყო რეპრესიები, რომლის დროსაც ხალხი გაჟლიტეს მიუხედავად მათი ეროვნების, რწმენისა და შეხედულებისა“[7].

ამავე დროს, სახელმწიფო დუმამ, რუსეთის პარლამენტის ქვედა პალატამ მიიღო რეზოლუცია, რომლის მიხედვითაც: „კატინის დანაშაული მოხდა სტალინისა და სხვა საბჭოთა ოფიციალური პირების პირდაპირი ბრძანებით“[8].

მაგრამ ასეთი პირდაპირი განცხადებები საკმაოდ იშვიათად კეთდებოდა. მედვედევის პრეზიდენტობის დამთავრებასთან ერთად დესტალინიზაციის პროცესი თანდათან შენელდა. 2012 წელს პუტინი კრემლში დაბრუნდა. მედვედევის დროს ადამიანის უფლებებისა და სამოქალაქო საზოგადოების საბჭოს მიერ გამოცხადებული დესტალინიზაციის პროგრამა შეჩერდა[9].

თუმცა მანამდეც, პუტინი და მედვედევი საკუთარი განცხადებებითა და მოქმედებებით ანტისტალინურ რიტორიკას ერთგვარად აბალანსებდნენ.

ბუტოვოში ემოციური ვიზიტიდან ორი თვის შემდეგ, პუტინმა უსაფრთხოების ძალების ოთხმოცდამეათე წლისთავი აღნიშნა. ამ საიუბილეო თარიღის მთავარი გმირი ფედერალური უშიშროების სამსახური იყო, საბჭოთა საიდუმლო უწყების, სუკ-ის (სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი) და შინსახკომის (შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი) მემკვიდრე. საიდუმლო პოლიციის ეს უწყებები თვითონ ხოცავდნენ ადამიანებს, მათ შორის ბუტოვოსა და კატინში. კრემლში გამართულ ზეიმზე, პუტინს, ბუნებრივია, არ უთქვამს, რომ „ტრაგედია“, როგორც ადრე უწოდებდა, არასოდეს უნდა დავივიწყოთ. არც მომდევნო ათწლეულებზე გაუკეთებია მინიშნება, როდესაც სუკ-ი დევნიდა დისიდენტებს, ამწყვდევდა მათ შრომა-გასწორების ბანაკებში და ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში – ეს იმავე წლებში ხდებოდა, როცა პუტინი თავად იყო სუკ-ის ოფიცერი. მან თქვა: „ჩვენი მიზანია დღეს, გავიხსენოთ ჩვენი სპეცსამსახურების გმირობის ფურცლები, რაც მათ ისტორიაში ჩაწერეს“[10].

მედვედევმა, რომელსაც უფრო თანამედროვე ტიპის ლიბერალ ფიგურად მიიჩნევენ, არანაკლები სითბოთი მიმართა ფედერალური უშიშროების სამსახურს[11].

ოფიციალურ გზავნილში მან გამოხატა მყარი რწმენა, რომ ფედერალური უშიშროების სამსახურის ოფიცრების დღევანდელი თაობა „ღირსეულად გააგრძელებდა მათი წინამორბედების ტრადიციებს“[12] – ანუ იმ წინამორბედებისა, ვისი პასუხისმგებლობის ქვეშაც ხდებოდა მასობრივი რეპრესიები, რასაც მედვედევმა საკუთარ ვიდეობლოგში ცოტა ადრე უწოდა – „უდიდესი ტრაგედია რუსეთის ისტორიაში“.

ფედერალური უშიშროების სამსახურს თავად არასოდეს უთქვამს უარი საბჭოთა მემკვიდრეობაზე. უშიშროების ორგანო მდებარეობს ლუბიანკაზე – იმ შენობაში, რომლის ავადსახსენებელ სარდაფებში სტალინის მსხვერპლებს აწამებდნენ და ხვრეტდნენ. რუსეთის მმართველობის სისტემაში, ამ ორგანოს პოლიტიკური ზეგავლენა უზარმაზარია. ხელმძღვანელობის პერიოდში პუტინმა ფედერალური უშიშროების სამსახურიდან მრავალი კადრი გამოიყენა და მთავრობაში სხვადასხვა მაღალ თანამდებობებზე დანიშნა. ათობით ფედერალური უშიშროების სამსახურის ოფიცერი და გენერალი მთავრობის მაღალჩინოსანი გახდა, შემოსავლიან ბიზნესებსაც სწორედ ისინი აკონტროლებენ.

ახლახან გამოსულ წიგნში ფედერალური უშიშროების სამსახურის შესახებ, მის წევრებს მოიხსენიებენ, როგორც „ახალ მაღალ საზოგადოებას“ და ამბობენ, რომ ეს ორგანიზაცია უფრო ძლევამოსილია და მეტად შიშისმომგვრელი, ვიდრე მისი უშუალო წინამორბედი, სუკ-ი იყო. ფედერალური უშიშროების სამსახური არავის წინაშე არ არის ანგარიშვალდებული, მათ შორის – არც კრემლის[13].

მაშინაც კი, როდესაც რუსეთის ლიდერები ხანდახან გმობდნენ სტალინსა და მის დანაშაულებებს, იმავდროულად ზრუნავდნენ, რომ დაგმობის რიტორიკა ძალიან შორს არ წასულიყო. სტალინის მსხვერპლთა მიმართ ცოტაოდენი წუხილის გამოხატვა მისაღები იყო, მაგრამ სჯობდა, დამნაშავე პირების საკითხი არ წამოჭრილიყო. მოსალოდნელია, რომ რეჟიმი, რომელიც სახელმწიფოს ხელშეუხებელ ძალაუფლებას და სახელმწიფო უშიშროების სამსახურს ეფუძნება, თავს აარიდებს იმის განხილვას, თუ რა როლი შეასრულეს სპეცსამსახურებმა რუსეთში სისხლიანი ტერორის დროს.

ზოგადად, რუსეთში საბჭოთა წარსულის და განსაკუთრებით, სტალინიზმის შესახებ თანმიმდევრული ნარატივი არ არსებობს. არც სტალინის მმართველობის მსხვერპლთა მემორიალი გვაქვს – პუტინის მთავრობამ მტკიცედ უარყო ინიციატივა მათი ხსოვნისადმი მიძღვნილი ცენტრის შექმნის შესახებ.

საზოგადოების მიერ სტალინის აღქმის წინააღმდეგობრიობა

მიუხედავად იმისა, რომ პუტინის მთავრობამ ანტისტალინისტური დისკურსის მარგინალიზაცია მოახდინა, მას ის არ აუკრძალავს ან არ ჩაუხშია. საბჭოთა რეჟიმისგან განსხვავებით, ამჟამინდელი მთავრობა არ ცდილობს ხალხს თავს მოახვიოს ორთოდოქსული აზროვნება. ალექსანდრე სოლჟენიცინის „არქიპელაგი გულაგი“ და სხვა ლიტერატურა სტალინის ტერორის შესახებ ნამდვილად ხელმისაწვდომია წიგნების მაღაზიებსა და ბიბლიოთეკებში. სოლჟენიცინის ქვრივთან კონსულტაციების შემდეგ, პუტინმა პირადად მისცა დასტური, რომ სოლჟენიცინის ნაწარმოების შემოკლებული ვერსია რუსეთის საშუალო სკოლების სასწავლო მასალაში შეეტანათ. მიუხედავად მთელი რიგი ოფიციალური პირების მრავალგზის შეთავაზებისა, რომ რუსულ სკოლებში ყოფილიყო ერთიანი, პოლიტიკურად მისაღები მეოცე საუკუნის ისტორიის სახელმძღვანელო[14], მასწავლებლებს შეუძლიათ სახელმძღვანელოები თავად აირჩიონ.

სტალინიზმის ისტორიის აკადემიური კვლევა ძირითადად არ არის შეზღუდული (თუ არ ჩავთვლით საარქივო მასალებზე ხელმისაწვდომობას, რომელიც ბოლო რამდენიმე წელიწადში შეიზღუდა). თუმცა, ისეთი ცნობილი არასამთავრობო ორგანიზაციისთვის, როგორიცაა „მემორიალი“, რომელიც სტალინის დანაშაულებებს საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით იკვლევს, სიტუაცია საკმაოდ არახელსაყრელი გახდა. მიუხედავად ამისა, ამ ორგანიზაციამ და მისმა მრავალრიცხოვანმა ადგილობრივმა ფილიალებმა მაინც მოახერხა თავიანთი საქმიანობის გაგრძელება.

გულაგის მსხვერპლთა მემორიალი არ არსებობს, მაგრამ პოსტსაბჭოთა პერიოდში მრავლად შეიქმნა სხვადასხვა სტილისა თუ ზომის[15] ადგილობრივი მემორიალები. არასამთავრობო და მედიაორგანიზაციების მიერ გამოქვეყნდა და ეთერით გადაიცა უამრავი მასალა სტალინიზმის შესახებ. სახელმწიფო ტელევიზიაც კი დროდადრო უჩვენებს მხატვრულ და დოკუმენტურ ფილმებს, რომლებიც საბჭოთა გულაგის ტერორს აღწერენ.

ამავე დროს, რუსი და დასავლელი მეცნიერების ისტორიული კვლევების გვერდით გამოფენილია ლიტერატურა, რომელშიც იცავენ და ადიდებენ სტალინს. ასეთ ლიტერატურას რამდენიმე რედაქცია უშვებს, რომელთაგან ორი რუსეთის უდიდეს გამომცემლობას, სახელად „ეკსმოს“ ეკუთვნის. ისინი ბეჭდავენ პოპულარულ არამხატვრულ ლიტერატურას, რომელსაც ერთი ცნობილი მეცნიერი აღწერს როგორც „სტალინისტური პოზიციიდან დაწერილ ფსევდოისტორიას“. ბაზარზე სულ ცოტა 100 ასეთი წიგნი იქნება. ისეთი სათაურებით, როგორიცაა, მაგალითად, „აკრძალული სიმართლე სტალინის რეპრესიებზე“, „სსრკ სტალინის გარეშე: გზა კატასტროფისკენ“ და „გზად 1937 წლისკენ: სტალინი წითელი ოლიგარქების წინააღმდეგ“. როგორც ჩანს, ამგვარ ლიტერატუ-

რაზე დიდი მოთხოვნაა. როგორც მეცნიერი აღნიშნავს, ეს წიგნები წიგნის მაღაზიების თაროებზე თვალსაჩინოდაა გამოფენილი, ყდებით გარეთ, მაშინ, როცა აკადემიური ისტორიკოსების წიგნებს მხოლოდ ყუის ნაწილი მოუჩანთ[16].

მათი გვერდიგვერდ გამოფენა გარკვეულწილად საზოგადოების მიერ სტალინის აღქმას გვიჩვენებს – ერთი მხრივ, ტირანი, რომელსაც მილიონობით ადამიანის სიკვდილში ადანაშაულებენ და მეორე მხრივ – ძლიერი ლიდერი, რომელმაც ომი მოუგო ჰიტლერს. მრავალი რუსი ადამიანის გონებაში, ფაქტობრივად, ეს ორი აღქმა ჩვეულებრივ კომბინირებულია. პოსტსაბჭოთა კოლექტიურ ფსიქიკაში, ეროვნული სიდიადე განუყოფელია ძალადობისა და სისასტიკისგან.

რუსების მსოფლმხედველობის სუბიექტური აღქმის ერთ-ერთი ასპექტი ისიცაა, რომ ისინი დიად და გამარჯვებულ ერს მიეკუთვნებიან. ეს შეხედულება 1945 წელს საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში გამარჯვების შემდეგ წარმოიქმნა. ომი ერთ-ერთია იმ სულ რამდენიმე ისტორიული მოვლენიდან, რაც რუსების საყოველთაო მეხსიერებაში არსებობს და რაც უდავოდ ეროვნული სიამაყის საგანია. პუტინის მთავრობამ გამოიყენა ომის ფაქტორი, რუსების გონებაში ჩაბეჭდილი გამარჯვება, და უფრო ინტენსიურად დაიწყო 9 მაისის გამარჯვების დღის აღნიშვნა; რაც დროის მდინარებასთან ერთად უფრო და უფრო დიდ მასშტაბებს იძენს მაშინ, როცა თვითონ ომი ისტორიის სიღრმეში გადადის.

ომისა და სტალინის, ომში გამარჯვებული ბელადის განსაკუთრებული მნიშვნელობა, მოზაიკის ერთი ნაწილაკია, ერთი მიზეზია იმისა, თუ რატომაა სტალინის ცალსახად დაგმობა შეუძლებელი რუსეთში. პუტინის რუსეთში სტალინი სახელმწიფოს განსახიერებად და ყველაზე ძლიერ თვალსაჩინოებად რჩება.

სტალინი იმ რუსეთისთვისაც საჭირო აღმოჩნდა, რომელიც აღარაა ზესახელმწიფო, როგორც „კომპენსაცია“ ერისთვის, რომელიც მსოფლიოში სტატუსის დაკარგვას განიცდის. სტალინის იმიჯი, როგორც ნაცისტური გერმანიის დამამარცხებლისა და იმ ზესახელმწიფოს ლიდერისა, რომელიც ცივი ომის დროს ამერიკის შეერთებულ შტატებს უტოლდებოდა, გარკვეულწილად ეხმარება რუსეთს დამამცირებელი მდგომარეობის დაძლევაში, რომელიც მან კომუნისტური იმპერიის დანგრევის შემდგომ პერიოდში განიცადა.

სტალინს დღეს ნაკლებად უკავშირებენ ადამიანურ მსხვერპლს ან ხალხის უმწეობას თვითმარქვია და დესპოტი მმართველების პირისპირ. ისტორიულმა გამოცდილებამ რუს ხალხს ასწავლა, რომ ისინი უმწეონი არიან ყოვლისშემძლე სახელმწიფოს წინაშე და რომ მათთვის საუკეთესო სტრატეგიაა, შეეგუონ მმართველების მოთხოვნებ-

სა და კაპრიზებს. ამ გამოცდილებამ გააჩინა დაქვემდებარებულობის მენტალობა და პატერნალიზმის, როგორც ცხოვრების მკაცრი რეალობის მიღების შესაძლებლობა.

მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი ზრუნვა სახელმწიფოს მხრიდან სტალინისტური არ არის, ანუ სახელმწიფო სადისტი მამა აღარ არის, რომელიც ბავშვებს მუდმივად დაუმსახურებელი და სასტიკი სასჯელის შიშის ქვეშ ამყოფებს, კარნეგის საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ რუსების დიდ უმრავლესობას აღარ სურს სტალინის მმართველობის ქვეშ ცხოვრება. მამობრივ ზრუნვას ისინი ნოსტალგიურად იხსენებენ, მაგრამ ის ნოსტალგია, რომელიც პუტინმა გამოიყენა, 1970-იანი წლებიდან მოდის, როცა საბჭოთა რეჟიმი უფრო რბილი იყო, როცა ხალხი შიშში აღარ ცხოვრობდა, როცა სახელმწიფო უზრუნველყოფდა გარკვეულ უსაფრთხოებას და ცხოვრების კარგ დონეს. შესაძლოა, პუტინის მამობრივმა ზრუნვამ მათ კიდევ უკეთესი შემოსავლები შესთავაზოს. თუმცა, შოკისმომგვრელი უთანასწორობის, პროტექციონიზმის, კორუფციის, საჯარო მოხელეების დაუსჯელობის, მზარდი გაურკვევლობისა და საფრთხის განცდის ხარჯზე, 1970-იანი წლების ნოსტალგია უფრო და უფრო მძაფრდება.

ის, რომ სტალინი უდიდეს რუს ადამიანად ითვლება, შეიძლება განვიხილოთ როგორც დაქვემდებარებულობის მენტალობის ირიბი ასახვა. რუსების დიდი ნაწილი, მიუხედავად უსამართლობისა, კორუფციისა და საჯარო მოხელეების მიერ ძალაუფლების აღმაშფოთებლად ბოროტად გამოყენებისა, ჯერ კიდევ ირჩევს პასიურობას და სახელმწიფოსადმი ლოიალურ დამოკიდებულებას. დაახლოებით 80 პროცენტი გამოკითხვაში პასუხობს, რომ ისინი „რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაზე გავლენას არ ახდენენ“[17].

სახელმწიფო პასუხისმგებლობისგან თავის არიდებას და ცვლილებების შიშს ეფუძნება და არა ნდობას ან ნამდვილ მხარდაჭერას. რაც შეეხება მმართველების მიერ ვალდებულებების შესრულებას, საერთო განწყობა ასეთია – დაე, დაკავდნენ საკუთარი კარიერიზმით – პროტესტსა და უკეთესი მთავრობის მოთხოვნას აზრი არ აქვს, რადგან ხალხი მაინც ვერაფერს შეცვლის. გულის სიღრმეში კი თითქმის გაუცნობიერებელი რწმენა არსებობს, რომ საშინელი კრიზისის დროს, მაგალითად, უცხო ქვეყნის შემოჭრისას, სახელმწიფო თავის ხალხს ისევ დიად გამარჯვებამდე მიიყვანს.

დესოვეტიზირებული: ახალი რუსული მენტალობის აღმოცენება

2011 წლის ბოლოს, ათობით ათასი მოსკოველი გამოვიდა ქუჩებში გაყალბებული საპარლამენტო არჩევნების გასაპროტესტებლად. მათი გზავნილი, როგორც მალევე გაირკვა, პოლიტიკური სულაც არ იყო, არამედ ისინი გამოხატავდნენ მორალურ და, წარმოიდგინეთ,

ემოციურ უკმაყოფილებასაც კი პუტინის მიერ ჩამოყალიბებული სახელმწიფო მართვის მოდელის მიმართ. მათ, ვინც 2011-2012 წლებში სახალხო გამოსვლებს შეუერთდა, ცვლილება უნდოდათ – ან, როგორც თავად თქვეს, აღარ სურდათ, ნახირივით მოპყრობოდნენ.

პროტესტანტების ასაღწერად მნიშვნელოვანია ითქვას, რომ ისინი არ ყოფილან საბჭოთა ან დესოვეტიზირებული რუსი მოქალაქეები, რომლებიც მორჩილების მენტალიტეტის ტყვეობიდან გამოვიდნენ. პროტესტანტების უმრავლესობა იმ პოსტინდუსტრიული ეკონომიკის პროდუქტია, რომელიც ძირითადად მოსკოვში განვითარდა. ისინი მიეკუთვნებიან თანამედროვე სამყაროს, იღებენ პასუხისმგებლობას კარიერისა და ცხოვრების სტილის არჩევისას. მათ აქვთ წარმატებაზე ორიენტირებული მენტალიტეტი, ანუ ის, რასაც ტრადიციული რუსული გამოცდილება ვერ ასწავლიდა.

ეს ხალხი არ ეთაყვანება საბჭოთა წარსულის სიდიადის სიმბოლოებს, სტალინს თუ სხვას, რადგან საკუთარი სისუსტეების კომპენსაცია არ სჭირდებათ. როგორც ცალკეული ინდივიდები, სისუსტეს არ გრძნობენ. თანამედროვე სამყაროს ნაწილი არიან და სურთ, რომ ქვეყანამ წინ გაიხედოს, მოდერნიზაცია განიცადოს და ზურგი შეაქციოს მომავალს, რომელსაც პუტინის მმართველობის მოდელი უქადის.

შესაძლოა, ვინც ქუჩაში გამოვიდა, სულ ერთი მცირე ნაწილია, მაგრამ სწორედ ისინი რუსი ხალხის პატერნალისტურ ნაწილს არ მიკუთვნებიან და მათი რიცხვი მით უფრო იზრდება, რაც მეტი ახალგაზრდა ჩამოდის მოსკოვში და სხვა დიდ ქალაქებში პერიფერიებიდან კარგი სამუშაოს მოსაძებნად და თანამედროვე ცხოვრების მოსაწყობად.

ამ ახალი ელექტორატის შეფასებისას სტალინის აღქმა მნიშვნელოვანი ინდიკატორია, რომელიც უფრო თვალსაჩინოა გამოკითხვის შედეგების გაანალიზების და ასაკთან, განათლებასთან, წარმომავლობასთან (სოფელი/ქალაქი) და სხვა ფაქტორებთან მიმართებაში განსხვავებების გამოვლენის შედეგად.

ამ ტენდენციის მაჩვენებელია სტალინის მიმართ ინდიფერენტულობის ზრდა, განსაკუთრებით რუს ახალგაზრდებში. კარნეგის გამოკითხვის შედეგები დამატებით ფაქტებს ავლენს: თვრამეტიდან ოცდაოთხ წლამდე ახალგაზრდებს თითქმის ორჯერ ნაკლებად აინტერესებთ სტალინი ამა თუ იმ კუთხით, ვიდრე ორმოცდათხუთმეტ წელზე მეტი ხნის ადამიანებს.

ახალგაზრდებისთვის სტალინი სულ უფრო და უფრო კარგავს სიმბოლურ მნიშვნელობას და იქცევა ფიგურად შორეული წარსულიდან. ახალგაზრდა რუსები – კარგი განათლებით, მოსკოველები, ვინც ინტერნეტს იყენებენ ახალი ამბების და სხვა პოლიტიკური ინფორმაციის მისაღებად, უფრო მეტად არ ეთანხმებიან მოსაზრებას – „ჩვენს ხალხს

ყოველთვის ექნება მოთხოვნილება ჰყავდეს ისეთი ლიდერი, როგორიც სტალინი იყო, რომელიც მოვა და წესრიგს დაამყარებს“, ვიდრე მათზე უფროსები.

რუსული საზოგადოება უფრო და უფრო მრავალფეროვანი ხდება და აქ მთავარი განმასხვავებელი სახელმწიფოს აღქმაა. პატერნალისტური მოდელი, რომელიც პუტინმა ჩამოაყალიბა, ლეგიტიმაციას იღებს იმ სიმბოლოთა სისტემიდან, რასაც შეიძლება „სტალინისტური“ დავარქვათ. ესაა – შეუმცდარი სახელმწიფო, პატრიოტიზმი, რომელიც გაგებულია როგორც მმართველი ძალის მიმართ ერთგულება, სადაც არალოიალურობა დანაშაულად ითვლება. მაგრამ სიმბოლოებს, რომლებსაც, შესაძლოა, ჯერ კიდევ იზიარებს კონსერვატორი და პასიური რუსული საზოგადოების უმრავლესობა, სულ უფრო ნაკლებად შესწევს ერის გაერთიანების უნარი.

სტალინის სიმბოლო ნელ-ნელა სუსტდება, მაგრამ ჯერ მაინც ცოცხლობს – თუმცა, არა იმ მიზეზით, რომ ახალ, უფრო თანამედროვედ მოაზროვნე უმცირესობას, რომელიც პოტენციურად რუსეთის წინსვლის მამოძრავებელი ძალაა, ალტერნატიული ფიგურისა თუ იდეისთვის ჯერ არ მიუგნია. 1959 წელს დაწერილი ჩიჩიბაბინის ლექსი ზუსტად ამას ეხმიანება:

„სტალინის სული ხომ არ არის ჩვენში,
როდესაც არ ვეძებთ ჭეშმარიტებას
და მხოლოდ სიახლე გვაშინებს?
ბრძოლაში წარსულს არ დავუთმობ,
მაგრამ რას იზამ,
როცა სტალინი ჩვენში არ მომკვდარა?“

გარდამავალი პერიოდი, რომელსაც რუსეთი ახლა გადის, უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ის, რომელიც საბჭოთა კომუნისტურმა სისტემამ საბაზრო კაპიტალიზმზე გადასვლის დროს გაიარა. რუსეთი ჩაბმულია ნელ და არათანაბარ ბრძოლაში ისტორიულ-პოლიტიკური მემკვიდრეობისგან გასათავისუფლებლად, რომელიც ყოვლისმომცველ სახელმწიფო ძალაუფლებაში და ხალხზე ბატონობაში გამოიხატება. სტალინი, როგორც სიმბოლო და არა როგორც ისტორიული ფიგურა, მნიშვნელოვან როლს ინარჩუნებს ამ ბრძოლაში.

დესტალინიზაციის ნამდვილ პროცესს დასჭირდება რუსული სახელმწიფოებრიობის სულ ცოტა ახლებური გააზრება, რაც უნდა დაეფუძნოს სახელმწიფოს ტრადიციული იდეის უარყოფას, უშიშროების ძალების პოლიტიკური და ისტორიული ხელშეუხებლობის დამთავრებას, კონცეფციის – „ჩვენ, ხალხი“ – მიღებას და რუსეთის მომავლის საერთო ხედვის ქვეშ გაერთიანებას. შეუძლებელია იმის თქმა, მიიღებს თუ არა რუსეთი ამ გამოწვევას და თუ მიიღებს – როდის. მაგრამ, სანამ ეს არ მოხდება, არც სტალინი მოკვდება.

შენიშვნები

1 მარტინ მალია. საბჭოთა ტრაგედია. სოციალიზმის ისტორია რუსეთში. 1917-1991. (ნიუ-იორკი. თავისუფალი პრესა, 1994), გვ. 315

2 ერთი გამონაკლისი: 2013 წლის 31 იანვარს ვოლგოგრადის ქალაქის საბჭომ ვეტერანთა მოთხოვნით გადაწყვიტა, წელიწადში 6 დღე, როდესაც მნიშვნელოვანი სამხედრო დღესასწაულებია, ვოლგოგრადი მოიხსენიონ ძველი სახელით, როგორც სტალინგრადი. იხ. „აღდგეს სტალინგრადი დღესასწაულებზე“, ბიბისი, ახალი ამბების გამოშვება, 1 თებერვალი, 2013. www.bbc.co.uk/news/world-europe-21291674

3 იხ. ვლადიმერ კოზლოვი, პოლიტიკური მღელვარება საქართველოში კომპარტიის მე-20 ყრილობის შემდეგ; უცნობი სსრკ. ხალხისა და ძალაუფლების დაპირისპირება, 1953-1985, მოსკოვი, ოლმა პრესი, 2006. http://krotov.info/lib_sec/11_k/oz/lov_va4.htm

4 პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი ესაუბრება პრესას მემორიალური ადგილის მონახულების შემდეგ. 30 ოქტომბერი, 2007. http://archive.kremlin.ru/eng/speeches/2007/10/30/1918_type82912type82915_149844.shtml [სიტყვები „სიგიჟე“, „რატომ“ ოფიციალური ტრანსკრიპტიდან ამოიღეს]

5 პრეზიდენტ დმიტრი მედვედევის სიტყვა „მოგონება ეროვნული ტრაგედიისა წმინდათაწმინდაა, როგორც მოგონება გამარჯვებაზე“, 39 ოქტომბერი, 2009. http://kremlin.ru/video/256. ტრანსკრიპტი რუსულ ენაზე: http://kremlin.ru/transcripts/5862

6 რუსეთის პრეზიდენტის, დმიტრი მედვედევის ექსკლუზიური ინტერვიუ გაზეთ „იზვესტიაში“, 7 მაისი, 2010. http://izvestia.ru/news/361448

7 პუტინმა კატინში დაგმო სტალინის რეპრესიები, მაგრამ მოუწოდა, რუსი ხალხი არ დაედანაშაულებინათ ამაში. 7 აპრილი, 2010. http://www.newsru.com/russia/07apr2010/katyn.html

8 რუსეთის დუმა გმობს სტალინს კატინში მომხდარი ხოცვა-ჟლეტის გამო, ბიბისი, ახალი ამბების გამოშვება, 26 ნოემბერი, 2010. http://www.bbc.co.uk/news/world-europe-11845315

9 „ფედოტოვი გეგმავს საბჭოს პრიორიტეტებს ადამიანის უფლებების კუთხით“, ინტერფაქსი, 12 ოქტომბერი, 2010. http://www.interfax.ru/society/news.asp?id=159653

10 პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის სიტყვა უშიშროების სააგენტოს მოსამსახურეთა დღის აღსანიშნავ ღონისძიებაზე, 20 დეკემბერი, 2007. http://archive.kremlin.ru/appears/2007/12/20/2033_type122346_154979.shtml

11 რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ორგანოების დღის აღნიშვნის ინიციატივა შემოიტანა ბორის ელცინმა 1995 წელს და ამის შემდეგ იგი აღინიშნება, როგორც პროფესიული დღესასწაული; ამ დღეს რუსეთის პრეზიდენტი მიმართავს სახელმწიფო უშიშროების ორგანოებს ოფიციალური მისასალმებელი სიტყვით

12 პრეზიდენტ დმიტრი მედვედევის სიტყვა უშიშროების სააგენტოს მოსამსახურეთა დღის აღნიშვნის ღონისძიებაზე, 20 დეკემბერი, 2011. http://eng.kremlin.ru/transcripts/3262

13 ანდრეი სოლდატოვი და ირინა ბოროგანი, „ახალი მაღალი საზოგადოება. რუსეთის უშიშროების სახელმწიფოს აღდგენა და კგბ-ს მარადიული მემკვიდრეობა“, (ნიუ-იორკი, საზოგადოებრივი საქმეები, 2010)

14 როცაკი არ უნდა გაკეთდეს ასეთი განცხადებები, მუდმივად ხაზი ესმება იმას, რომ ისტორიის ერთიანი სახელმძღვანელოს შეტანა სკოლებში არ უნდა „აშავებდეს“ საბჭოთა წარსულს, არამედ უნდა აღვივებდეს სიამაყის შეგრძნებას მოსწავლეებში მიღწევებზე ფოკუსირებით და არა – კრიტიკით. რაც შეეხება სტალინს, ხაზი უნდა გაესვას საბჭოთა ინდუსტრიალიზაციას, მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებას, ა.შ. და მინიმუმამდე უნდა დავიდეს ტერორის, რეპრესიებისა და ა.შ. ხსენება. ახლახან, ასეთი ინიციატივა გააჟღერა რუსეთის კულტურის მინისტრმა ვლადიმერ მედინსკიმ. http://www.medinskiy.ru/nuzhen-edinyj-shkolnyj-uchebnik-istorii-dlya-rossii-i-dlya-sng

15 პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა მემორიალები ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, http://www.sakharov-center.ru/asfcd/pam/list.html

16 ფილიპ ჩაპკოვსკი, „საიდუმლო სამკუთხედი: აპოლოგეტური პროსტალინისტური ლიტერატურის პოპულარობის წყარო რუსეთში“, ნაშრომი წარმოდგენილი იყო ჰელსინკის უნივერსიტეტში საერთაშორისო სიმპოზიუმზე: „მოთხრობები განსაცდელების შესახებ ცივი ომის შემდგომ ევროპაში: მეორე მსოფლიო ომი ტრანსნაციონალურ კონტექსტში“, ჰელსინკი, 3-4 სექტემბერი, 2012

17 ადამიანის უფლებების, ხელისუფლებისა და საზოგადოების ინტერესების შესახებ რუსეთში, ლევადა-ცენტრის პრესრელიზი, ნოემბერი, 2011



ფოტო: გურამ წიბახაშვილი

ლევ გუდკოვი

„ბელადის“ მითოლოგემა

ერთი ტოტალიტარული სიმბოლოს სოციოლოგიისთვის

სტალინის სახელი პოსტსაბჭოთა სივრცეში სიმბოლური რესურსების მნიშვნელოვნების ინდიკატორად, ან საბჭოთა პერიოდის იმ იდეოლოგიური ინსტიტუტების ინერციის მაჩვენებლად შეიძლება გამოდგეს, რომლებიც უკვე ახალი დროების პირობებში აგრძელებს „მუშაობას“. სტალინური მითოლოგემის არსებობა დიქტატორის გარდაცვალებიდან 60 წლის შემდეგაც კი, ერთი მხრივ, იმით აიხსნება, რომ სხვადასხვა ტიპის ელიტებში დღემდე შენარჩუნებულია მოთხოვნა/წარმოდგენა ძალაუფლების თვითკმარობასა და სუვერენულობაზე, მეორე მხრივ კი, ახალი დროის გამოწვევებთან „სტალინის“ სახების ადაპტირებით, ანუ რეჟიმის ინტერესების მისადაგებით პერსონალურ მითთან, რომელიც ლეგიტიმაციას უკეთებს, ამართლებს ჯგუფური ინტერესების წარმომადგენლობის, საზოგადოების თვითორგანიზაციის, ადამიანის თავისუფლების და მისი უფლებების განუსხვისებლობის იდეების დათრგუნვის პოლიტიკას. ამგვარი მითის ძალმოსილება იმ უნარით იზომება, თუ რამდენად მოახერხებს 30-50-იან წლებში შემუშავებული „გენიალური ბელადის და მასწავლებლის“ ძირითადი სქემისთვის ახალი წარმოდგენების და პროპაგანდისტური კლიშეების „მიერთებას“: გერმანიასთან ომიდან გამარჯვებით გამოსული გენერალისიმუსისა თუ მსოფლიო კომუნისტური ზესახელმწიფოს ლიდერის ნოსტალგიური სახიდან ეროვნული უპირატესობის (რუსებისა და სხვა ნაციონალური ერთობების) სიმბოლოდ, სახელმწიფოს „შედეგიან მენეჯერად“ ქცევას, რომელმაც ჩამორჩენილი ქვეყანა ფორსირებული მოდერნიზაციის გზაზე დააყენა. მთავარი აქ ისაა, რომ სტალინის პიროვნების ინტერპრეტაციის (ან, შესაბამისად, პრო-

პაგანდის მიერ თავს მოხვეული მასობრივი აღქმის) აზრობრივი დომინანტი არ იცვლება: დიქტატორის აბსოლუტური ძალაუფლება საზოგადოების მხრიდან კონტროლს ან შეზღუდვას არ ექვემდებარება; ამასთან, თვით საზოგადოება პასიურ, ამ ძალაუფლებაზე დამოკიდებულ, მისი ნებისა და ინტერესებისამებრ მართულ ძალად მოიაზრება. 1989 წელს სოციოლოგების თხოვნაზე, დაესახელებინათ „საზოგადო თუ კულტურის მოღვაწეთაგან ყველაზე გამოჩენილი ადამიანები, რომლებმაც მსოფლიო ისტორიაზე ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს", რუსეთში სტალინი გამოკითხულთა სულ რაღაც 12%-მა დაასახელა (ანუ, სიაში, რომელშიც ასზე მეტი სხვადასხვა მოღვაწის სახელი იყო შეტანილი, მეთერთმეტე ადგილი მიაკუთვნა)[1].

23 წლის შემდეგ სტალინმა – პირველად საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის ისტორიაში – ამ სიაში წამყვან პოზიციაზე გადაინაცვლა (იგი გამოკითხულთა 42%-მა დაასახელა, იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1. ყველაზე მნიშვნელოვანი სახელების დინამიკა რუსეთის საზოგადოებრივ აზრში, 1989-2012 წლები

	1989	1991	1994	1999	2008	2012	რანგის ცვლილება
ლენინი	72	59	46	42	34	37	I-> II
მარქსი	35	8	6	5	3	4	III-> XXXIII
პეტრე I	38	51	56	45	37	37	II-II
პუშკინი	25	32	31	42	47	29	IV-IV
სტალინი	12	28	28	35	36	42	XI-> I

მონაცემები მოტანილია თითოეული კითხვის პასუხთა ჯამთან პროცენტულ მიმართებაში.

1990 წლის მიწურულს, როცა „პერესტროიკის" პირველი ეფექტი საზოგადოებაში უკვე ოდნავ მიინავლა, რუსეთში ძნელად წარმოსადგენი ჩანდა, რომ სტალინის სახელი მასობრივი ტერორის, კოლექტივიზაციის, შიმშილის, 1941 წლის სამხედრო კატასტროფის, კოსმოპოლიტებთან ბრძოლისა და ა.შ. გარდა, ისტორიას კიდევ სხვა რამ კონტექსტით შემორჩებოდა. 1991 წლის დასაწყისში გამოკითხულთა სულ 0,2% მიიჩნევდა, რომ ერთი თაობის შემდეგ, საბჭოეთის ეპოქაზე მომუშავე ისტორიკოსების გარდა, სტალინი ვინმეს ეხსომებოდა. მაშინ 70% თვლიდა, რომ 2000 წლისთვის ეს ფიგურა სრულიად მივიწყებული იქნებოდა ან მას არავითარი მნიშვნელობა აღარ მიენიჭებოდა; გამოკითხულთა 10% ფიქრობდა, რომ 10 წლის შემდეგ სტალინის სახელი „სსრკ-ის ხალხებისთვის" გარკვეულწილად მნიშვნელოვანი იქნებოდა (დანარჩენებს ამ საკითხთან დაკავშირებით გამოკვეთილი აზრი არ ჰქონდათ).

„სტალინის სიდიადის“ აღდგენის ნელი პროცესი მთელი 90-იანი წლების განმავლობაში შეინიშნებოდა, მაგრამ მის მიმართ საზოგადოებრივი აზრის გარდატეხა ხელისუფლებაში პუტინის მოსვლასთან და რუსეთში ავტორიტარული რეჟიმის დამყარებასთან ერთად მოხდა. საზოგადოების იდეოლოგიზაციის მასშტაბურმა პროგრამამ, რომელიც პუტინის გაპრეზიდენტებისთანავე დაიწყო, კულმინაციას მაშინ მიაღწია, როცა ქვეყანაში გერმანიაზე გამარჯვების 60 წლისთავის აღსანიშნავად დაიწყო მზადება. მმართველი „ედინაია როსიას“ მაშინდელმა ფორმალურმა ხელმძღვანელმა და სახელმწიფო დუმის სპიკერმა, ბორის გრიზლოვმა სტალინის დაბადების დღეზე (21 დეკემბერს, 2004 წ.) კრემლის კედელთან მდგარ მის ძეგლთან ყვავილები მიიტანა და ისტორიაში სტალინის როლის გადაფასების საკითხი დააყენა. გრიზლოვმა მაშინ განაცხადა, სტალინის მოღვაწეობაში დაშვებული „ზედმეტობები“ ხელს არ უნდა გვიშლიდეს, ამ ადამიანის პიროვნების განუმეორებლობა ვაღიაროთ, ადამიანისა, რომელმაც „როგორც ქვეყნის ლიდერმა, მეორე მსოფლიო ომში ქვეყნის გამარჯვებისთვის ძალზე ბევრი გააკეთა“-ო. რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მდივანმა, ა. კუვაევმა სტალინს „ყველაზე სასიქადულო სახელმწიფო მოღვაწე“ უწოდა, „პოლიტიკოსი, რომელიც დღეს რუსეთს ძლიერ აკლია“, და განაცხადა, რომ „დღეს რუსეთი სავალალო მდგომარეობაში იმყოფება“ და ამიტომ მას „ახალი სტალინი სჭირდება“. 2002-2003 წლებიდან სტალინი დაუფარავად ხდება სატელევიზიო პროპაგანდის და პოლიტიკური რეკლამის ობიექტი. სკოლებში შეაქვთ ისტორიის საყოველთაო, ოფიციალურ დონეზე მოწონებული და დამტკიცებული ახალი სახელმძღვანელო; პოლიტიკოსები „ისტორიის დამახინჯების“ წინააღმდეგ გალაშქრების აუცილებლობაზე და ახალგაზრდა თაობისთვის მის სწორად მიწოდებაზე იწყებენ ლაპარაკს.

სტალინის რეაბილიტაცია ფრთხილი და ორაზროვანი პროცესი იყო: პუტინის პოლიტტექნოლოგები მასობრივი რეპრესიების ფაქტს და სტალინის რეჟიმის დანაშაულებებს ვერ უარყოფდნენ, მაგრამ მათ უკანა პლანზე გადაწევას ცდილობდნენ, სამაგიეროდ, გამუდმებით უსვამდნენ ხაზს სტალინის, როგორც მხედართმთავრისა და სახელმწიფო მოღვაწის დამსახურებებს, მის მიერ ქვეყნის მოდერნიზებისა და მსოფლიოს ორი ზესახელმწიფოდან ერთ-ერთად ქცევის ფაქტებს. ამ პოლიტიკის შედეგად (და, ამავე დროს, შესაბამისი პროპაგანდის ერთგვარი შედეგიანობის აღიარებად) შეიძლება ჩაითვალოს, რომ უკვე 2008 წელს კითხვაზე: „გაიხსენებენ თუ არა 50 წლის შემდეგ რუსეთში ი. სტალინს, და თუკი გაიხსენებენ, როგორი (დადებითი, უარყოფითი თუ შერეული) გრძნობით?“, რესპონდენტები უკვე ძველებურად ცალსახა პასუხებს აღარ იძლეოდნენ. რუსეთის მკვიდრთა 23% თვლიდა, რომ სამომავლოდ სტალინის სახელი მთლიანად მიეცემოდა დავიწყებას, მაგრამ გამოკითხულთა ფარდობითმა უმრავლესობამ (45%) მაინც განაცხადა, რომ რუსეთში სტალინს გაიხსენებდნენ, თუმცაღა, „შერეული გრძნობით“. პოლარული და მკაფიოდ გამოხატული დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ გამოავლინა გამოკითხულთა 7%-მა, ნეგატიური – 9%-მა (16%-ს

გაუჭირდა პასუხის გაცემა). სწორედ ეს ფაქტი – იმათი მცირერიცხოვნება, ვინც დიქ-ტატორს მკაფიოდ ნეგატიური, პოტენციურად მორალური შეფასება მისცა – რუსეთის საზოგადოების სოციოლოგიური ანალიზის, ამ საზოგადოების ტრანსფორმაციის შე-საძლებლობის თვალსაზრისით უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს.

ცხრილი 2. როგორ შეაფასებდით სტალინის როლს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში/ ცხოვრებაში?

	1994**	2003	2006	2008	2009	2010	2011
მთლიანობაში პო-ზიტიურად *	27	53	42	42	49	51	45
მთლიანობაში ნე-გატიურად *	47	33	37	37	33	30	35
მიჭირს პასუხის გაცემა	19	14	21	21	18	19	20
გამოკითხულთა ოდენობა	3000	1600	1600	1600	1600	1600	1600

* ამ ნიშნით პასუხების „უდავოდ დადებითად“ + „უფრო დადებითად“ და „უფრო უარყოფითად“ + „უდავოდ უარყოფითად“ ჯამია აღნიშნული.

** 1994 წლის გამოკითხვის დროს განსხვავებული შკალა იქნა გამოყენებული: უკვე მოტანილი ვარიანტების გარდა, კითხვებში შეტანილი იყო „უმნიშვნელო როლი“, რომელიც მაშინ გამოკითხულთა 5%-მა აირჩია.

ცხრილი 3. სტალინური პერიოდის რომელ შეფასებას უფრო ეთანხმებით ჩვენი ქვეყნის ისტორიისათვის?

	1994	1999	2003	2008	2012
კარგი მეტი გაკეთდა, ვიდრე ცუდი	16	26	29	25	27
მეტი ცუდ, ვიდრე კარგი	60	48	47	44	42
განსაკუთრებული არა-ფერი მოუტანია	4	4	4	6	5
მიჭირს პასუხის გაცემა	20	22	21	25	25
კარგი/ცუდი	0.27	0.54	0.62	0.57	0.64

ცხრილი 4. მთლიანობაში როგორი დამოკიდებულება გაქვთ (როგორ ხართ განწყობილი) ი. სტალინის მიმართ?

	2001 აპრილი	2006 აპრილი	2008 სექტემბერი	2010 თებერვალი	2012* ოქტომბერი
აღფრთოვანებით	4	5	1	2	1
პატივისცემით	27	23	22	23	21
სიმპათიით	7	8	8	7	6
განურჩევლად, გულგრილად, ეს თემა არ მაინტერესებს	12	19	37	38	33
უარყოფითად, გაღიზიანებით	18	18	11	12	12
შიშის გრძნობას აღძრავს	16	15	7	7	7
მეზიზღება, მძულს	9	5	4	5	4
მიჭირს პასუხის გაცემა	6	8	10	6	11
პოზიტიური შეფასებების ჯამი	31	28	22	25	28
ნეგატიური შეფასებების ჯამი	43	38	31	24	23
ინდიფერენტული დამოკიდებულებების (განურჩევლად, გულგრილად + მიჭირს პასუხის გაცემა + პასუხის გაცემაზე უარის თქმა) ჯამი	18	27	47	44	49
პოზიტიური/ნეგატიური შეფასებები	0.7	0.7	0.7	1.0	1.2

* 2012 წლის გამოკითხვაში შეტანილი იყო ვერსიები „არ ვიცი, ვინ არის სტალინი“ (1%) და „პასუხის გაცემაზე უარი თქვეს“ (5%), რომლებმაც „ინდიფერენტული პასუხების“ ხვედრითი წონა გარკვეულწილად შეცვალა, რაც რესპონდენტთა პასუხების სხვა ვერსიების თანაფარდობაზე აისახა.

კრემლის პროპაგანდაზე, რომელიც საჯარო სივრცეში სტალინის ფიგურის დაბრუნების მცდელობისკენ იყო მიმართული, მოსახლეობას ერთობ პარადოქსული რეაქცია აღმოაჩნდა: 20 წლის განმავლობაში მის მიმართ დამოკიდებულებამ ნიშანი იცვალა – მკვეთრად ნეგატიური შეფასებები ქვეყნის ისტორიისათვის „მთლიანობაში დადებითი“ როლით იქნა ჩანაცვლებული. პუტინის მმართველობის ათი წლის განმავლობაში იკლო როგორც იმათმა რიცხვმა, ვინც სტალინის მიმართ პოზიტიურად, ან პატივისცემით იყო განწყობილი (მათი ხვედრითი წილი 38%-დან 31%-მდე შემცირდა), ასე-

ვე იმ რესპონდენტთა ოდენობამაც, ვინც მის მიმართ „ზიზღს, სიძულვილს ან შიშს“ განიცდიდა (43%-დან 24%-მდე). მოლოდინის საპირისპიროდ, პრობლემის მიმართ გულგრილი დამოკიდებულება დამკვიდრდა: ინდიფერენტულ პირთა ოდენობამ 2000 წელს აღნუსხული 12%-დან 2008 წელს 44%-მდე იმატა, თანაც ახალგაზრდა ადამიანებს შორის – პუტინის პოლიტტექნოლოგების და პროპაგანდისტების მცდელობები უმეტესად სწორედ ამ კატეგორიისთვის იყო გამიზნული – სწორედ ინდიფერენტული პასუხები დომინირებდა (59%). აზრთა სხვადასხვაობის ასეთივე სურათი განამტკიცა ამ თემის გარშემო ჩატარებულმა უკანასკნელმა, 2012 წლის სექტემბრის გამოკითხვამაც (იხ. ცხრილი 5).

ცხრილი 5. პირადად თქვენ როგორი დამოკიდებულება გაქვთ სტალინის მიმართ?

	დადებითი	განურჩეველი /ინდიფერენტული	უარყოფითი	არ ვიცი, ვინ არის სტალინი	პასუხის გაცემა გაუჭირდათ – პასუხის გაცემაზე უარი თქვეს
საშუალოდ	28	33	23	1	16
ასაკი					
18-24	21	41	19	3	17
25-39	20	37	26	2	15
40-54	25	33	26	1	15
55+	41	24	19	0	16
განათლება					
უმაღლესი	24	34	26	1	14
საშუალო სპეციალური	27	33	23	1	15
საყოველთაო საშუალო	28	32	21	2	18
საშუალოზე დაბალი	34	31	19	0	16
სახლობის ადგილი					
მოსკოვი	18	27	46	1	18
დიდი ქალაქი	26	28	24	1	20
საშ. სიდიდის ქალაქი	22	36	26	3	14
პატარა ქალაქი	30	39	16	1	14
სოფელი	35	30	18	1	16

	დადებითი	განურჩევე-ლი /ინდიფე-რენტული	უარყოფითი	არ ვიცი, ვინ არის სტა-ლინი	პასუხის გაცემა გაუ-ჭირდათ – პა-სუხის გაცე-მაზე უარი თქვეს
ინტერნეტით სარგებლობა					
ახალი ამბები, პოლიტიკა	21	35	31	1	13
ნებისმიერი მიზნით	21	36	26	1	16
არ სარგებ-ლობს	29	8	43	4	15
საქმიანობის ტიპი					
მეწარმე	16	24	27	3	30
ხელმძღვანე-ლი პირი	30	40	21	-	9
სპეციალის-ტი	24	29	29	2	16
მომსახურე პირი	20	38	23	1	18
მუშა	24	38	24	0	14
მოსწავლე/ სტუდენტი	14	44	22	5	14
პენსიონერი	47	24	16	0	14
დიასახლისი	25	41	22	2	10
უმუშევარი	23	26	22	2	28

აქ შემდეგი პასუხების ჯამია მოტანილი: დადებითი = „აღფრთოვანებით“ + „პატივისცემით“ + „სიმპათიით“; ნეგატიური = „ზიზღით, სიძულვილით“ + „შიშით“ + „უარყოფითად, გაღიზიანებით“; 2012 წელი, სექტემბერი, გამოკითხულთა ოდენობისადმი პროცენტული თანაფარდობით.

თუ გადავხედავთ, რომელ სოციალურ ჯგუფებში იწვევს პატივისცემას სტალინის ფიგურა, აღმოჩნდება, რომ განსხვავება ძალიან დიდი არაა, თუმცაკი, მაინც შეიმჩნევა: ახალგაზრდებს, განათლებულ ადამიანებსა და ქალაქის მცხოვრებლებს შორის სტალინის თაყვანისმცემლებისა და იმათი რიცხვი, ვინც „სტალინის მითს“ იზიარებს, უფრო ცოტაა, ვიდრე რუსეთის ხანდაზმულ და მცირედ განათლებულ მოქალაქეებს, განსაკუთრებით კი, სოფლებისა და პატარა ქალაქების მცხოვრებლებს შორის. საქმე მარტო ის არ არის, რომ ღატაკი, დეპრესიული, სტაგნაციაში ჩაძირული, ადგილ-ადგილ კი – დეგრადირების გზაზე შემდგარი პროვინცია საბჭოთა წარმოდგენების თავისებური საცავის როლს ასრულებს – ამას სხვა მიზეზებიც აქვს. სადაც სოციალურ-სტრუქტუ-

რული, ინსტიტუციური დიფერენციაცია დათრგუნულია, სადაც ცხოვრების სირთულე მინიმალურადაა გამოხატული, კომუნიკაციისა და ინსტიტუციონალური ურთიერთქმედების პრიმიტიული, პარტიკულარისტული, უმეტესად პირადული ტიპია შემონახული, იქ ადამიანის ცხოვრებას მეტისმეტად დაბალი ფასი აქვს (ფრაზის პირდაპირი მნიშვნელობითაც: ცხოვრების ღირებულებაც დაბალია). ასეთ ადგილებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ის ინსტიტუტები, რომლებიც ამ განუვითარებლობის კომპენსირებას ზემოდან მოხვეული კოლექტიური სიმბოლოებით და წარმოდგენებით ახდენს (ასეთები კი მხოლოდ სკოლა და სატელევიზიო პროპაგანდა შეიძლება იყოს). და პირიქით, ინდივიდუალიზმის ღირებულების ზრდა დიდ ქალაქებში – რაც სოციალური ცხოვრების გართულების თანამდევი მოვლენაა – სტალინის მითის (და არამხოლოდ მის) მიუღებლობას იწვევს (იხ. ცხრილები 5 და 6).

ცხრილი 6. რამდენად ეთანხმებით მოსაზრებას: 1) „სტალინი სახელმწიფოს ბრძენი მეთაური იყო, რომელმაც სსრკ ძლევამოსილ და აყვავებულ ქვეყნად აქცია“ და 2) „სტალინი სასტიკი, არაადამიანური თვისებების მქონე ტირანი იყო, რომელიც მილიონობით ადამიანის სიკვდილშია დამნაშავე“?

	სახელმწიფოს ბრძენი მეთაური			სასტიკი ტირანი		
	დაეთანხმა	არ დაეთანხმა	პასუხის გაცემა გაუჭირდა	დაეთანხმა	არ დაეთანხმა	პასუხის გაცემა გაუჭირდა
საშუალოდ	50	37	14	68	19	13
სქესი						
მამაკაცები	52	35	14	65	21	14
ქალები	48	39	13	70	17	13
ასაკი						
18-24 წელი	38	41	21	64	16	21
25-39	44	41	14	72	16	12
40-54	48	40	11	74	16	11
55 წელი +	61	27	11	60	27	14
განათლება						
უმაღლესი	45	43	13	71	19	11
საშუალო ზოგადი	46	41	14	70	16	13
არასრული საშუალო, დაწყებითი	60	28	13	63	23	15

	სახელმწიფოს ბრძენი მეთაური			სასტიკი ტირანი		
	დაეთანხმა	არ დაეთანხმა	პასუხის გაცემა გაუჭირდა	დაეთანხმა	არ დაეთანხმა	პასუხის გაცემა გაუჭირდა
დასახლების ტიპი						
მოსკოვი	46	44	9	76	14	10
დიდი ქალაქი (500 ათასზე მეტი მოსახლე)	44	44	12	71	19	10
საშ. სიდიდის ქალაქი	43	41	16	65	18	17
პატარა ქალაქი (250 ათას მოსახლემდე)	52	33	15	71	15	15
სოფელი	59	29	12	62	26	12
ოჯახის შემოსავალი						
მაღალი	45	43	12	74	14	11
საშუალოდ მაღალი	45	40	15	69	18	14
საშუალოდ დაბალი	54	35	11	65	23	12
დაბალი	59	31	11	64	24	12
გაუჭირდათ პასუხის გაცემა	49	32	19	63	18	19

2011 წელი

სტალინის მიმართ დამოკიდებულებათა განაწილების მსგავსივე კანონზომიერებები შეინიშნება სხვა ქვეყნებშიც, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში.

ცხრილი 7. როგორი დამოკიდებულება გაქვთ (როგორ ხართ განწყობილი) ი. სტალინის მიმართ?

პასუხის ვარიანტები	სომხეთი	აზერბაიჯანი	საქართველო	რუსეთი
აღფრთოვანებით	4	2	4	1
პატივისცემით	19	13	29	21
სიმპათიით	7	6	16	6
განურჩევლად, გულგრილად, ეს თემა არ მაინტერესებს	23	15	15	33
უარყოფითად, გაღიზიანებით	14	7	8	12
შიშით	9	12	7	7
ზიზღით, სიძულვილით	12	18	4	4

პასუხის ვარიანტები	სომხეთი	აზერბაიჯანი	საქართველო	რუსეთი
არ ვიცი, ვინ არის სტალინი	7	20	4	1
პასუხის გაცემა გაუჭირდა	6	7	12	11
პასუხის გაცემაზე უარი თქვა	0	1	2	5
პოზიტიური პასუხების ჯამი	30	21	49	28
ნეგატიური პასუხების ჯამი	35	37	19	23
პოზიტიური/ნეგატიური	0.9	0.6	2.6	1.2
ინდიფერენტული პასუხების ჯამი + უჭ. პას.გაც. + არ უპას.	36	43	33	50
გამოკითხულთა ოდენობა	2400	1729	2518	1600

ისეთი რესპონდენტების მაქსიმალური ოდენობა, რომელთაც სტალინზე არაფერი იციან, აზერბაიჯანშია დაფიქსირებული (20%)[2], რაც შეიძლება საბჭოთა იდეოლოგიური მემკვიდრეობისგან თანდათანობითი დისტანცირების ირიბ მაჩვენებლად ჩაითვალოს – საერთო საბჭოთა წარსულისგან ამ ქვეყნის ჩამოშორების ნიშნად, რომელიც კულტურით, რელიგიით სხვა ქვეყნებისგან ძლიერ განსხვავდებოდა.

გამოკითხულ პირთა შორის ინდიფერენტული რეაქციის ჯამური მონაცემების მაღალი ხვედრითი წონა აღინიშნა რუსეთში – 50%, რაც მოცემული სიმბოლური ფიგურის მიმართ ხაზგასმით ნეიტრალური განწყობის მანიშნებელია.

ნიშანდობლივია, რომ ამგვარი რეაქცია – საბჭოთა დიქტატორის მიმართ მკაცრი და მკაფიო დამოკიდებულების გამოხატვაზე უარის თქმა გამორჩეული სოციალური რესურსების მქონე რესპონდენტთა მნიშვნელოვან ნაწილს აღენიშნება: სომხეთის დედაქალაქის, ერევნის მკვიდრთა შორის „ინდიფერენტულთა“ ოდენობამ 27% შეადგინა, სოფლად – 22%, საქართველოში, თბილისში – 21%, სოფლად – 9% (აზერბაიჯანში ამგვარი კანონზომიერება არ შეინიშნება). რუსეთში პირუკუ სურათია: მოსკოვში „გულგრილთა“ მაჩვენებელი 27%-ია, სოფლად – 30%, მაგრამ პატარა და საშუალო სიდიდის ქალაქებში, რომლებიც ერთგვარად „სოციალიზმის რეზერვაციებად“, პუტინიზმის სოციალურ ბაზად შეიძლება განვიხილოთ – 36-39%; სტალინის ფიგურას დადებითად აღიქვამს: მოსკოვში – 18%, ნეგატიურად – 46%, პატარა ქალაქებში, შესაბამისად, ეს მაჩვენებლებია 29% და 16%, სოფლად ეს პროპორცია უფრო კონტრასტულადაც კი გამოიყურება – 35% და 18%.

ერევანსა და ბაქოში იგივე კანონზომიერება შეინიშნება: სტალინის მიმართ დადებითად და ნეგატიურად განწყობილ გამოკითხულთა ხვედრითი წილები შეადგენს 26% და 37%, 21% და 35%-ს. თბილისში კი სურათი სრულიად საპირისპიროდ გამოიყურება: 43% და

27%, რაც ცალკე ახსნას მოთხოვს და სტალინის, როგორც რეპრეზენტაციურ-ნაციონალური ფიგურის, ანუ მისი, როგორც სსრკ-ის ქართველ მმართველად აღქმას უკავშირდება. თუმცა, სტალინის მითის გამზიარებლებად, უპირველეს ყოვლისა, აქაც მოსახლეობის პერიფერიული ჯგუფები და კატეგორიები გვევლინება (ასაკოვანი ადამიანები, სოფლის მკვიდრნი და ნაკლებ განათლებული რესპონდენტები), მაგრამ კონტრასტი სოციალური ელიტის და მასის განწყობას შორის სხვა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებზე ნაკლებადაა გამოხატული. ყოველ შემთხვევაში, ზოგი სხვა ამ ქვეყნისთვის დამახასიათებელი გაორება („სტალინი – სახელმწიფოს ბრძენი მმართველი, რომელმაც სსრკ ძლევამოსილ და აყვავებულ ქვეყნად აქცია“ და „სტალინი – სასტიკი, არაადამიანური თვისებების მქონე ტირანი“, „ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ სტალინის მეთაურობით ჩვენმა ხალხმა ომი მოიგო“ და „სტალინისდროინდელ პოლიტიკურ რეპრესიებს გამართლება არ აქვს“) საქართველშიც შენარჩუნებულია. ზემოთ მოტანილი ფაქტები რომ უფრო გასაგები გახდეს, პოლარული ჯგუფების – დედაქალაქი და სოფელი, მაღალი და საშუალო (ან საშუალოზე დაბალი) განათლების მქონე რესპონდენტების – პასუხებს შევაპირისპირებთ.

ცხრილი 8. როგორი დამოკიდებულება გაქვთ მთლიანობაში ი. სტალინის მიმართ?

	დადებითი	ინდიფერენტული	უარყოფითი	ბალანსი [+] – [-]
აზერბაიჯანი				
უმაღლესი განათლება	20	14	48	- 28
საშუალო განათლება	19	17	35	-16
დედაქალაქი	21	16	35	-24
სოფელი	24	18	32	-8
18-30 წელი	11	15	29	-18
61 წლის და ზემოთ	38	8	46	-8
სომხეთი				
უმაღლესი განათლება	27	22	41	-14
საშუალო განათლება	27	26	32	-5
დედაქალაქი	26	27	31	-5
სოფელი	37	22	35	+2
18-30 წელი	18	28	32	-14
61 წლის და ზემოთ	44	16	24	+20
საქართველო				
უმაღლესი განათლება	42	18	26	+16
საშუალო განათლება	48	11	15	+33
დედაქალაქი	43	21	27	+16
სოფელი	55	9	14	+41
18-30 წელი	29	21	24	+5
61 წლის და ზემოთ	74	7	12	+62

	დადებითი	ინდიფერენტული	უარყოფითი	ბალანსი [+] – [-]
რუსეთი				
უმაღლესი განათლება	24	34	26	-2
საშუალო განათლება	26	32	21	+5
საშუალოზე დაბალი განათლება	34	31	19	+15
დედაქალაქი	18	27	46	-28
სოფელი	35	30	18	+17
18-30 წელი	21	41	19	+2
61 წლის და ზემოთ	41	24	19	+22

რუსეთის იმ მოქალაქეთა ოდენობის მატება, რომლებიც სტალინის ფიგურას დადებით შეფასებას აძლევენ, მის მიმართ ადამიანური სიმპათიის ზრდას ან ტოტალიტარული განწყობების რესტავრაციას არ მოასწავებს, მიუხედავად იმისა, რომ ამგვარად ინტერპრეტირების ცდუნება მართლაც დიდია. სტალინიზმის და სტალინური ეპოქის შეფასებები ორგვარ სახეს იღებს: სტალინის „ისტორიული როლი“ საზოგადოებრივი აზრისათვის მეტ ღირებულებას იძენს, ხოლო იმ დროის აღქმა, რომელიც იმავე სტალინის სახელითაა დაღდასმული, კვლავ ნეგატიურ კონოტაციებს ინარჩუნებს, თუმცაღა, ნეგატივიზმის ხარისხი იკლებს.

ეს ორგვარობა, გარკვეული აზრით, გაორება, მართალია, ალოგიკურად გამოიყურება, მაგრამ შემთხვევითი სულაც არაა. როგორც მონაცემთა ანალიზი გვიჩვენებს, ერთი და იგივე ადამიანები ამბობენ, რომ „სტალინის მეთაურობით სსრკ ძლევამოსილ და აყვავებულ ზესახელმწიფოდ იქცა“; რომ „სტალინი ტირანი იყო, რომელიც მილიონობით ადამიანის სიკვიდილშია დამნაშავე“; რომ „სტალინის მეთაურობით ჩვენმა ხალხმა ომი მოიგო“ და რომ „სტალინის პოლიტიკამ სამხედრო კადრების განადგურება გამოიწვია და ომისათვის ქვეყნის მოუმზადებლობის მიზეზი გახდა“ (იხ. ცხრილი 9).

ამგვარი, არა მხოლოდ სხვადასხვაგვარი, არამედ თან ერთმანეთთან შეუთავსებელი მოსაზრებების ბმა, რომელიც მასობრივი ცნობიერების სოციოლოგიურ კვლევებში არაერთხელ მეორდება, გვიჩვენებს, რომ ეს არც სოციოლოგიური არტეფაქტია და არც გამოკითხვის მეთოდიკაში გაპარული შეცდომის შედეგი, არც „მასობრივი ცნობიერების შიზოფრენია“, როგორადაც ხშირად სურს ჩათვალოს ზოგიერთ დამკვირვებელს – არამედ „ორაზრიანობის“ სპეციფიკური მექანიზმების მოქმედება, რომელიც ტოტალიტარულ და – ოდნავ ნაკლებად – პოსტტოტალიტარულ ცნობიერებას ახასიათებს.

ცხრილი 9. რამდენად ეთანხმებით ქვემოთ მოტანილ მოსაზრებებს

მოსაზრებები	მთლიანად ვეთანხმები/ უფრო ვეთანხმები	უფრო არ ვეთანხმები/სრულებით არ ვეთანხმები	მიჭირს პასუხის გაცემა
1. ი. სტალინი სახელმწიფოს ბრძენი მეთაური იყო, რომელმაც სსრკ ძლევამოსილ და აყვავებულ ქვეყნად აქცია	50	37	14
2. ი. სტალინი სასტიკი, არაადამიანური თვისებების მქონე ტირანი იყო, მილიონობით უდანაშაულო ადამიანის სიკვდილშია დამნაშავე	68	15	13
3. როგორი შეცდომები და მანკიერებებიც არ უნდა მიეწეროდეს სტალინს, ყველაზე მთავარი ესაა: ჩვენმა ქვეყანამ სწორედ სტალინის მეთაურობით გაიმარჯვა სამამულო ომში	68	16	13
4. ი. სტალინის პოლიტიკამ (სამხედრო კადრების განადგურება, ჰიტლერთან პირის შეკვრა) გამოიწვია ის, რომ ქვეყანა ამ ომისთვის მოუმზადებელი აღმოჩნდა	58	22	20
5. მხოლოდ მკაცრ მმართველს შეეძლო მძაფრი კლასობრივი ბრძოლის პირობებში, საგარეო მუქარის წინაშე მდგარ ქვეყანაში წესრიგის შენარჩუნება	56	26	18
6. ჩვენი ხალხი ვერასდროს მოახერხებს არსებობას სტალინის ტიპის სახელმწიფო მეთაურის გარეშე, რომელიც, მოვა თუ არა სათავეში, წესრიგს დაამყარებს	34	50	17
7. სტალინს ისეთი ადამიანები სვრიან ლაფში, ვისთვისაც რუსი ხალხის და ჩვენი სახელმწიფოს ინტერესები არაფერს ნიშნავს	32	42	26
8. სრული სიმართლე სტალინის და მისი ქმედებების შესახებ ჯერაც არ ვიცით	68	14	19

2008 წლის ოქტომბერი (პროცენტული მაჩვენებლები თითოეული სტრიქონის მონაცემებთან მიმართებაშია მოცემული)

ამგვარი ეფექტები გამოკითხვის ტექნიკისა თუ სტატისტიკური დამუშავების თავისებურებებისგან დამოუკიდებლად მეორდება და ფიქსირდება. მათი ახსნა ვერც იმ გარემოებით ხერხდება, რომ რესპონდენტები შინაარსობრივად განსხვავებული პასუხების გაცემისას გონებით სხვადასხვა რეფერენტულ „კითხვის დამსმელზე“ კონცენტრირდებიან: პირველ შემთხვევაში, მათგან პასუხს თითქოს სახელმწიფოს წარმომადგენელი ელის, რომელზეც მნიშვნელოვანი სახელმწიფო ინტერესების პრიორიტეტულობის, მათი სიდიადის ანარეკლია გადმოსული – კოლექტიური სიმბოლოების და წარმოდგენების მატარებელი პირი. მეორე შემთხვევაში, ვინც მის პასუხს ელოდება, „ჩვეულებრივი საღი აზრის“ და მორალის, საზოგადოების, კერძო პირის, ღირებულებების და ინტერესების მატარებელია, რომელიც აქტუალურ და ისტორიულ მოვლენებს საკუთარი თვალთახედვით აფასებს. რესპონდენტისა და იმ ავტორიტეტული ინსტანციების ურთიერთქმედების ამ სემანტიკური სიბრტყეების დაშორიშორება, რომელთაც ინტერვიუერი გამოკითხვის სიტუაციაში წარმოადგენს, მხოლოდ თეორიულად, კონცეპტუალურად შეიძლება; ცალკეული ადამიანის ცნობიერებაში და, მით უფრო – მასობრივ ცნობიერებაში ისინი შერეულია, ერთმანეთს გადახლართული და, რაც მთავარია, ერთმანეთს ავსებს (პროპაგანდის მიზანიც ამგვარი შედეგის მიღწევაა).

მასობრივი განწყობების ამბივალენტობა ფუნქციონალურია, იგი ნაციონალური სიდიადისა და ძალადობის ბმის დაუშლელობაზე მიუთითებს, რაც კოლექტიური იდენტობის იმ ტრავმატულ სტრუქტურას ქმნის, რომელიც პოსტსაბჭოთა ცნობიერებისთვისაა დამახასიათებელი. ერთის გამოხატვა მეორის გარეშე შეუძლებელია. რაკი სახელმწიფო აქ არასდროს ყოფილა საერთო ინტერესების, საზოგადოების ინტერესების (არც ცარისტულ, არც საბჭოთა და არც პოსტსაბჭოთა პერიოდში) ინსტანცია, ამის გამო სოციალური ფუნქციების შესრულება, რომელ სფეროზეც არ უნდა იყოს საუბარი (ჯარში სამსახურიდან – მოქალაქის ამ წმინდა მოვალეობიდან, მორალისა და კულტურის სფეროების კონტროლით დამთავრებული) გარკვეული იძულების გარეშე შეუძლებელია. ძალადობისა და კოლექტიური ღირებულებების, ერთობის განცდის, პრესტიჟთან და სახელთან დაკავშირებული სიმბოლოების ბმა იწვევს იმას, რასაც „ბოროტებით ფასცინაცია“ ეწოდება – სახელმწიფოს ისტორიის, იმპერიის სიდიადის ხიბლით ტკბობას თუ უზენაესი ხელისუფლების საკრალიზაციას[3]. კოლექტიური ცნობიერების ამგვარი სტრუქტურების მნიშვნელოვნება კარგად ხსნის სამოქალაქო სოლიდარობის პოტენციალის სისუსტეს (კერძო ინტერესების დევალვაციას, მათ სტერილიზაციას იმ ნაციონალური მთლიანობის „სიდიადის“ სასარგებლოდ, რომელსაც მონოპოლიურად წარმოადგენს ხელისუფლება), რაც რუსეთში პოლიტიკურ ცვლილებათა შესაძლებლობის პარალიზებას ახდენს.

კითხვაზე (2009 წლის აგვისტო) „როგორ მიგაჩნიათ, ვინ არის უმთავრესად პასუხისმგებელი იმ რეპრესიებსა და ადამიანურ დანაკარგებზე, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში მეოცე საუკუნის 30-იანიდან 50-იანი წლების დასაწყისამდე მოხდა?“, 19%-ის პასუხი იყო „სტალინი“, და ზუსტად ამდენივესი – „სახელმწიფო სისტემა“, მაგრამ ფარდობით უმრავლესობას (41%) ეს ცნებები და პასუხისმგებლობა ერთმანეთისგან არ გამოუყვია, ამ კატეგორიამ სტალინი და სახელმწიფო ერთ მთლიანობად გააერთიანა (გამოკითხულთა 6% დამნაშავეებად „ჩვენი ქვეყნის მტრებს“ თვლიდა, ან სხვა რამ მიზეზს ასახელებდა, 15%-ს – პასუხის გაცემა გაუჭირდა). მასობრივი წარმოდგენების ამგვარი სურათი ავტორიტარული სოციუმის იმ პერსონალისტურ წარმოდგენებს შეესაბამება, რომლებიც მას ისტორიის და სოციალური ორგანიზაციის შესახებ აქვს, რაც უახლესი ხანის რუსეთში სოციალური სისტემის არასაკმარისი დიფერენცირებულობის შესახებ გაკეთებულ დასკვნას ადასტურებს.

სტალინური პროპაგანდის აშკარა ეფექტს (ამ პროპაგანდისტული ლაქის „განფენა“ მასობრივი ცნობიერების ზედაპირზე) თან ყოვლისშემძლე დიქტატორის სტალინური მითის ეროზიაც ახლავს. რუსეთის მკვიდრთა დიდი ნაწილისთვის სახელმწიფო მმართველის ამგვარი მოდელი მიუღებელია (50% და 42%, იხ. ცხრილი 9, მე-6 და მე-7 პუნქტები), მაგრამ რაკი სახელმწიფო თვალსაზრისისათვის წინააღმდეგობის გასაწევად საკმარისი რესურსები არ გააჩნიათ, საკუთარი მორალური უსუსურობის მტკივნეული გაცნობიერებისაგან იმ მიზეზით, რომ წარსულის მიმართ საკუთარი მორალური შეფასების გამოხატვა არ შეუძლიათ – რესპონდენტები „იკეტებიან“ და იმ კომფორტულ პოზიციას აფარებენ თავს, რომელიც ასეთნაირადაა ფორმულირებული: „ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით სრული სიმართლე ი. სტალინისა და მისი ქმედებების შესახებ“; პასუხის ამ ვერსიას ირჩევს გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა – 68%; მათ უნდა შეემატოს ის 19%-ც, რომელთაც „პასუხის გაცემა გაუჭირდათ“ – ჯამში 87%. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ესაა პრაქტიკულად საყოველთაო რეაქცია ნაციონალური ცნობიერების ტრავმაზე. რუსეთის მოქალაქეთა ძალზე მცირე რიცხვია მზად სკკპ-ის ის ძველი იდეოლოგიური ვერსია გაიზიაროს, რომელიც სკკპ-ის XX ყრილობისთვის იქნა ჩამოყალიბებული, და 1920-1950-იანი წლების რეპრესიები ისტორიულ აუცილებლობად შერაცხოს, რომელიც სსრკ-ის მიმართ მეზობელი ქვეყნების მტრული განწყობისა თუ მძაფრი „კლასობრივი ბრძოლის“ პირობებში გარდაუვალი იყო. დღეს გამოკითხულთა უდიდესი ნაწილი ამ მოვლენებს იმ დანაშაულებებად მიიჩნევს, რომელთაც გამართლება არ აქვს.

ცხრილი 10. როგორ ფიქრობთ, გამართლებულია თუ არა ის მსხვერპლი, რომელიც საბჭოთა ხალხმა სტალინის ეპოქაში გაიღო, ამართლებს თუ არა მას ეპოქის დიადი მიზნები და ის შედეგები, რომლებიც უმოკლეს დროში იქნა მიღწეული?

	ოქტომბერი 2008	აგვისტო 2010	აპრილი 2011	ნოემბერი 2012*
მკაფიო „დიახ“	3	5	4	4
დიახ, გარკვეულწილად	24	29	26	21
არა, მისი გამართლება შეუძლებელია	60	58	61	60
პასუხის გაცემა მიჭირს	13	9	10	7

პროცენტული მაჩვენებლები მოტანილია გამოკითხულთა საერთო ოდენობასთან მიმართებით.

* ამ გამოკითხვაში შეტანილ იქნა ვერსია „პასუხის გაცემაზე უარი თქვეს“, რომელიც რესპონდენტთა 8%-მა აირჩია; მეტ-ნაკლები სიზუსტითა და დიდი სიფრთხილით ამ ჯგუფის შედარება იმ მეორე ჯგუფთან შეიძლება, რომელთაც პასუხის ვარიანტად „გარკვეულწილად დიახ“ და „მიჭირს პასუხის გაცემა“ აირჩიეს, ანუ მათი პასუხი შეიძლება ვერსიისაგან „დიახ“ თავის მსუბუქად დაძვრენად ჩაითვალოს.

ცხრილი 11. რეპრესიების შესახებ ქვემოთ მოტანილ რომელ მოსაზრებას უფრო ეთანხმებით?

	2007	2011	2012
ეს პოლიტიკური აუცილებლობა იყო, ეს ქმედებები ისტორიულად გამართლებულია	9	14	13
ეს პოლიტიკური დანაშაული იყო, ამას გამართლება ვერ მოეძებნება	72	70	66
მიჭირს პასუხის გაცემა	19	16	21

პროცენტული მაჩვენებლები მოტანილია გამოკითხულთა საერთო ოდენობასთან მიმართებით.

თუმცა, იმის მიუხედავად, რომ სტალინის პოლიტიკის არაადამიანურობა კარგად აქვთ გაცნობიერებული, რუსეთის მოსახლეობის ძირითადი მასა მაინც ვერ ბედავს იმ იდეის გაზიარებას, რომ სტალინი, როგორც უზენაესი ხელისუფლების მატარებელი, შეიძლება გასამართლდეს და ხელახლა შეფასდეს, ანუ მან, მოქალაქემ, სახელმწიფოს მეთაურის (და არა როგორც კერძო, თუმცა კი ძალზე გავლენიანი პირის) პერსონალური და სამართლებრივი დანაშაულის აღიარებაში მიიღოს მონაწილეობა, რაც იურიდიულ და

მორალურ პასუხისმგებლობას გულისხმობს. 2009 წლის აგვისტოში ლევადა-ცენტრის სოციოლოგებმა რესპონდენტებს დაუსვეს კითხვა: „სტალინური ეპოქის რეპრესიათა მასშტაბის გათვალისწინებით, ეთანხმებით თუ არა აზრს, რომ იოსებ სტალინი, როგორც ქვეყნის მაშინდელი მეთაური, სახელმწიფო დამნაშავედ უნდა ჩაითვალოს?". პასუხი „ვეთანხმები" აირჩია 38%-მა, ამ შეფასებას არ დაეთანხმა 44% („მთლიანობაში არ შემიძლია ასე თქმა" – 32%, „სრულებით არ ვეთანხმები" – 12%, პასუხის გაცემა გაუჭირდა 18%-ს). სხვაგვარად რომ ვთქვათ, რუსეთის მკვიდრთა 62%-მა უარი თქვა ეღიარებინა სტალინის (საბჭოთა) რეჟიმის სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი შეფასების აუცილებლობა.

რუსეთის მოქალაქეთა დიდ უმრავლესობას არათუ სტალინის კულტის დაბრუნება, მისი ნაწილობრივი რეაბილიტაციაც კი არ სურს. ისინი სტალინის იმ ძეგლების აღდგენის წინააღმდეგები არიან, რომლებიც ხრუშჩოვის დროს იქნა განადგურებული; მით უფრო ეწინააღმდეგებიან მისთვის ახალი ძეგლების დადგმის იდეას, რასაც სახელმწიფო დუმას ზოგიერთი მისი დეპუტატი სთავაზობდა გერმანიაზე გამარჯვების 65 წლისთავისათვის. ასევე არაორაზროვნად გამოთქვამდნენ რესპონდენტები აზრს (54-59% მთელი ათწლეულის, 2001-2010 წლების განმავლობაში) ვოლგოგრადისთვის ძველი სახელის, „სტალინგრადის" დაბრუნების წინააღმდეგ, სტალინგრადის ბრძოლის გმირული შარავანდედის მიუხედავად[4]. იმ ეპოქის რეალობისადმი ღრმად გამჯდარ შიშზე, სტალინის პერსონაჟისადმი პასიურ ანტიპათიაზე, სხვა დანარჩენს შორის, გამოკითხულთა უმრავლესობის დაუფარავი პასუხებიც მოწმობს, რომ სტალინის ან მისი მსგავსი რომელიმე დიქტატორის მართვის პირობებში ცხოვრება არ სურს (74% 2008 წელს გამოკითხულთა შორის, და 67% 2012 წელს გამოკითხულთა შორის). მსგავსი რეაქციები ვლინდება სხვა რესპუბლიკებშიც, რომლებშიც ეს გამოკითხვები ჩატარდა:

ცხრილი 12. პირადად თქვენ გსურთ ცხოვრება და მუშაობა ისეთი ლიდერის მმართველობის პირობებში, როგორიც ი. სტალინი იყო?

	დიახ, ხაზგასმით + უფრო დიახ	უფრო არა + ხაზგასმით არა	გაუჭირდა პასუხის გაცემა	პასუხის გაცემაზე უარი თქვა
აზერბაიჯანი	14	74	10	1
სომხეთი	26	69	6	0
საქართველო	27	60	12	1
რუსეთი	18	67	9	6

თუმცა, სტალინის სიმბოლური სტატუსი მისი სახელმწიფოებრივი მითის სტრუქტურაში ბლოკირებას უკეთებს საბჭოთა ისტორიის რაციონალიზაციის, ტოტალიტარუ-

ლი პარტიის და სახელმწიფოს რეალური როლის გააზრების, ლუსტრაციის ნებისმიერ მცდელობას, და მტკიცე წინააღმდეგობას უწევს სსრკ-ში მოწყობილი ტერორისა და პოლიტიკური რეპრესიების ორგანიზატორებისთვის ნიურნბერგის ტრიბუნალისმაგვარი პროცესის შესაძლებლობას. უკვე 1990 წელს გამოკითხულთა 62% აცხადებდა, რომ პრესა და ტელევიზია „სტალინიზმის კრიტიკას“ და „სტალინიზმის დანაშაულებების გამოაშკარავებას“ მეტისმეტად დიდ დროს უთმობდა. ეს პრობლემა ხალხს აშკარად მობეზრებული ჰქონდა[5]. მასმედიის საშუალებებში და პოლიტიკოსების გამოსვლებში მკაფიოდ ჟღერდა: კმარა ჩვენი დიადი წარსულის ლაფში ამოსვრა! და არსებითად, ეს მოტივები არსად გამქრალა და რეფორმების მომხრე ძალების და ლიბერალების სადისკრედიტაციო მარჯვე ინსტრუმენტად იქცა. 2011 წლის თებერვალში უფლებათა დამცველების და პოლიტოლოგების ჯგუფმა პრეზიდენტ მედვედევს „დესტალინიზაციის“ ფართო კამპანიის ჩატარება შესთავაზა. მათი სათქმელი ის იყო, რომ ამ კამპანიის ჩაუტარებლად მედვედევის მიერ გამოცხადებული „რუსეთის მოდერნიზაცია“ და „სამართლებრივი სახელმწიფოს შენება“ შეუძლებელია. ამგვარივე იდეით გამოდიოდა ზოგიერთი ოპოზიციური დემოკრატიული პარტიაც. ამ ინიციატივებს მძაფრი წინააღმდეგობა დაახვედრეს როგორც სახელისუფლებო პარტიის („ედინაია როსია“) იდეოლოგებმა, ისე კომუნისტებმა და ნაციონალისტურმა ძალებმა. უფლებათა დამცველების პროგრამა რეჟიმის იდეოლოგიური მსახურების მიერ პროვოკაციად იქნა აღქმული, რომლის მიზანი „საზოგადოების ერთიანობის დარღვევა და მისი დაქუცმაცება“, იმ წარმოდგენის განმტკიცების მცდელობა იყო, თითქოს „მთელი რუსეთი ერთი დიდი კატინია“; რომ იგი მმართველ კლასში და მის პარტიაში, „ედინაია როსიაში“[6], განხეთქილების შეტანას ისახავდა მიზნად. განსაკუთრებული სიმძაფრით ამ პროგრამის წინააღმდეგ კომუნისტებმა გაილაშქრეს. როგორც რუსეთის ფედერაციის კომუნისტური პარტიის მომხრე ისტორიკოსი, ფილოსოფიის ლექტორი, მ. ლომაკოვი წერდა, „სტალინური მმართველობა რუსი ხალხის მენტალიტეტს ითვალისწინებდა, ლიბერალების ხელისუფლებას კი ხალხი ისე განაგდებს, როგორც უცხო სხეულს“. მედვედევის საპროგრამო „მოდერნიზაციას“ იგი „უტოპიას“ უწოდებდა და ამტკიცებდა, რომ „იმის ფონზე, რაც უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში მოხდა, უპირველეს ყოვლისა, სტალინის ეპოქა იდეალურად თუ არა, რომანტიკულ პერიოდად მაინც გამოიყურება, შრომითი და საბრძოლო გმირობების ეპოქად. და ამ ეპოქის სიმბოლო იოსებ სტალინია“.

ისევე, როგორც კრემლის პოზიციაზე მდგომი ბევრი სხვა პოლიტოლოგი და პუბლიცისტი, ლომაკოვიც ამტკიცებდა, თითქოს „ლიბერალებს იმის გამო სურთ სტალინის განადგურება, რომ ესმით: დღეს, დასავლეთისადმი სრული მორჩილების დღევანდელი მუქარის ფონზე, ქვეყანაში არსებობს სოციალური მოთხოვნა სტალინისმაგვარ პიროვნებაზე“[7].

დასავლეთიდან მოსალოდნელი ხიფათის ამ მოტივს – „დასავლეთი რუსეთს დემოკრატიას ახვევს თავზე, რომ იგი ნედლეულის მომწოდებელ კოლონიად აქციოს“ – პუტინი და კრემლის პროპაგანდა ერთხმად იმეორებენ. რუსეთის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს ამ მუქარის არსებობა სარწმუნოდ ეჩვენება, რადგან იგი ცივი ომისდროინდელ იდეოლოგიურ სტერეოტიპებს შეესაბამება – დახურული საზოგადოების სულისკვეთებას, რომელიც ოდნავ შესუსტებული სახით, დღემდეა შემორჩენილი. ეს რწმენა, უპირველეს ყოვლისა, პუტინის ხელისუფლებას სჭირდება. იგი სტალინის მიმართ გამოთქმულ ყველა ბრალდებას წონას აკარგვინებს, სტალინის კრიტიკის „გაუვნებელყოფას“ ახდენს, კრიტიკისა, რომელიც ჯერ კიდევ სკკპ-ის XX ყრილობიდან და ხრუშჩოვის ცნობილი მოხსენებიდან იღებს სათავეს.

ამ ყაიდის უმარტივესი ტაქტიკა ან ბრალდებების დისკვალიფიცირებაში მდგომარეობს, ან თავად ბრალმდებლების დისკრედიტაციაში. მაგრამ ყველაზე შედეგიანად იგი მხოლოდ თავგადაკლული სტალინისტების მცირე ჯგუფებზე მოქმედებდა, ძირითადად – პენსიონერებზე, როგორც წესი, ყოფილ პარტიულ აქტივისტებზე და ბიუროკრატებზე. 2007 წელს მოსაზრებას, თითქოს „სტალინური რეპრესიები მხოლოდ გამონაგონია, რომელიც დიდი ბელადის სახელის შებღალვას ისახავს მიზნად“, გამოკითხულთა მხოლოდ 5% დაეთანხმა, მაგრამ კითხვაზე „ეთანხმებით თუ არა მოსაზრებას, რომ სტალინისდროინდელი რეპრესიების მასშტაბებს ძლიერ გადაჭარბებულად წარმოაჩენენ?“, დადებითად უკვე გამოკითხულთა მესამედმა უპასუხა (1996 წელს მათი ხვედრითი წილი 29% იყო). თუმცა, ამ მოსაზრებას გაცილებით მეტი რესპონდენტი არ დაეთანხმა – 43-49%. დაცვის კიდევ ერთი ვარიანტი, რომლის თანახმად რეპრესიები მხოლოდ პარტიის „წმენდას“ უკავშირდებოდა და ძირითადად პოლიტიკურ „ზედა ფენებს“ ან „ხალხის ნამდვილ მტრებს“ შეეხო, გამოკითხულთა ასევე შედარებით მცირე ნაწილმა აირჩია (შესაბამისად, 18% და 9% – 2007 წელს; 14% და 10% – 2011 წელს).

საზოგადოებრივი აზრისთვის ფუნქციური თვალსაზრისით გაცილებით მნიშვნელოვანია თეზისი იმის შესახებ, რომ რეპრესიები ტოტალური ხასიათისა იყო და არა რომელიმე სოციალურ ჯგუფზე მიმართული, რომ ისინი მოსახლეობის ყველა კატეგორიას და ყველა სოციალურ ჯგუფს ეხებოდა (ტერორის ირაციონალობის თეზისის გაზიარება სხვაგვარად შეუძლებელია). ამიტომ კითხვას (2011 წლის აპრილი) „თქვენი აზრით, ვის შეეხო 1937-38 წლების რეპრესიები?“, მხოლოდ 11%-მა უპასუხა ამ ვერსიით: „იმათ, ვინც საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ იყო განწყობილი“, კიდევ 8%-მა ასე უპასუხა: „საბჭოთა ხელისუფლების ყველაზე ერთგულ მომხრეებს“, ხოლო 23%-მა შემდეგნაირად: „ყველაზე ნიჭიერ და ავტორიტეტულ ადამიანებს“. თუმცა, გამოკითხულთა ფარდობითმა უმრავლესობამ განაცხადა – „განურჩევლად ყველას, ხელისუფლების უკონტროლო თავნებობისა თუ დაბეზღებების გამო“. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საბ-

ჭოთა ხელისუფლების დანაშაულებები, მოსახლეობის დიდი ნაწილის აზრით, სწორედ რომ ხალხის მიმართ იქნა ჩადენილი, და არა რომელიმე ცალკეული ჯგუფის მიმართ, მსხვერპლი ზოგადად ხალხი იყო. თანაც, რაც მნიშვნელოვანია, მასობრივი ცნობიერება ამ რეპრესიების მსხვერპლად მხოლოდ იმ პირებს კი არ მიიჩნევს, ვინც სისხლიან ხორცსაკეპში დიდი ტერორის წლებში მოხვდა – ადამიანებს რეპრესიები მეტწილად უფრო ფართო გაგებით ესმით, მის მსხვერპლთა კატეგორიაში შეჰყავთ სამხედრო პირებიც, გაკულაკებულებიც და რეპრესირებულთა ოჯახების წევრებიც.

ცხრილი 13. თქვენი აზრით, სტალინური რეპრესიების მსხვერპლად ვინ უნდა იქნას მიჩნეული?

პოლიტიკური მუხლით გასამართლებული ყველა პირი	71
მათ შორის: მხოლოდ დახვრეტილი პირები ამ მუხლით გასამართლებულთაგან	9
ომის დროს ტყვედ ჩავარდნის გამო გასამართლებული პირები	45
პოლიტიკური მუხლით გასამართლებულ პირთა ოჯახის წევრები, რომლებიც მუდმივი საცხოვრებელი ადგილებიდან გამოასახლეს, სამსახურებიდან დაითხოვეს ან სხვა რამ ფორმით შეზღუდეს	42
გაკულაკებულები	38
ჩვეულებრივი სასამართლო პროცედურის დარღვევით გასამართლებულები („სამეულების“ მიერ ან დაჩქარებული სასამართლო წესით)	36
ე.წ. სპეცგადასახლებულები (მათ შორის, რეპრესირებული ხალხების წარმომადგენლები)	29
შრომითი დისციპლინის დარღვევისთვის გასამართლებულები (20-ზე მეტი წუთით სამსახურში დაგვიანებისთვის და ა.შ.)	25
პოლიტიკური მუხლით გასამართლებულ პირთა ოჯახის წევრები, რომელთა უფლებებიც არ შელახულა	10
მიჭირს პასუხის გაცემა	11

2011წლის აპრილი

ამიტომ რუსეთის მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას არანაირ სირთულეს არ უჩენს კითხვა, „საჭიროა თუ არა „დესტალინიზაციის პროგრამა?“ რუსეთის საზოგადოება ამ პროგრამის უკლებლივ ყველა პუნქტის შესრულებას აუცილებლად მიიჩნევს, ხოლო თვით პროგრამას – დიდი ხნის მომწიფებულ საჭიროებად.

ცხრილი 14. თქვენ პირადად დაუჭერდით თუ არა მხარს:

	კი	არა	გაუჭირდათ პასუხის გაცემა
რეპრესიების მსხვერპლთა ხსოვნის უკვდავყოფას (ტოტალიტარული რეჟიმის მსხვერპლთა ხსოვნისადმი მიძღვნილი წიგნების გამოცემას, რეპრესიების მსხვერპლთა ძეგლების აღმართვას ყველა მსხვილ ქალაქში და მათი დაღუპვის ადგილებში)?	70	19	11
სოციალური დახმარების დაწესებას რეპრესიების ცოცხალ მსხვერპლთათვის?	78	12	10
მასობრივი რეპრესიების პრაქტიკის პოლიტიკურ-სამართლებრივ შეფასებას სახელმწიფო დონეზე?	64	14	22
მასობრივი რეპრესიების არქივების გასაიდუმლოებას?	68	18	14
იმ მოქალაქეთა იურიდიული რეაბილიტაციის პროცესის დასრულებას, რომლებიც საბჭოთა ისტორიის სხვადასხვა პერიოდში პოლიტიკური მოტივებით იქნენ გასამართლებულები?	72	13	15
კანონის მიღებას, რომლის თანახმადაც მასობრივ რეპრესიებზე პასუხისმგებელ პირთათვის პატივის მისაგებად დასახლებულ პუნქტებში ძეგლების აღმართვა, ქუჩებისა და მოედნების სახელდება აიკრძალება?	53	25	22

2011 წლის მაისი, მონაცემები მოტანილია გამოკითხულთა ოდენობის მიმართ პროცენტულ მიმართებაში.

სტალინური მითის დაძლევის პრობლემა იმაში კი არ მდგომარეობს, რომ ადამიანებმა სტალინის დანაშაულებების შესახებ არ იციან; პრობლემა ისაა, რომ ისინი თვით საბჭოთა სისტემას არ თვლიან დანაშაულებრივად (ისევე, როგორ პუტინის ავტორიტარიზმის ალტერნატივას ვერ ხედავენ, რადგან არ იციან, როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო სახელმწიფოს სხვაგვარი მოწყობა). რუსულ საზოგადოებაში დღეს არ არსებობენ საყოველთაოდ აღიარებული მორალური და ინტელექტუალური ავტორიტეტები, რომელთაც სისტემისათვის ამგვარი დიაგნოზის დასმა შეუძლიათ. მოსახლეობას წარსულის ახლებურად გააზრების უნარი თავად არ შესწევს. ამიტომ ერთადერთ რეაქციად იმ ფრუსტრაციაზე, რომელიც სტალინური რეპრესიების ცოდნის ფონზე ჩამოყალიბდა, საზოგადოებრივი პროსტრაცია და ყველაფრის „დავიწყების“ სურვილი რჩება. სწორედ ამგვარი შედეგის მიღწევას ისახავდა მიზნად ბატონობის პუტინისეული ტექნოლოგიები: ზნეობრივი სიცხადის არარსებობას და მასობრივი აპათიის გამეფებას, რამაც ავტორიტარულ რეჟიმს საფუძველი გაუმაგრა.

შენიშვნები

1 ეს ღია საკითხია. 2000 წლის ანალოგიურ გამოკითხვაში, რომელიც მე-20 საუკუნის პოლიტიკის წამყვანი ფიგურების მნიშვნელოვნებას ეხებოდა, სტალინი, ლენინის შემდეგ, უკვე მეორე ადგილზე იდგა (ლენინს ეს ადგილი 65%-მა მიაკუთვნა): სტალინი და ჰიტლერი გამოკითხულთა თანაბარმა რაოდენობამ დაასახელა (51%-51%), მათ მოსდევდათ გორბაჩოვი (42%), ნ. ხრუშჩოვი, მაო ძედუნი, უინსტონ ჩერჩილი, ჯონ კენედი, მარგარეტ ტეტჩერი და ა.შ. აქ და შემდგომ მოტანილი ყველა მონაცემი საერთონაციონალური რეპრეზენტაციული გამოკითხვების შედეგადაა მიღებული

2 ყველაზე ახალგაზრდა, 18-30 წლის ასაკის გამოკითხულთა შორის ასეთების რიცხვი უკვე 39%-ია, სომხეთში, იმავე ასაკობრივ კატეგორიაში – 17%, საქართველოში – 8%, რუსეთში კი – მხოლოდ 2,5%

3 ამიტომ შემთხვევითი არაა, რომ „ყველა დროის და ხალხთა უდიდესი ადამიანების“ ჩამონათვალი რუსეთის საზოგადოებრივ აზრში უმეტესად „დიდ ბოროტმოქმედთაგან“ შედგება – მეფეების, ბელადების, მხედართმთავრებისაგან, რომელთა სიაც შიგადაშიგ სახელმწიფო კულტურის სიმბოლოებითაა გაზავებული (პუშკინი, ლომონოსოვი, გაგარინი, მენდელეევი, ტოლსტოი და ა.შ.). ოცდაათ ასეთ „დიდ-დიდ ვარსკვლავთა“ შორის შეჰყავთ ლენინი, სტალინი, პეტრე I, ჰიტლერი, სუვოროვი, ჟუკოვი, ნაპოლეონი, ეკატერინე II, კუტუზოვი, ალექსანდრე მაკედონელი და სხვები. ამ სიაში ჰიტლერის შეყვანის შოკისმომგვრელი ფაქტი (ყველა ცალკეული გამოკითხვის საშუალო მონაცემით იგი მე-15 ადგილს იკავებს), ამ ლოგიკის მიდევნებით, უცნაური უკვე აღარ ჩანს. Гудков. Л. Время и история в сознании россиян. Ч. 2. Вестник общественного мнения, 2010. N 2 (104). გვ. 39

4 შეხედულებათა ანალოგიური განაწილება დაფიქსირდა 2012 წლის ოქტომბრის გამოკითხვაში: მოსკოვის ცენტრში სტალინის ძეგლის დადგმას მხარი გამოკითხულ მოქალაქეთა 23%-მა დაუჭირა, წინააღმდეგი 56% იყო (დანარჩენებს პასუხის გაცემა გაუჭირდათ, ან ამ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი პოზიცია არ გააჩნდათ). ვოლგოგრადისთვის სახელის შეცვლის მოწინააღმდეგე, შესაბამისად, 18% აღმოჩნდა, მომხრე – 60%

5 ერთი წლით ადრე, 1989 წლის იანვარსა და დეკემბერში პასუხები შემდეგნაირი იყო: ამაზე „მეტისმეტად ბევრს წერენ და საუბრობენ“ – 28%, „საკმარისად“ – 47%, „მეტისმეტად ცოტას“ – 16%. დანარჩენებს პასუხის გაცემა გაუჭირდათ. ამავე წლის დეკემბერში ციფრებმა უკვე შეცვლა დაიწყო: ვერსია „მეტისმეტად ბევრს“ აირჩია 45%-მა, „მეტისმეტად ცოტას“ – 36%-მა. 1993 წელს ასეთი სურათი იყო: „მეტსმეტად ბევრს“ – 47%, „მეტისმეტად ცოტას“ – 15%, პასუხის გაცემა 38%-ს გაუჭირდა. გაღიზიანება ნაწილობრივ იმითაც იყო გამოწვეული, რომ 1989-90 წლებში ადამიანების მნიშვნელოვანი ნაწილი (თუ არა უმეტესობა) საბჭოთა წარსულთან კავშირის სრული გაწყვეტის მომხრე იყო, საზოგადოებისა და ეკონომიკის დასავლურ, დემოკრატიულ და საბაზრო ორგანიზებას უჭერდა მხარს და სტალინის ზედაპირული კრიტიკა აშკარად აღარ აკმაყოფილებდა. ისინი არ ეთანხმებოდნენ პოზიციას, რომ ყველა იმ უბედურების ერთადერთი მიზეზი, რაც ყოფილი საბჭოთა კავშირის ხალხებმა გადაიტანეს, სტალინი იყო, და პრობლემის ძირად კომუნისტურ სისტემას ასახელებდნენ, რომელსაც სათავეში სტალინი ედგა (ასე თვლიდა მაშინ გამოკითხულთა 38%). თუმცა, რესპონდენტთა დაახლოებით იგივე ოდენობა არც სტალინს ადანაშაულებდა. ეს კატეგორია თვლიდა, რომ „ისტორიაში სხვადასხვაგვარი პერიოდები არსებობს, და რომ სტალინის პერიოდი საბჭოთა კავშირისთვის ყველაზე ცუდი დროება ნამდვილად არ ყოფილა“ (21%), ან პირიქითაც კი ხდებოდა: სტალინს კრიტიკისგან იცავდნენ და აცხადებდნენ, რომ „მხოლოდ სტალინის წყალობით მოახერხა საბჭოთა ხალხმა ძლიერი, განვითარებული სახელმწიფოს აშენება და დიდ სამამულო ომში ქვეყნის დამოუკიდებლობის დაცვა“ (21%). მაისი, 1993

6 http://www.politonline.ru/groups/4222.html – (იხ. ბ. იაკემენკოს, ა. ისაევის, კ. ზატულინის, ა. პუშკოვის და სხვათა გამოსვლების ტექსტები)

7 http://www.regnum.ru/news/1392867.html#ixzz1J1yxYGwN

ფოტო: გურამ წიბახაშვილი

სტალინს ჯერ კიდევ ეთაყვანებიან თავის სამშობლოში, მაგრამ უფრო როგორც პატრიოტულ სიმბოლოს, ვიდრე პოლიტიკურ მოღვაწეს.

ლაშა ბაქრაძე

საქართველო და სტალინი

„ქართველი ხალხის საამაყო შვილი“ ჯერ კიდევ ჩვენთანაა

პარტიის მეოცე ყრილობაზე ხრუშჩოვის საიდუმლო მოხსენების შემდეგ[1], 1956 წლის 5 მარტს საქართველოში სტალინის გარდაცვალების დღესთან დაკავშირებით დიდი გამოსვლები დაიწყო. ეს 20-იანი წლების შემდეგ საბჭოთა კავშირში მთავრობის წინააღმდეგ მიმართული პირველი მასობრივი პროტესტი იყო პოლიტიკური მოთხოვნებით. შეშინებულმა საბჭოთა ხელისუფლებამ 9-10 მარტის ღამით მომიტინგეებს გამოსვლების ეპიცენტრში – თბილისში ცეცხლი გაუხსნა, რასაც დიდი მსხვერპლი მოჰყვა[2].

ხრუშჩოვის სიტყვა „პიროვნების კულტის და მისი შედეგების შესახებ“ ოფიციალურად არ გამოქვეყნებულა, შესაბამისად, უამრავი ჭორი გაჩნდა. მათ შორის ისიც, რომ სტალინის თვისებებს ხრუშჩოვი მის ეთნიკურ წარმომავლობას მიაწერდა. მიუხედავად იმისა, რომ დემონსტრანტები სტალინისტური და კომუნისტური ლოზუნგებით გამოდიოდნენ, მათი გამოსვლების უკან, უპირველესად, ნაციონალისტური ემოციები იდგა. ისინი, როგორც ქართველები, შეურაცხყოფილები იყვნენ სტალინისადმი უდიერი მოპყრობით. იმ ქართველების წარმოდგენაშიც კი, ვისაც ტვინი არ ჰქონდა გამორეცხილი სტალინისტური პროპაგანდით და საქართველოს კომუნისტური რეჟიმის მსხვერპლად აღიქვამდა, სტალინი არა მხოლოდ საბჭოთა ბელადი, ამ ტოტალიტარული რეჟიმის მთავარი შემქმნელი იყო, არამედ ქართველი, რომელმაც მოახერხა, ათწლეულების განმავლობაში უზარმაზარი იმპერიის ერთპიროვნული მმართველი ყოფილიყო. ამ პრიმიტიული კომპენსაციის ფორმულა ასეთი იყო – „ჩვენზე რუსები ბატონობენ, მათზე კი „ჩვენი ბიჭი“.

ქართველების დამოკიდებულება სტალინთან პირდაპირ არ უკავშირდებოდა და, მით უმეტეს, დღეს არ უკავშირდება საბჭოთა იმპერიისადმი, ან კომუნისტური იდეოლოგიისადმი სიმპათიას. 1956 წლის მარტის დემონსტრაციის ძალადობრივმა დაშლამ საქართველოში კომუნისტური იდეოლოგიის გაკოტრება, შეიძლება ითქვას, მისი დასამარება გამოიწვია. 1956 წლიდან სტალინის პატივისცემა კარგავს კავშირს კომუნისტურ იდეოლოგიასთან და ნელ-ნელა სრულიად შორდება მას.

საქართველოში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ არ არსებობს ოდნავ მაინც გავლენიანი კომუნისტური პარტია. რუსეთისგან განსხვავებით, არც ძლიერი ნოსტალგია შეიმჩნევა საბჭოთა წარსულის მიმართ და ძნელად მოიძებნება ადამიანთა დიდი ჯგუფი, რომელიც შეიძლება იზიარებდეს პუტინის აზრს, რომ „მეოცე საუკუნის მთავარი გეოპოლიტიკური კატასტროფა საბჭოთა კავშირის დანგრევაა“[3]. სტალინის ფაქტორის მიუხედავად, საბჭოთა კავშირი ქართველების იმპერია არ ყოფილა – ეს სტალინის მოყვარულმა ქართველებმაც იციან. „მესამე რომი“ ან მეორე მსოფლიო ომი ქართული ეთნიკური მითოლოგიის შემადგენელი ნაწილი არაა. ქართველები საკუთარი იდენტობის გასამყარებლად მეორე მსოფლიო ომში ფაშიზმზე გამარჯვებას ვერ იყენებენ, მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ უზარმაზარი მსხვერპლი გაიღო ამ ომში გამარჯვებისთვის. თუმცა, როგორც ჩვენი საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა ცხადყოფს, ამ ომში გამარჯვებით რუსებზე მეტადაც კი ამაყობენ. მეორე მხრივ, არსებობს დიდი ინტერესი რიცხობრივად შეუდარებლად მცირე ქართველ ლეგიონერთა მიმართ, რომლებიც გერმანელების მხარეს იბრძოდნენ. ქართველები მათ არ აღიქვამენ, როგორც სამშობლოს მოღალატეებს. საბჭოეთი, პერმანენტული საბჭოთა პროპაგანდის მიუხედავად, ქართველების სამშობლოდ ვერ იქცა.

ქართველებს არც კიდევ ერთი ეროვნული გმირი უნდა სჭირდებოდეთ სტალინის სახით, მაგრამ სტალინი ქართველებისათვის, როგორც ჩანს, ძლიერ პიროვნებად დარჩა, რომელიც შიშის ზარს სცემდა მსოფლიოს და რომელიც დღემდე ყველაზე ცნობილი ქართველია. ის ლოკალური პატრიოტიზმის და ხალხური თაყვანისცემის საგნად იქცა. მისი სურათი ყველა მეწაღეს (ალბათ, როგორც მეწაღის შვილი, თითქოს მეწაღეთა მფარველი წმინდანი) ღვთისმშობლის ხატის გვერდით უკიდია.

პატარა ქოხი გორში ისეთივე რელიგიური თაყვანისცემის ადგილად გადაიქცა, როგორც ლენინის მავზოლეუმი მოსკოვში. ამ ქოხზე გალაკტიონ ტაბიძე ამბობს – „აქ საიდუმლო პატარა ქოხის – / საიდუმლოა კაცობრიობის“ და ლექსის ბოლოს – „მას ხომ თავისი არ აქვს სახელი, / მისი სახელი – ლეგიონია“[4]. გრიგოლ რობაქიძე სტალინს აჭრიმანულ ძალას მიაწერს[5]. ისინიც კი, ვინც სტალინისადმი კრიტიკულად არიან განწყობილნი, მასში დემონს, სატანას (ლეგიონი ეშმაკის სახელია. მარკოზი 5:9), ზეკაცს ხედავენ.

ჯერ კიდევ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი აღნიშნავდა დავითის ენერგიისა და ნიჭის შეუსაბამობას ქვეყნის მასშტაბთან. „თუ არა ქართველთა ოდენ სპითა ვერ-ცა-რას ალექსანდრე [მაკედონელი] იქმოდა კარგსა. და თუ-მცა დავითს სპარსთა ჰქონებოდა მეფობა, ანუ ბერძენთა და ჰრომთა ძალი, ანუ სხუათა დიდთა სამეფოთა, მაშინ-მცა გენახნეს ნაქმარნი მისნი, უაღრესნი სხუათა ქებულთანი“[6]. ეს ქართული ოცნება რვა საუკუნის შემდეგ რეალობად სტალინმა აქცია[7].

სტალინისადმი სიმპათიას რუსეთსა და საქართველოში განსხვავებული მიზეზები აქვს – თუ რუსეთში სტალინი პატერნალისტური წესრიგის და სახელმწიფოს „მკაცრი ხელის“ სიმბოლოა, საქართველოში ის უფრო ნორმიდან გადახვევად, არსებული წესრიგის წინააღმდეგ აჯანყებულად აღიქმება. ქართველებისთვის დღემდე უჩვეულოა ის, რომ დაპყრობილი ერის წარმომადგენელი მეტროპოლიის სათავეში მოექცა.

მიუხედავად პარტიის მეოცე ყრილობისა და ხრუშჩოვის სიტყვისა, მთელი საბჭოთა პერიოდის განმავლობაში საბჭოეთში დესტალინიზაცია არ მომხდარა. ის არ მომხდარა, შესაბამისად, არც საქართველოში. საბჭოთა ტერორი, რომელზეც, ბოლშევიკთა პარტია და პირველ რიგში, სტალინია პასუხისმგებელი, ფართო საზოგადოების განხილვის საგანი მხოლოდ „პერესტროიკის“ დროს გახდა.

განსხვავებით სხვა ტოტალიტარული რეჟიმისგან, მაგალითად, გერმანიისგან, სადაც ისტორიის გადამუშავება (დაძლევა) მაშინვე დაიწყო, როგორც კი რეჟიმი დასრულდა, საბჭოთა კავშირში სტალინის სიკვდილთან ერთად რეჟიმი არ შეცვლილა, არამედ ოდნავ უფრო „ლმობიერი“ გახდა. ქვეყნის სათავეში სტალინისდროინდელი დამნაშავეები დარჩნენ; ტოტალიტარული რეჟიმის საფუძველი – კომუნისტური იდეოლოგია კითხვის ნიშნის ქვეშ არავის დაუყენებია. ადამიანთა ჯგუფს, რომელიც ამ რეჟიმის შექმნასა და სტაბილიზაციას უწყობდა ხელს, პასუხი არასდროს უგია.

სწორედ ამ მიზეზით, ისტორიის დაძლევა ისე, როგორც, მაგალითად, გერმანიაში, საბჭოთა კავშირში არასოდეს მომხდარა. საბჭოთა ისტორიით ფართო საზოგადოების დაინტერესება და ინფორმაციის მიღება შესაძლებელი მხოლოდ სტალინის სიკვდილიდან დაახლოებით 35 წლის შემდეგ, საბჭოთა კავშირის ნგრევის პერიოდში გახდა.

1991 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ უაღრესად რთული სოციალური და პოლიტიკური სიტუაცია შეიქმნა, რომელიც უახლოესი ისტორიის სერიოზულად განსჯის საშუალებას არ იძლეოდა (1995 წლის 9 მაისს, მეორე მსოფლიო ომში ფაშიზმზე გამარჯვების 50 წლისთავზე ედუარდ შევარდნაძემ სტალინის მუზეუმში სტალინის „ფენომენის“ შესასწავლი ცენტრის შექმნაზე ისაუბრა – მაგრამ, ეს გეგმა

არ განხორციელებულა). სამწუხაროდ, ეს დაუინტერესებლობა უახლესი ისტორიით, მტკივნეული საკითხებისადმი წაყრუების, დანაშაულის გრძნობისგან გაქცევის მცდელობა და სხვაზე გადაბრალების სურვილი, ქართულ საზოგადოებაში დღემდე გრძელდება.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში ანტირუსულ და ანტიკომუნისტურ რიტორიკასთან ერთად სტალინის კრიტიკაც ისმოდა, მაგრამ სერიოზული ისტორიული და პოლიტოლოგიური კვლევები, რომელიც ფართო საზოგადოებისთვისაც ხელმისაწვდომი იქნებოდა და ყურადღებას მიიპყრობდა, საქართველოში, სამწუხაროდ, არ შედგა. პროპაგანდისტული მიზნით შექმნილ ოკუპაციის მუზეუმს, რასაკვირველია, საზოგადოების ცოდნა საბჭოთა და, კერძოდ, სტალინური ეპოქის შესახებ დიდად არ გაუზრდია. არც ზედაპირულ სატელევიზიო ფილმებს შეუძლიათ სერიოზულად შეცვალონ დამოკიდებულება სტალინისა და მისი ეპოქისადმი. არც სასკოლო წიგნები აწვდიან ახალგაზრდებს საკმარისად ღრმა ინფორმაციას საბჭოთა ეპოქის შესახებ, უმაღლეს სასწავლებლებში თითქმის არსად ისწავლება საბჭოეთის ისტორია. გორში სტალინის მუზეუმის სტალინიზმის მუზეუმად გადაკეთების ინიციატივას ქვეყანაში არანაირი დისკუსია არ მოჰყოლია, ამის სურვილი არც ხელისუფლებას ჰქონდა. მეტიც, სავარაუდოა, იაფფასიან რიტორიკას ან ისეთ აქციებს, როგორიც სტალინის ძეგლის მოხსნაა გორში, ღამით ჩუმად, ზემოდან ბრძანებით, ან ხელისუფლების ბრძოლას საბჭოთა სიმბოლიკის წინააღმდეგ[8], უკურეაქციაც გამოეწვია – სამწუხაროდ, ამის ემპირიული დასაბუთება შეუძლებელია, რადგან დღემდე არცერთი სოციოლოგიური გამოკითხვა ამ თემაზე ჩვენთვის ცნობილი არაა. თუნდაც სტალინთან დაკავშირებული სოციოლოგიური კვლევების არარსებობა საზოგადოების ინდიფერენტულობაზე, ან პრობლემის არდანახვის სურვილზე მიგვითითებს.

საქართველოში შეუძლებელია, ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში სტალინთან საზოგადოების დამოკიდებულებაში რაიმე დინამიკა დავინახოთ, თუნდაც ისე, როგორც ეს რუსეთის მაგალითზეა შესაძლებელი. ფაქტია, რომ ნაციონალური მოძრაობის გადარჩევის და ამ მიმართულებით იდეოლოგიური წნეხის მოხსნისთანავე რამდენიმე სოფელში მოსახლეობამ სტალინის გადამალული ძეგლი გამოიტანა და ისევ აღმართა. გორშიც მალე დააბრუნებენ სტალინის ძეგლს.

სტალინისადმი საქართველოს მოქალაქეთა დამოკიდებულების ერთადერთ, ერთი შეხედვით, ხელჩასაჭიდ მონაცემად შეიძლება 2009 წელს ჩატარებული სატელევიზიო შოუ „საქართველოს დიდი ათეული“ მივიჩნიოთ. სტალინი, ბევრისთვის გასაკვირად, ათეულში არ მოხვდა. ჩვენს ხელთ არსებული სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგების გაცნობის შემდეგ ეჭვი ჩნდება, ხმები ხომ არ გააყალბეს. ალბათ, ყველას ახსოვს,

რუსეთში 2008 წელს, მსგავს სატელევიზიო პროექტში „Имя России“, ხელისუფლების ჩარევის შემდეგ, სტალინი რამდენჯერმე „ჩამოაქვეითეს“[9].

2012 წლის ნოემბრის სოციოლოგიური გამოკითხვა შემაშფოთებელ შედეგებს გვაჩვენებს. სტალინისადმი კეთილგანწყობა ქვეყანაში ძალიან დიდია. ქართველები ბევრად უფრო პოზიტიურად არიან განწყობილნი სტალინისადმი, ვიდრე სომხები ან აზერბაიჯანელები, უფრო მეტიც – ვიდრე რუსები.

მიუხედავად შედარებით მცირე სიმპათიისა აზერბაიჯანსა და სომხეთში, სადაც მითოლოგიზირებული ემოციური კავშირი სტალინთან, გასაგები მიზეზებით, ბევრად უფრო ნაკლებია, ვიდრე საქართველოსა და რუსეთში, სტალინს ამ ორ ქვეყანაში მაინც საკმაოდ დადებითად აფასებენ. მაგრამ ყველაზე გასაოცარი მონაცემი მაინც აზერბაიჯანული გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა, სადაც გამოკითხულთა 22%, ხოლო ახალგაზრდათა 36%, ამბობს, რომ არ იცის, ვინ არის სტალინი (ვფიქრობ, ეს მონაცემები აზერბაიჯანის განათლების სისტემის სერიოზულ ხარვეზებზე მიუთითებს).

სამწუხაროდ, სტალინისადმი სიმპათიებს ვერც მხოლოდ გაუნათლებლობას დავაბრალებთ. როგორც მოსალოდნელი იყო, საშუალო განათლების და უფრო მეტად, საშუალო ტექნიკური განათლების მქონე რესპონდენტებში მეტია დადებითი დამოკიდებულება სტალინისადმი, ვიდრე უმაღლესი განათლების მქონეთა შორის. მაგრამ ეს განსხვავება იმდენად მცირეა, რომ შეგვიძლია ვთქვათ – საერთო განათლება გამოკითხულთ ხელს არ უშლით სტალინისადმი სიმპათიებში.

განათლების მიხედვით რომ დიდი განსხვავება არ არის, კარგად ჩანს პასუხში – „სტალინის რეპრესიები პოლიტიკური აუცილებლობა იყო“ – რასაც საშუალო განათლების რესპონდენტთა – 22% და უმაღლესი განათლების მქონეთა 24% ეთანხმება.

თბილისის მოსახლეობა უფრო კრიტიკულია სტალინის მიმართ, ვიდრე სხვა ქალაქებისა და სოფლების, მაგრამ არც აქ არის ძირეული განსხვავება.

ის, რომ თბილისელების 64%-ს, უმაღლესი განათლების მქონეთა 62%-ს, დასაქმებულთა 59%-ს, ახალგაზრდების (18-დან 30 წლამდე) 67%-ს ნამდვილად არ უნდა იცხოვროს ისეთ ქვეყანაში, რომელსაც სტალინის მსგავსი პიროვნება მართავს, აჩვენებს, რომ სტალინისადმი დადებითი დამოკიდებულება სრულიად არაა კავშირში მკაცრი ხელის მოთხოვნილებასთან ან წარსულის ნოსტალგიასთან. ნოსტალგია შეიძლება მხოლოდ პენსიონერთა ჯგუფს ჰქონდეს, რომლებიც სტალინისადმი სიმპათიას გამოხატავენ; მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ დღევანდელ პენსიონერთა უმრავლესობა სტა-

ლინის პერიოდს ზრდასრულ ასაკში არ მოსწრებია და მათი სტალინისადმი სიმპათიები გვიანი საბჭოთა კავშირის შედარებითი სტაბილურობისა და „კეთილდღეობისადმი“ ნოსტალგიით უფრო აიხსნება, კერძოდ, ბრეჟნევის პერიოდით, როდესაც გარკვეულწილად სტალინის რეაბილიტაციაც მოხდა. მიუხედავად ამისა, პენსიონერთა უმრავლესობა (34%) სტალინის რეპრესიებს პოლიტიკურ დანაშაულად მიიჩნევს (31% კი აუცილებლობად), რაც მათ, ისევე, როგორ სხვა ჯგუფებს, ხელს არ უშლით ჰქონდეთ სიმპათიები სტალინისადმი. ასევე გამოკითხულთა უმრავლესობა სტალინის მმართველობისას გაღებულ მსხვერპლს არ ამართლებს.

ახალგაზრდების (18-დან 30 წლამდე) თითქმის მეოთხედის დამოკიდებულება სტალინისადმი გულგრილია და კიდევ ერთი მეოთხედი უარს ამბობს (2%), არ იცის, რა უპასუხოს (17%) ან აცხადებს, რომ არ იცის ვინაა სტალინი (6%). სხვა კითხვებზე ახალგაზრდების დიდი ნაწილი პასუხობს – „არ ვიცი“, რაც მათ ინდიფერენტულობაზე ან უცოდინრობაზე მეტყველებს.

რესპონდენტებში, რომლებიც რუსეთს საქართველოს მთავარ მტრად აღიქვამენ, სტალინისადმი დამოკიდებულება ნაკლებადაა დადებითი, ვიდრე სხვა გამოკითხულთა შორის (41% და 52%), უარყოფითი კი – მეტი (26% და 15%); მაგრამ არც ეს არცთუ ისე დიდი განსხვავება იძლევა საშუალებას ვამტკიცოთ, რომ სტალინისადმი დამოკიდებულება რეალურად კავშირშია რუსეთისადმი სიმპათია-ანტიპათიასთან.

საქართველოში, მეზობლებთან შედარებით, მმართველობის დემოკრატიულ სისტემას ყველაზე მაღალი მხარდაჭერა აქვს (68%), რაც კიდევ ერთხელ ნათლად წარმოაჩენს ფასეულობათა აღრევას.

აზერბაიჯანში სტალინისადმი სიმპათია ყველაზე მცირეა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ავტორიტარულ მმართველობასა და სტალინისადმი სიმპათიას შორის პირდაპირი კავშირი არ ჩანს.

გამოკითხვის შედეგები იმაზეც მეტყველებს, რომ საბჭოთა საქართველოს ტრანსფორმაციამ გარეგნული გადასხვაფერების გარდა, ბოლო 9 წლის დაჩქარებული მოდერნიზაციის შემდეგაც, მოქალაქეთა თავებში ბევრი ვერაფერი შეცვალა. ზემოდან ნაბრძანები სტალინის ძეგლის მოხსნა ან სტალინის მუზეუმის გადაკეთების სურვილი სტალინიზმის მუზეუმად ვერც ვერაფერს შეცვლიდა. ქართული საზოგადოება ჯერ კიდევ საბჭოური აზროვნების ტყვეობაშია.

ქართული საზოგადოება კონსერვატიულია. კონსერვატიულობა ბოლო ათწლეულებში

იმატებს. ეს „ეკლესიურობასთან“ მიმართებაში, ვფიქრობ, აშკარად ჩანს. საზოგადოება თავს არიდებს მტკივნეულ თემებზე საუბარს, არ ცდილობს წარსულის კრიტიკულად გააზრებას. ჩამოყალიბებულ ფასეულობათა ნაწილია – „ქართველი ხალხის საამაყო შვილი“ – სტალინიც, რომლის გადაფასებაც ჯერაც არ მომხდარა.

მალე სტალინის სიკვდილიდან 60 წელი შესრულდება. ექვსი ათწლეულის განმავლობაში საქართველომ დესტალინიზაცია ვერ მოახერხა. და ისიც სიმბოლურია, რომ 2010 წელს გორში მოხსნილ სტალინის ძეგლს, ქალაქის მთავარი მოედნიდან მუზეუმის ეზომდე – მხოლოდ 500 მეტრით გადააადგილებენ.

შენიშვნები

1 პარტიის მეოცე ყრილობა, გაიმართა 5 მარტს, დაიგმო პიროვნების კულტი

2 საქართველოს ისტორიის ამ საკვანძო მოვლენასთან დაკავშირებით უცხოეთში ბევრი არაფერია ცნობილი. გამოვყოფდი Timothy Blauvelt „Status Shift and Ethnic Mobilization in the March 1956 Events in Georgia“, Europe-Asia Studies, V. 61, No. 4, June 2009. იხ. ასევე დოკუმენტების კრებული http://www.idfi.ge/archive/?cat=show_db&lang=en&db_id=19, მასალა ხრუშჩოვის სიტყვასა და მის შედეგებზე http://www.rusarchives.ru/evants/exhibitions/xxconvention_exp.shtml

3 პუტინი დასძენს: „Для российского народа он стал настоящей драмой“. http://archive.kremlin.ru/appears/2005/04/25/1223_type63372type63374type82634_87049.shtml

4 ჟურნალი „მნათობი“, No. 5-6, 1928, გვ. 60

5 Grigol Robakidse, Stalin als Ahrimanische Macht. Aus: „Dämon und Mythos, eine magische Bildfolge“, Diederichs Verlag, Jena, 1935. http://www.amsi.ge/istoria/gr/stalin.html

6 ქართლის ცხოვრება. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი http://www.orthodoxy.ge/istoria/qartlis_tskhovreba/agmashenebeli3.htm

7 შეადარე: აკაკი ბაქრაძე. ტომი III, თბილისი 2004. სტალინიადა. გვ. 346-368

8 2011 წლის 31 მაისს საქართველოს პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი კანონის „თავისუფლების ქარტია“ ტექსტი https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=1381526

9 ru.wikipedia.org/wiki/Имя_Россия

დანართი

სომხეთი, %	ყველა	სქესი		ასაკი				განათლება			საცხ. ადგილი		
		მამაკაცი	ქალი	18-30	31-45	46-60	61 +	უმაღლესი	საშუალო/ტექნიკური	საშუალო	ერევანი	სხვა ქალაქები	სოფლები
1. ამ სიტყვებიდან, რომელი აღწერს ყველაზე კარგად თქვენს დამოკიდებულებას სტალინისადმი?													
აღფრთოვანება	3	5	2	2	3	4	7	3	3	3	4	4	3
პატივისცემა	16	20	13	10	17	17	25	15	17	16	12	18	19
სიმპათია	6	8	5	5	5	6	11	7	6	6	7	5	7
გულგრილობა	25	22	27	28	28	24	15	23	25	28	28	22	25
ანტიპათია, გაღიზიანება	15	13	16	15	13	16	14	21	16	11	20	13	12
შიში	8	6	10	7	9	9	9	7	6	9	5	11	9
ზიზღი	12	13	11	9	13	14	14	16	15	9	14	11	12
არ ვიცი, ვინ არის სტალინი	8	8	9	18	7	4	1	4	6	11	7	10	9
არ ვიცი	6	5	6	5	6	7	5	5	5	7	5	6	6
უარი პასუხზე	0	0	0	-	-	0	0	-	-	0	-	0	0

სომხეთი, %	ყველა	სქესი		ასაკი				განათლება			საცხ. ადგილი		
		მამაკაცი	ქალი	18-30	31-45	46-60	61 +	უმაღლესი	საშუალო/ტექნიკური	საშუალო	ერევანი	სხვა ქალაქები	სოფლები
2. გსურთ თუ არა იცხოვროთ და იმუშაოთ ისეთ ქვეყანაში, რომელსაც სტალინის მსგავსი პიროვნება მართავს?													
ნამდვილად მინდა	11	15	8	5	9	13	20	8	13	11	7	14	12
უფრო მინდა, ვიდრე არ მინდა	11	12	10	6	12	11	17	8	11	12	6	14	13
უფრო არ მინდა, ვიდრე მინდა	16	16	16	16	17	16	16	12	16	18	17	17	15
ნამდვილად არ მინდა	56	52	59	66	55	55	43	68	53	52	66	49	53
არ ვიცი	6	5	7	7	7	5	4	4	7	7	4	6	7
უარი პასუხზე	0	0	-	0	-	0	-	0	-	0	-	0	0
3. „სტალინი ბრძენი ლიდერი იყო, რომელმაც სიმძლავრე და კეთილდღეობა მოუტანა საბჭოთა კავშირს“													
სრულად ვეთანხმები	27	31	24	19	25	31	37	23	30	27	24	32	27
ძირითადად ვეთანხმები	28	30	26	27	27	31	25	28	27	30	27	28	29
ძირითადად არ ვეთანხმები	13	12	14	14	14	11	12	16	13	12	17	11	11
საერთოდ არ ვეთანხმები	20	17	22	21	20	19	18	26	19	16	23	18	18
არ ვიცი	12	10	14	18	13	8	7	6	11	15	8	12	15
უარი პასუხზე	0	0	1	0	1	0	1	1	-	1	1	0	0
4. „სტალინის ყველა შეცდომის მიუხედავად, მთავარი მაინც ის არის, რომ მისი ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა დიდი სამამულო ომი მოიგო“													
სრულად ვეთანხმები	39	44	35	33	38	41	47	36	37	40	35	45	38
ძირითადად ვეთანხმები	30	30	30	31	32	31	25	31	31	30	33	29	29
ძირითადად არ ვეთანხმები	10	8	11	9	10	9	11	11	11	9	10	9	11
საერთოდ არ ვეთანხმები	10	9	11	10	9	11	10	15	9	8	12	9	10
არ ვიცი	11	8	13	16	10	8	7	6	12	13	10	9	13
უარი პასუხზე	0	0	0	0	1	0	0	1	-	1	1	0	0
5. „სტალინი იყო სასტიკი, არაადამიანური ტირანი, რომელიც მილიონობით უდანაშაულო ადამიანის სიკვდილშია დამნაშავე“													
სრულად ვეთანხმები	49	48	51	48	52	51	45	57	51	45	58	50	41
ძირითადად ვეთანხმები	20	20	20	21	20	22	19	22	17	20	22	19	21
ძირითადად არ ვეთანხმები	10	11	8	8	10	10	13	7	11	11	6	11	12

სომხეთი, %		სქესი		ასაკი				განათლება			საცხ. ადგილი		
	ყველა	მამაკაცი	ქალი	18-30	31-45	46-60	61 +	უმაღლესი	საშუალო/ტექნიკური	საშუალო	ერევანი	სხვა ქალაქები	სოფლები
საერთოდ არ ვეთანხმები	8	8	7	4	7	8	12	6	8	8	5	8	10
არ ვიცი	13	12	13	18	11	9	10	7	12	16	9	12	16
უარი პასუხზე	1	0	1	0	1	1	0	1	0	1	0	1	0
6. „ჩვენს ხალხს ყოველთვის ეძნება მოთხოვნილება ჰყავდეს ისეთი ლიდერი, როგორიც სტალინი იყო, რომელიც მოვა და წესრიგს დაამყარებს“													
სრულად ვეთანხმები	24	27	21	15	25	25	33	20	26	23	19	31	22
ძირითადად ვეთანხმები	14	16	13	14	14	15	15	13	15	16	14	12	16
ძირითადად არ ვეთანხმები	16	16	17	18	17	17	12	18	13	18	19	15	16
საერთოდ არ ვეთანხმები	34	32	35	39	32	33	30	40	36	28	40	30	31
არ ვიცი	12	9	14	15	12	10	10	9	10	14	8	12	15
უარი პასუხზე	0	0	1	-	1	0	1	1	0	1	1	0	0
7. სტალინის რეპრესიების შესახებ რომელ მოსაზრებას ეთანხმებით?													
ეს რეპრესიები პოლიტიკურ აუცილებლობას წარმოადგენდა, ისინი გამართლებულია, თუ გავითვალისწინებთ იმდროინდელ ისტორიულ ვითარებას	23	29	18	16	25	26	26	22	23	25	21	25	23
ეს იყო პოლიტიკური დანაშაული, ამ რეპრესიების გამართლება შეუძლებელია	55	51	57	60	53	54	49	62	55	51	64	48	51
არაფერი ვიცი ამ რეპრესიების შესახებ	3	4	3	5	3	3	2	2	3	4	1	5	4
არ ვიცი	19	16	21	19	18	17	21	14	18	20	14	20	21
უარი პასუხზე	1	1	1	-	1	1	1	1	0	1	1	1	1
8. საბჭოთა ხალხის მიერ სტალინის მმართველობის დროს გაღებული მსხვერპლი გამართლებულია თუ არა ქვეყნის მიერ მოკლე დროში მიღწეული შედეგებით?													
ნამდვილად არ არის გამართლებული	47	43	51	49	47	48	42	55	49	42	53	43	44
გარკვეულწილად გამართლებულია	27	32	23	24	28	28	28	26	29	29	30	26	25
ნამდვილად გამართლებულია	5	7	4	2	6	6	8	4	5	6	3	7	6
არ ვიცი	20	18	22	24	19	17	21	14	16	22	13	23	24
უარი პასუხზე	1	0	1	0	1	1	1	1	1	1	1	1	1

აზერბაიჯანი, %		სქესი		ასაკი				განათლება			საცხ. ადგილი		
	ყველა	მამაკაცი	ქალი	18-30	31-45	46-60	61 +	უმაღლესი	საშუალო/ტექნიკური	საშუალო	ბაქო	სხვა ქალაქები	სოფლები
1. ამ სიტყვებიდან, რომელი აღწერს ყველაზე კარგად თქვენს დამოკიდებულებას სტალინისადმი?													
აღფრთოვანება	2	2	2	1	1	3	2	1	3	1	1	2	2
პატივისცემა	13	14	12	6	11	19	28	11	17	12	13	13	14
სიმპათია	6	8	5	3	5	9	11	9	8	4	7	4	7
გულგრილობა	15	15	16	16	16	17	8	12	15	18	15	9	19
ანტიპათია, გაღიზიანება	6	9	4	6	8	5	7	11	9	5	5	9	5
შიში	11	9	12	8	11	12	14	7	12	11	5	15	11
ზიზღი	16	18	15	15	16	18	19	30	16	15	25	15	12
არ ვიცი, ვინ არის სტალინი	22	19	24	39	20	8	5	11	10	24	22	23	21
არ ვიცი	8	7	9	7	10	8	6	7	7	8	6	10	8
უარი პასუხზე	1	0	2	1	1	2	1	1	2	1	2	1	1
2. გსურთ თუ არა იცხოვროთ და იმუშაოთ ისეთ ქვეყანაში, რომელსაც სტალინის მსგავსი პიროვნება მართავს?													
ნამდვილად მინდა	5	5	4	3	4	6	10	2	5	4	3	7	5
უფრო მინდა, ვიდრე არ მინდა	10	12	7	7	9	12	14	14	13	7	15	9	7
უფრო არ მინდა, ვიდრე მინდა	23	24	22	24	20	23	26	18	24	23	17	19	29
ნამდვილად არ მინდა	50	49	51	54	54	48	38	60	48	52	61	52	42
არ ვიცი	12	9	15	12	13	11	12	6	10	13	3	13	17
უარი პასუხზე	1	1	1	1	1	1	0	0	1	1	2	1	1
3. „სტალინი ბრძენი ლიდერი იყო, რომელმაც სიმძლავრე და კეთილდღეობა მოუტანა საბჭოთა კავშირს“													
სრულად ვეთანხმები	18	20	16	12	15	20	32	17	18	15	18	17	19
ძირითადად ვეთანხმები	26	27	25	23	26	29	25	30	27	24	35	18	25
ძირითადად არ ვეთანხმები	14	16	13	13	17	14	12	16	16	15	17	15	13
საერთოდ არ ვეთანხმები	21	20	22	22	22	19	22	28	21	20	18	30	18
არ ვიცი	19	15	23	29	17	17	7	8	16	24	10	19	24
უარი პასუხზე	2	2	2	2	3	2	1	2	2	2	3	2	2

აზერბაიჯანი, %		სქესი		ასაკი				განათლება			საცხ. ადგილი		
	ყველა	მამაკაცი	ქალი	18-30	31-45	46-60	61 +	უმაღლესი	საშუალო/ტექნიკური	საშუალო	ბაქო	სხვა ქალაქები	სოფლები
4. „სტალინის ყველა შეცდომის მიუხედავად, მთავარი მაინც ის არის, რომ მისი ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა დიდი სამამულო ომი მოიგო“													
სრულად ვეთანხმები	35	36	33	26	32	39	49	31	38	33	31	35	37
ძირითადად ვეთანხმები	37	36	38	42	37	35	29	44	33	35	51	30	32
ძირითადად არ ვეთანხმები	8	9	6	6	8	8	9	10	9	8	7	9	7
საერთოდ არ ვეთანხმები	8	9	8	8	9	9	6	9	11	8	4	14	8
არ ვიცი	11	9	13	16	12	8	5	5	9	13	5	11	15
უარი პასუხზე	2	2	2	2	2	3	2	1	1	3	3	2	1
5. „სტალინი იყო სასტიკი, არაადამიანური ტირანი, რომელიც მილიონობით უდანაშაულო ადამიანის სიკვდილშია დამნაშავე“													
სრულად ვეთანხმები	43	43	43	47	44	38	43	60	43	40	55	44	34
ძირითადად ვეთანხმები	25	27	23	20	26	28	26	22	27	25	28	19	27
ძირითადად არ ვეთანხმები	7	9	6	4	7	9	11	8	8	7	6	7	8
საერთოდ არ ვეთანხმები	6	7	5	6	5	7	6	3	6	6	2	8	7
არ ვიცი	16	12	21	21	16	14	11	6	15	19	4	19	23
უარი პასუხზე	3	3	4	2	3	4	3	1	2	4	5	3	2
6. „ჩვენს ხალხს ყოველთვის ეძნება მოთხოვნილება ჰყავდეს ისეთი ლიდერი, როგორიც სტალინი იყო, რომელიც მოვა და წესრიგს დაამყარებს“													
სრულად ვეთანხმები	7	8	6	6	6	8	12	4	7	6	6	8	8
ძირითადად ვეთანხმები	11	12	11	7	12	13	17	14	13	10	12	9	13
ძირითადად არ ვეთანხმები	13	13	12	12	11	16	12	11	12	13	13	14	12
საერთოდ არ ვეთანხმები	50	52	47	57	53	45	40	61	46	50	62	49	42
არ ვიცი	15	11	18	16	14	14	16	8	15	17	4	18	20
უარი პასუხზე	4	3	5	3	4	5	3	3	7	4	4	2	5

აზერბაიჯანი, %	ყველა	სქესი		ასაკი				განათლება			საცხ. ადგილი		
		მამაკაცი	ქალი	18-30	31-45	46-60	61 +	უმაღლესი	საშუალო/ტექნიკური	საშუალო	ბაქო	სხვა ქალაქები	სოფლები
7. სტალინის რეპრესიების შესახებ რომელ მოსაზრებას ეთანხმებით?													
ეს რეპრესიები პოლიტიკურ აუცილებლობას წარმოადგენდა, ისინი გამართლებულია, თუ გავითვალისწინებთ იმდროინდელ ისტორიულ ვითარებას	19	22	15	12	18	21	31	16	20	19	20	14	22
ეს იყო პოლიტიკური დანაშაული, ამ რეპრესიების გამართლება შეუძლებელია	57	59	55	56	60	56	53	73	58	53	63	63	49
არაფერი ვიცი ამ რეპრესიების შესახებ	10	7	13	17	9	8	3	5	6	12	8	8	12
არ ვიცი	13	10	16	14	12	12	11	6	13	14	7	15	15
უარი პასუხზე	2	2	2	1	2	3	2	1	2	2	3	1	2
8. საბჭოთა ხალხის მიერ სტალინის მმართველობის დროს გაღებული მსხვერპლი გამართლებულია თუ არა ქვეყნის მიერ მოკლე დროში მიღწეული შედეგებით?													
ნამდვილად გამართლებულია	7	7	8	7	5	7	13	6	8	7	13	6	4
გარკვეულწილად გამართლებულია	20	22	19	14	20	23	27	21	21	20	20	17	23
ნამდვილად არ არის გამართლებული	50	53	47	52	51	49	45	62	48	48	53	58	43
არ ვიცი	20	17	24	27	21	17	12	11	20	23	12	18	27
უარი პასუხზე	3	2	3	2	2	3	3	1	4	3	2	2	3

საქართველო, %		სქესი		ასაკი				განათლება			საცხ. ადგილი		
	ყველა	მამაკაცი	ქალი	18-30	31-45	46-60	61 +	უმაღლესი	საშუალო/ტექნიკური	საშუალო	თბილისი	სხვა ქალაქები	სოფლები
1. ამ სიტყვებიდან, რომელი აღწერს ყველაზე კარგად თქვენს დამოკიდებულებას სტალინისადმი?													
აღფრთოვანება	3	3	3	1	1	3	8	3	3	2	3	3	3
პატივისცემა	27	29	26	18	24	30	38	23	31	28	23	26	31
სიმპათია	15	16	14	11	9	16	26	14	17	15	15	13	17
გულგრილობა	15	13	17	22	18	13	7	20	16	10	21	18	10
ანტიპათია, გაღიზიანება	9	9	8	10	11	9	5	12	7	8	14	8	6
შიში	7	5	9	7	8	8	6	9	7	7	10	7	6
ზიზღი	4	4	3	4	4	4	3	4	4	3	4	5	3
არ ვიცი, ვინ არის სტალინი	5	6	5	10	6	4	2	3	2	9	1	4	9
არ ვიცი	13	12	13	16	16	11	6	10	12	15	9	15	13
უარი პასუხზე	2	3	2	3	3	3	1	2	2	3	0	2	4
2. გსურთ თუ არა იცხოვროთ და იმუშაოთ ისეთ ქვეყანაში, რომელსაც სტალინის მსგავსი პიროვნება მართავს?													
ნამდვილად მინდა	13	14	12	4	7	16	26	9	16	13	9	10	18
უფრო მინდა, ვიდრე არ მინდა	11	12	11	5	9	14	18	8	15	11	6	10	16
უფრო არ მინდა, ვიდრე მინდა	13	13	13	11	14	13	15	13	13	15	12	12	15
ნამდვილად არ მინდა	50	50	50	64	58	46	30	66	44	41	66	52	39
არ ვიცი	12	9	14	13	11	11	11	4	11	18	7	14	12
უარი პასუხზე	1	1	1	2	1	1	0	1	1	1	1	2	1
3. „სტალინი ბრძენი ლიდერი იყო, რომელმაც სიმძლავრე და კეთილდღეობა მოუტანა საბჭოთა კავშირს“													
სრულად ვეთანხმები	34	37	33	20	30	38	50	33	40	34	34	28	39
ძირითადად ვეთანხმები	34	37	32	33	34	35	36	35	34	34	33	34	35
ძირითადად არ ვეთანხმები	10	9	11	13	12	8	6	12	9	7	14	13	5
საერთოდ არ ვეთანხმები	6	4	7	8	6	5	2	9	4	3	10	7	2
არ ვიცი	14	12	16	24	15	11	6	9	12	19	10	17	15
უარი პასუხზე	2	2	2	3	3	3	0	2	1	3	0	2	3

საქართველო, %	ყველა	სქესი		ასაკი				განათლება			საცხ. ადგილი		
		მამაკაცი	ქალი	18-30	31-45	46-60	61 +	უმაღლესი	საშუალო/ტექნიკური	საშუალო	თბილისი	სხვა ქალაქები	სოფლები
4. „სტალინის ყველა შეცდომის მიუხედავად, მთავარი მაინც ის არის, რომ მისი ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა დიდი სამამულო ომი მოიგო“													
სრულად ვეთანხმები	42	44	41	29	34	49	57	39	47	41	42	37	45
ძირითადად ვეთანხმები	34	34	34	36	35	33	32	37	36	30	34	37	32
ძირითადად არ ვეთანხმები	7	6	7	8	10	5	4	8	6	7	11	6	4
საერთოდ არ ვეთანხმები	3	2	3	3	2	3	2	5	2	2	4	4	1
არ ვიცი	13	12	14	21	17	8	5	9	10	17	8	14	15
უარი პასუხზე	2	2	2	3	2	3	0	2	0	3	0	2	3
5. „სტალინი იყო სასტიკი, არაადამიანური ტირანი, რომელიც მილიონობით უდანაშაულო ადამიანის სიკვდილშია დამნაშავე“													
სრულად ვეთანხმები	26	27	26	31	30	27	17	34	24	22	39	24	20
ძირითადად ვეთანხმები	27	28	27	25	28	29	27	29	29	25	26	29	27
ძირითადად არ ვეთანხმები	17	18	16	11	16	18	24	15	19	16	14	15	20
საერთოდ არ ვეთანხმები	7	7	7	2	4	8	14	6	9	6	6	5	9
არ ვიცი	20	17	22	27	21	16	15	13	18	27	14	24	20
უარი პასუხზე	3	3	3	4	3	3	2	2	2	4	1	3	4
6. „ჩვენს ხალხს ყოველთვის ეძნება მოთხოვნილება ჰყავდეს ისეთი ლიდერი, როგორიც სტალინი იყო, რომელიც მოვა და წესრიგს დაამყარებს“													
სრულად ვეთანხმები	10	10	10	6	5	11	19	7	11	10	7	6	14
ძირითადად ვეთანხმები	17	18	16	9	15	19	25	13	19	18	13	16	20
ძირითადად არ ვეთანხმები	22	24	21	24	22	22	21	26	24	19	22	27	19
საერთოდ არ ვეთანხმები	27	27	27	34	31	26	15	37	23	21	43	23	20
არ ვიცი	22	20	25	26	24	20	19	14	21	30	14	25	26
უარი პასუხზე	2	2	2	2	2	2	1	2	2	1	1	3	2

საქართველო, %	ყველა	სქესი		ასაკი				განათლება			საცხ. ადგილი		
		მამაკაცი	ქალი	18-30	31-45	46-60	61 +	უმაღლესი	საშუალო/ტექნიკური	საშუალო	თბილისი	სხვა ქალაქები	სოფლები
7. სტალინის რეპრესიების შესახებ რომელ მოსაზრებას ეთანხმებით?													
ეს რეპრესიები პოლიტიკურ აუცილებლობას წარმოადგენდა, ისინი გამართლებულია, თუ გავითვალისწინებთ იმდროინდელ ისტორიულ ვითარებას	26	29	23	18	25	28	34	27	30	23	28	21	29
ეს იყო პოლიტიკური დანაშაული, ამ რეპრესიების გამართლება შეუძლებელია	45	45	45	46	45	46	40	52	42	39	56	47	37
არაფერი ვიცი ამ რეპრესიების შესახებ	6	5	7	12	6	3	3	4	4	9	4	3	9
არ ვიცი	21	18	23	21	22	20	19	15	21	26	12	25	23
უარი პასუხზე	3	3	2	3	2	3	4	3	3	3	1	4	3
8. საბჭოთა ხალხის მიერ სტალინის მმართველობის დროს გაღებული მსხვერპლი გამართლებულია თუ არა ქვეყნის მიერ მოკლე დროში მიღწეული შედეგებით?													
ნამდვილად გამართლებულია	5	6	4	3	4	5	7	4	6	5	4	3	6
გარკვეულწილად გამართლებულია	24	27	21	17	22	25	32	25	26	22	28	17	26
ნამდვილად არ არის გამართლებული	45	45	45	50	48	46	36	52	41	44	52	45	41
არ ვიცი	25	20	29	28	26	21	23	18	26	28	15	32	26
უარი პასუხზე	2	2	1	2	1	2	2	2	1	2	1	3	1

რუსეთი, %	ყველა	სქესი		ასაკი				განათლება				საცხოვრებელი ადგილი				
		მამაკაცი	ქალი	18-24	25-39	40-54	55 +	უმაღლესი	საშუალო/ტექნიკური	საშუალო	საშუალოზე დაბალი	მოსკოვი	500,000 კაცზე მეტი	100-500,000	100,000-ზე ნაკლები	სოფლები
1. ამ სიტყვებიდან, რომელი აღწერს ყველაზე კარგად თქვენს დამოკიდებულებას სტალინისადმი?																
აღფრთოვანება	1.4	1.3	1.5	1.5	0.7	1.3	2.2	0.7	1.8	1.8	1.4	-	1.0	1.8	0.3	3.0
პატივისცემა	20.7	22.4	19.2	16.2	15.3	17.5	30.6	19.0	19.1	19.0	26.8	13.8	20.3	16.2	21.1	26.0
სიმპათია	5.7	5.9	5.6	3.2	4.1	6.3	7.8	4.2	6.3	7.0	5.9	4.3	4.9	3.7	8.2	6.1
გულგრილობა	32.6	33.0	32.4	40.6	37.2	33.2	24.1	34.3	32.8	31.9	30.7	26.8	28.3	35.8	39.0	30.3
ანტიპათია, გაღიზიანება	12.1	11.6	12.7	7.5	14.7	14.6	9.6	15.0	12.4	9.2	10.2	15.1	14.2	14.8	9.9	9.5
შიში	6.6	5.3	7.7	8.7	7.9	6.7	4.2	6.1	6.8	7.2	6.4	13.9	7.0	6.1	4.3	6.3
ზიზღი	4.1	3.8	4.4	2.5	3.0	4.8	5.4	5.2	4.2	4.1	2.6	16.7	3.2	5.0	2.0	2.3
არ ვიცი, ვინ არის სტალინი	1.1	0.7	1.4	2.5	1.6	0.7	0.4	1.2	1.1	1.6	0.5	0.8	0.8	2.5	1.2	0.4
არ ვიცი	10.6	10.5	10.6	11.8	11.3	9.7	10.1	9.9	10.1	13.9	9.2	7.7	14.5	9.1	8.5	11.0
უარი პასუხზე	5.0	5.6	4.6	5.3	4.1	5.1	5.7	4.3	5.3	4.2	6.3	1.0	5.9	5.1	5.5	5.1
2. გსურთ თუ არა იცხოვროთ და იმუშაოთ ისეთ ქვეყანაში, რომელსაც სტალინის მსგავსი პიროვნება მართავს?																
ნამდვილად მინდა	5.2	5.6	4.9	4.0	2.3	4.6	9.0	2.7	5.8	4.9	7.9	3.6	5.1	4.1	3.9	7.7
უფრო მინდა, ვიდრე არ მინდა	13.3	12.9	13.6	10.0	8.6	12.2	20.3	9.0	13.6	14.6	17.8	8.7	9.1	9.1	15.1	19.9
უფრო არ მინდა, ვიდრე მინდა	32.6	35.4	30.2	25.8	33.9	36.5	31.1	36.9	32.9	29.7	28.6	32.9	32.0	31.1	37.4	29.7
ნამდვილად არ მინდა	34.1	32.3	35.7	39.3	40.1	34.3	25.9	38.2	33.1	33.9	30.1	43.5	38.5	41.1	29.2	26.7
არ ვიცი	8.9	7.8	9.9	14.4	10.1	6.7	7.4	7.7	9.0	10.8	9.0	7.2	7.9	9.6	8.2	10.6
უარი პასუხზე	5.9	6.0	5.7	6.5	5.1	5.8	6.3	5.4	5.6	6.1	6.6	4.0	7.4	5.0	6.2	5.5
3. „სტალინი ბრძენი ლიდერი იყო, რომელმაც სიმძლავრე და კეთილდღეობა მოუტანა საბჭოთა კავშირს“																
სრულად ვეთანხმები	14.8	14.4	15.1	13.0	11.6	11.8	21.3	12.2	13.8	13.3	21.3	9.5	17.2	14.3	11.5	17.8
ძირითადად ვეთანხმები	32.0	32.3	31.8	26.9	30.1	33.6	34.8	31.6	32.8	35.2	28.7	25.7	31.6	28.2	38.7	31.1
ძირითადად არ ვეთანხმები	25.1	25.7	24.6	25.9	25.9	27.7	21.6	25.9	26.7	21.4	24.8	23.8	22.1	22.9	27.0	28.1
საერთოდ არ ვეთანხმები	13.0	12.9	13.2	7.6	14.4	15.8	11.7	17.0	11.3	12.8	10.4	36.6	13.5	14.4	7.2	9.4
არ ვიცი	10.0	10.0	9.9	19.5	13.5	7.0	5.0	8.3	11.9	11.6	8.1	3.5	10.3	14.0	9.6	9.3
უარი პასუხზე	5.0	4.8	5.3	6.9	4.5	4.0	5.6	5.0	3.6	5.6	6.7	0.8	5.3	6.2	6.1	4.3

რუსეთი, %		სქესი		ასაკი				განათლება				საცხოვრებელი ადგილი				
	ყველა	მამაკაცი	ქალი	18-24	25-39	40-54	55 +	უმაღლესი	საშუალო/ტექნიკური	საშუალო	საშუალოზე დაბალი	მოსკოვი	500,000 კაცზე მეტი	100-500,000	100,000-ზე ნაკლები	სოფლები
4. „სტალინის ყველა შეცდომის მიუხედავად, მთავარი მაინც ის არის, რომ მისი ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა დიდი სამამულო ომი მოიგო“																
სრულად ვეთანხმები	20.0	19.6	20.4	16.9	14.1	20.0	27.1	18.2	16.1	21.4	27.4	9.4	22.6	19.7	15.5	25.6
ძირითადად ვეთანხმები	40.3	40.7	40.0	38.4	42.6	42.0	37.6	38.8	45.0	41.4	34.3	36.5	33.4	42.9	49.0	37.9
ძირითადად არ ვეთანხმები	18.1	18.8	17.4	17.3	16.9	20.9	17.0	20.5	17.8	16.8	16.3	18.8	20.3	13.5	18.8	18.5
საერთოდ არ ვეთანხმები	9.3	9.2	9.3	8.0	9.9	9.9	8.6	11.9	8.3	6.3	9.7	30.6	7.2	10.1	4.6	7.9
არ ვიცი	7.5	7.3	7.7	12.1	11.2	5.5	3.8	6.3	8.0	9.6	6.7	3.7	9.5	9.6	5.9	7.0
უარი პასუხზე	4.8	4.5	5.0	7.3	5.3	1.8	5.9	4.4	4.8	4.5	5.6	1.0	7.0	4.2	6.2	3.2
5. „სტალინი იყო სასტიკი, არაადამიანური ტირანი, რომელიც მილიონობით უდანაშაულო ადამიანის სიკვდილშია დამნაშავე“																
სრულად ვეთანხმები	25.6	24.8	26.4	23.8	29.3	26.3	22.4	29.0	25.3	21.1	25.4	41.0	29.3	30.5	20.8	18.4
ძირითადად ვეთანხმები	39.5	41.3	38.0	37.5	43.6	41.6	34.7	40.3	40.4	39.3	37.1	36.3	36.7	38.7	43.2	40.2
ძირითადად არ ვეთანხმები	13.4	12.3	14.4	11.2	8.7	15.0	17.5	12.6	11.8	12.8	17.7	7.4	12.1	9.9	13.8	18.9
საერთოდ არ ვეთანხმები	5.6	6.8	4.5	4.1	3.2	4.0	9.9	5.5	5.0	5.5	6.7	5.6	5.7	4.4	5.3	6.6
არ ვიცი	9.6	9.5	9.7	14.7	11.5	9.1	5.9	8.4	11.0	13.0	6.1	7.6	9.5	11.6	9.0	9.4
უარი პასუხზე	6.2	5.3	7.1	8.6	3.6	4.0	9.6	4.2	6.4	8.2	7.1	2.0	6.8	4.9	7.8	6.6
6. „ჩვენს ხალხს ყოველთვის ექნება მოთხოვნილება ჰყავდეს ისეთი ლიდერი, როგორიც სტალინი იყო, რომელიც მოვა და წესრიგს დაამყარებს“																
სრულად ვეთანხმები	10.0	11.4	8.8	8.1	7.9	8.9	13.9	6.9	10.6	9.7	13.8	3.5	9.8	12.3	7.5	13.1
ძირითადად ვეთანხმები	20.0	20.6	19.5	13.9	15.5	21.9	25.3	17.7	20.3	20.0	22.8	10.3	21.6	14.5	21.1	24.7
ძირითადად არ ვეთანხმები	26.6	28.0	25.4	25.5	26.4	30.5	23.7	28.3	26.9	24.9	25.1	22.3	27.4	28.2	29.4	23.5
საერთოდ არ ვეთანხმები	25.2	24.0	26.3	23.3	30.7	24.7	21.3	28.7	23.8	23.4	24.1	49.9	22.2	24.3	21.5	23.9
არ ვიცი	10.3	8.5	11.8	17.0	12.7	9.5	5.6	10.5	11.1	13.7	5.6	9.1	11.5	13.4	10.0	7.6
უარი პასუხზე	7.9	7.5	8.3	12.2	6.8	4.6	10.1	7.9	7.3	8.3	8.6	4.9	7.5	7.4	10.6	7.2

რუსეთი, %	ყველა	სქესი		ასაკი				განათლება				საცხოვრებელი ადგილი				
		მამაკაცი	ქალი	18-24	25-39	40-54	55 +	უმაღლესი	საშუალო/ტექნიკური	საშუალო	საშუალოზე დაბალი	მოსკოვი	500,000 კაცზე მეტი	100-500,000	100,000-ზე ნაკლები	სოფლები
7. სტალინის რეპრესიების შესახებ რომელ მოსაზრებას ეთანხმებით?																
„ეს რეპრესიები პოლიტიკურ აუცილებლობას წარმოადგენდა, ისინი გამართლებულია, თუ გავითვალისწინებთ იმდროინდელ ისტორიულ ვითარებას“	22.3	23.4	21.3	19.8	17.6	21.7	28.4	20.2	24.8	19.6	23.6	17.1	21.7	21.5	22.4	24.9
ეს იყო პოლიტიკური დანაშაული, ამ რეპრესიების გამართლება შეუძლებელია	51.1	49.8	52.2	44.2	51.3	57.1	48.7	55.3	48.6	51.0	49.0	61.2	52.6	53.5	46.8	48.8
არაფერი ვიცი ამ რეპრესიების შესახებ	6.3	6.4	6.2	13.4	7.7	3.3	4.3	5.6	6.0	7.8	6.5	5.3	4.3	5.5	7.6	7.7
არ ვიცი	12.8	12.3	13.2	13.7	15.6	11.4	10.9	12.0	13.5	12.6	12.9	12.2	13.2	11.8	14.4	11.8
უარი პასუხზე	7.5	8.1	7.1	8.9	7.8	6.4	7.7	6.9	7.1	8.9	8.0	4.2	8.2	7.7	8.9	6.7
8. საბჭოთა ხალხის მიერ სტალინის მმართველობის დროს გაღებული მსხვერპლი გამართლებულია თუ არა ქვეყნის მიერ მოკლე დროში მიღწეული შედეგებით?																
ნამდვილად გამართლებულია	4.1	4.2	4.0	4.1	4.6	2.3	5.3	3.5	4.2	4.8	4.4	1.6	4.6	3.2	3.6	5.6
გარკვეულწილად გამართლებულია	20.7	23.2	18.5	18.4	18.6	23.6	21.1	17.8	24	20.3	19.9	16.6	24.1	17.1	23.1	19.4
ნამდვილად არ არის გამართლებული	60.3	58.8	61.7	52.6	61.5	62	61.3	67.6	57.5	55.4	58.6	71.1	59.5	67	55.4	57.3
არ ვიცი	7.9	8.0	7.9	16.3	8.5	5.4	5.9	6.5	6.9	11.1	9.2	4.3	6.9	9.0	9.0	8.3
უარი პასუხზე	6.9	5.7	7.9	8.7	6.8	6.7	6.4	4.6	7.5	8.4	7.9	6.4	4.9	3.7	8.9	9.3

ავტორების შესახებ

თომას დე ვაალი – კარნეგის საერთაშორისო მშვიდობის ფონდის რუსეთისა და ევრაზიის პროგრამების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი; ექსპერტი სამხრეთ კავკასიის საკითხებში, რეგიონის შესახებ რამდენიმე წიგნის ავტორი. მისი ბოლო წიგნია „კავკასია: შესავალი“ (2010). მუშაობდა ბეჭდური პრესისა და რადიოს ჟურნალისტად მოსკოვსა და ლონდონში.

მარია ლიპმანი – კარნეგის ფონდის მოსკოვის ცენტრის საზოგადოებისა და რეგიონული პროგრამის ხელმძღვანელი; კარნეგის ფონდის მოსკოვის ცენტრის ჟურნალის Pro et Contra-ს რედაქტორი. 1995-2001 წლებში მუშაობდა ჟურნალში „იტოგი“, ხოლო 2001-2003 წლებში გახლდათ ყოველკვირეული საინფორმაციო ჟურნალის „ეჟენედელნი ჟურნალ“ რედაქტორის მოადგილე; მუშაობდა თარჯიმნად, მკვლევრად. წერს სტატიებს „ვაშინგტონ პოსტისათვის“, 2001 წლიდან უძღვება ყოველთვიურ რუბრიკას „ვაშინგტონ პოსტში“.

ლევ გუდკოვი – იური ლევადას ანალიტიკური ცენტრის დირექტორი 2006 წლიდან; რუსული ჟურნალის „საზოგადოებრივი აზრის მაცნე“ მთავარი რედაქტორი და მოსკოვის უმაღლესი ეკონომიკის სკოლის ლექტორი. მუშაობდა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში და რუსეთის საზოგადოებრივი აზრის კვლევის ცენტრში.

ლაშა ბაძრაძე – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმის დირექტორი 2010 წლიდან, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. 2005-2009 წლებში საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის კინომემკვიდრეობის დაცვის განყოფილების ხელმძღვანელი. სწავლობდა იენის, ბერნის და პოტსდამის უნივერსიტეტებში.

კარნეგის საერთაშორისო მშვიდობის ფონდი

კარნეგის საერთაშორისო მშვიდობის ფონდი არის კერძო, არაკომერციული ორგანიზაცია, რომელიც მოწოდებულია გააღრმავოს თანამშრომლობა ერებს შორის და ხელი შეუწყოს აშშ-ის აქტიურ საერთაშორისო ჩართულობას. ის დაარსდა 1910 წელს, მოქმედებს მიუკერძოებლად და ცდილობს მიაღწიოს პრაქტიკულ შედეგებს.

კარნეგის ფონდი არის მოწინავე გლობალური კვლევითი ცენტრი, ოფისებით ვაშინგტონში, მოსკოვში, პეკინში, ბეირუთსა და ბრიუსელში. ეს ხუთი ქალაქი არის მსოფლიო მმართველობის ის ცენტრები, რომელთა პოლიტიკური განვითარება და საერთაშორისო სტრატეგია ყველაზე მეტად განსაზღვრავს უახლოესი დროის მსოფლიო მშვიდობისა და ეკონომიკური პროგრესის შესაძლებლობას.

ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი

ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი წარმოადგენს მწვანე პოლიტიკური მიმდინარეობის ნაწილს, რომელიც ჩამოყალიბდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საზღვრებს გარეთაც ისეთ ტრადიციულ პოლიტიკურ მიმდინარეობებთან დისკუსიაში, როგორიცაა სოციალიზმი, ლიბერალიზმი და კონსერვატიზმი. მისი ფუნდამენტური ღირებულებებია ეკოლოგია და მდგრადი განვითარება, დემოკრატია და ადამიანის უფლებები, თვითგამორკვევა და სამართლიანობა. განსაკუთრებული თემაა გენდერული დემოკრატია და სქესთა თანასწორობა.

იური ლევადას ანალიტიკური ცენტრი

იური ლევადას ანალიტიკური ცენტრი რუსული უმსხვილესი არასამთავრობო კვლევითი ორგანიზაციაა, რომელიც რეგულარულად ატარებს საკუთარ და დაკვეთილ სოციოლოგიურ და მარკეტინგულ კვლევებს.

ცენტრში მუშაობენ სოციოლოგიის, პოლიტოლოგიის, ეკონომიკის, ფსიქოლოგიის, მარკეტინგული კვლევების და მონაცემთა დამუშავების სფეროს სპეციალისტები. ცენტრის მკვლევრებმა 1988 წელს პირველებმა დაიწყეს საზოგადოებრივი აზრის რეგულარული კვლევა მთელი ქვეყნის მასშტაბით.

ლევადა-ცენტრი გამოსცემს ჟურნალს „საზოგადოებრივი აზრის მაცნე“ და ყოველწლიურ კრებულს რუსეთში საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგებზე,

ცენტრი ატარებს რუსი სოციოლოგის და მისი პირველი დირექტორის იური ლევადას სახელს (1930-2006 წლები).

კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი

კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (CRRC) ნიუ-იორკის კარნეგის კორპორაციის მიერ დაფინანსებული ევრაზიის პარტნიორობის ფონდის პროგრამაა. ცენტრი 2003 წელს დაარსდა და სამხრეთ კავკასიაში სოციოლოგიური კვლევების სფეროში მომუშავე ორგანიზაციების მნიშვნელოვან შემაკავშირებელ რგოლად იქცა, რომელიც უზრუნველყოფს სოციოლოგებისა და მკვლევრების ღია ხელმისაწვდომობას სამეცნიერო ლიტერატურასა და მონაცემებზე, აგრეთვე მათ პროფესიულ მომზადებას.

ცენტრის „კავკასიის ბარომეტრი“ არის რეგიონის უმსხვილესი კვლევა, რომელიც აგროვებს შედარებით მონაცემებს სამი ქვეყნის სრულწლოვანი მოსახლეობის შესახებ (18 წლიდან), გარდა კონფლიქტის ზონაში მცხოვრები მოსახლეობისა.

მონაცემები ხელმისაწვდომია ვებგვერდებზე: http://www.crrccenters.org/caucasusbarometer/overview/ და www.crrc.ge/oda. მოცემულ კვლევაში მონაცემები შეწონილია.

ინფორმაცია ტამოკითხვების შესახებ

რუსეთი: გამოკითხვა ჩატარდა 2012 წლის 20-24 ოქტომბერს, სრულიად რუსეთის მასშტაბით, რეპრეზენტაციული შერჩევითობის პრინციპით, პირადი ინტერვიუს მეთოდის გამოყენებით. გამოიკითხა 1600 ადამიანი.

სამხრეთ კავკასია: 2012 წელს „კავკასიის ბარომეტრმა“ საველე სამუშაო შემოდგომაზე, 26 ოქტომბრიდან 29 ნოემბრამდე ჩაატარა. 2012 წელს 6715 რესპონდენტს ჩაუტარდა პირადი ინტერვიუ (2384-ს სომხეთში, 1829-ს აზერბაიჯანში და 2502-ს საქართველოში). ქვეყნის დონეზე მონაცემების ცდომილებები უდრის: სომხეთისთვის – 1.4-ს, აზერბაიჯანისთვის – 2.1-ს და საქართველოსთვის – 1.9-ს.

ქართული გამოცემის რედაქტორი: ნინო ბექიშვილი | კორექტორი: ნინო საითიძე
თარგმანი: ქეთევან ქანთარია, ქეთევან მამულაშვილი

დაკაბადონება: თორნიკე ლორთქიფანიძე

დაბეჭდილია შპს „სეზანში“